

# ანანიძე მალტაში არ ჩადის?

კუპერი კატეგორიულად ითხოვს: ჩამოვიდეს!
>> გვერდი 5

ლელო
პალიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 აგვისტო **ორშაბათი** 2009
№ 186 (12 865) ფასი 60 თეთრი

# გაბედავამ ჩემპიონს პოკერი გაუბედა



ვიტ ჯორჯიას მძიმე მარცხი, სპარტაკისა და ოლიმპის ორიდან ორი

საქართველოს ჩემპიონატი >> გვერდი 2-3



## საკონტროლო გასროლა ავსტრიასთან

>> გვერდი 12



## მოპარული გოლი

BUNDES LIGA

ბუნდესლიგის სკანდალური სტარტი. ჰოფენჰაიმს ბაიერნთან გოლი მოჰპარეს

>> გვერდი 9



## ჩელსიმ და ლაციომ სეზონი ტიტულებით გახსნეს

>> გვერდი 5,6




# ყენიას ტაიმი და საგოლე პასი



დავით დევდარიანი

დევდარიანის გოლი, სირაძის ხელმეორე დებიუტი...

ლეგიონის უქმეები >> გვერდი 4

საქართველოს ჩემპიონატი II ტური

# გაბედავამ ჩემპიონს პოკერი გაუბედა

08.08.09. თბილისი. ავერი.
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 გაბედავა (12), 2:0 გაბედავა (20), 3:0 გაბედავა (36), 4:0 გაბედავა (87)
გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი, გიგაური, თ. შალიკაშვილი, გაბუნია - ჰ. ხორგუაშვილი, ბერბატი, შარიქაძე (80. შ. კვანტალიანი), რაქვიაშვილი (72. ელბაქიძე) - პავლიაშვილი (90. მ. ჯიშკარიანი), გაბედავა.
სათადარიგოები: ნადირაშვილი, ტყეშელაშვილი, თუხარელი, ოვონიკოკო
ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ბექვაია - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი - კახელიშვილი (76. როსტიაშვილი), ბერიაშვილი (55. კვარაცხელია), ლიპარტია (55. ჯანელიძე).
სათადარიგოები: მიქაბერიძე, მგელაძე, ყველაშვილი, მაისაშვილი
გაფრთხილება: გიგაური (16)
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ **ვიქტორ კაშჩეის** ხელმძღვანელობით „გაგრამ" წინა სეზონი არცთუ სახარბიელოდ ჩაამთავრა, კლუბის ხელმძღვანელობამ უკრაინელ სპეციალისტთან თანამშრომლობა გააგრძელა და, როგორც ჩანს, ამით მხოლოდ მოიგო. ერთი მატჩით შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება არ ღირს, მაგრამ აქ საქმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს. თამაშიცაა და თამაშიც - სეზონის პირველ ოფიციალურ შეხვედრაში (ცნობილი მიზეზის გამო, „დინამოსთან" პირველი ტურის მატჩი გადაიდო) „გაგრამ" ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ყველა კომპონენტში დაჯაბნა.

კაშჩეის გუნდმა მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მასპინძელთა თამაშის ცქერა ერთი სიამოვნება იყო. გაგრელები ძალიან სწრაფად, ერთი შეხებით თამაშობდნენ და შეტევებსა თუ კონტრშეტევებს ისეთი ტემპით ახორციელებდნენ, ჯორჯიელები ფეხს რომ ვერ უწყობდნენ. „გაგრას" გამარჯვება თავისთავად, ლოგიკურია და თქვენ წარმოიდგინეთ, ანგარიში კიდევ უფრო



გიორგი გაბედავამ ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სოლიდური შეიძლებოდა ყოფილიყო.

„გაგრას" თითოეულმა წევრმა მაღალ დონეზე ითამაშა, ჩემპიონის რბევა, უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავი კოლექტიური გარჯის წყალობით გახდა შესაძლებელი, მაგრამ მატჩს მაინც ჰყავდა გამოკვეთილი გმირი - რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა ფორვარდი **გიორგი გაბედავა**, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატის პირველი „პოკერი" შეასრულა.

გაბედავა წინა სეზონშიც გამოირჩეოდა, თავისი გუნდის შემადგენლობაში მან ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირებშიც გაერია. მიმდინარე ჩემპიონატში კი, როგორც ჩანს, გაცილებით ხშირად შეგვახსენებს თავს. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს გამორჩეული მონაცემების მქონე ფორვარდი ეზრდება. მთავარია, გაბედავამ შრომა და განვითარება ამ ტემპით გააგრძელოს.

„გაგრას" რამდენიმე ახალწვეული ჰყავს და უნდა ითქვას, ახალ გუნდში თავი ყველა მათგანმა დადებითად წარმოაჩინა. მათგან უკრაინელი საყრდენი **სერგეი ბერბატი** და „ბორჯომის" ყოფილი თავდამსხმელი **ილია პავლიაშვილი** უნდა გამოვყოთ. პირველმა მოედანზე უზარმაზარი მოცულობის სამუშაო შეასრულა, მეორემ კი შეტევაში გაბედავას ღირსეული მეწყვილეობა გაუწია, საგოლე პასიც გააკეთა და რამდენჯერმე თავადაც ახლოს იყო მეტოქის კარის ალებასთან.

„ვიტ ჯორჯიამ" კი ბოლოს ასეთი ანგარიშით 2006 წელს, რუსთავის „ოლიმპთან" წააგო. წარმოუდგენელია, ერთი მარცხით (თუნდაც ასეთით) გუნდის ჩავარდნაზე ილაპარაკო. დაველოდოთ მომდევნო ტურებს და გამოჩნდება, ჩემპიონებს კრიზისი დაეწყოთ თუ მხოლოდ დროებითი პრობლემები აქვთ. ისე, ესეც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი რეალური საგოლე მომენტი „ვიტ ჯორჯიას" ჰქონდა - კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **ბერიაშვილმა** თავით გაგზავნა კარისკენ და „გაგრა" მეკარე **თევდორაძის** რეაქციამ იხსნა.

სამაგიეროდ, სულ მალე გაბედავას თავურმა უწია მიზანს. მისი პირველი გოლი ჯარიმას მოჰყვა, მეტოქის კარის მეორედ ალებას კი თავად დაუდო სათავე და თავადვე დააგვირგვინა - დარტყმა მეკარემ ხელებში ვერ შეიმაგრა და დამატებაზე ყველას გაბედავამ დაასწრო.

საგოლე მომენტები ამის შემდეგაც ხშირი იყო და ვიდრე **რამაზ მუმლაძის** ფეხბურთელები ბოლომდე გამოფხიზლდნენ, ანგარიში მათთვის უკვე სავალალო იყო - გაბედავამ მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა - 3:0.

პირველი ტაიმის მიწურულს „ვიტ ჯორჯიას" ორჯერ შეეძლო იმედის მომცემი გოლის გატანა - **კლიმიაშვილის** დარტყმას მცველი გადაეღობა, **კახელიშვილს** კი მეკარემ ფეხით აუღო.

სამაგიეროდ, მეორე ნახევრის სტარტზე „გაგრამ" კიდევ უფრო ხელსაყრელი სიტუაციები ვერ გამოიყენა. პირველი ეპიზოდის გმირი ბედიაშვილი გახდა. მან ჯერ გაბედავას დარტყმა მოიგერია, დამატებაზე კი პავლიაშვილს, ფაქტობრივად, ერთი მეტრიდან არ გაატანინა. სამიოდე წუთში ექსბორჯომელ ფორვარდს კიდევ ერთხელ არ გაუმართლა, როცა ბურთს ძლიერად კი მოუქნია, მაგრამ ხარიხას გაარტყა.

მუმლაძისეულმა ცვლილებებმა მატჩში გარდატეხა ვერ შეიტანა. სანახაობრივი თამაშის ბოლო ლამაზი ეპიზოდი კი „გაგრას" შესანიშნავი კონტრიერიში იყო - კაშჩეის ფეხბურთელებმა სწრაფი კომბინაციით ბურთი უსწრაფესად ამოიტანეს დაცვიდან, პავლიაშვილმა გაბედავა მეკარეს პირისპირ შეატოვა და საბოლოო წერტილიც დაისვა - 4:0.

**ალექსანდრე კვახაძეს** პრესტიჟის გოლის გატანა თევდორაძემ არ დაანება და თამაშიც იქვე დასრულდა. არსებობს იმის ლოგიკური მოლოდინი, რომ ახალი ჩემპიონატი წინამორბედებზე უკეთესი გამოვა. დასაწყისი მართლაც შთამბეჭდავია...

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ასეთი მსაჯობით არაფერი გამოვა...

08.08.09. გორი. ქართლი
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| ბაია | 0 |

1:0 ოდიკაძე (63. ჩირიკაშვილის პასით)
სპარტაკი: ბათიაშვილი - დათუნაიშვილი, დიდავა, კვახაძე, ბოიომო - ოდიკაძე, შონია, ჩირიკაშვილი, მაისურაძე (46. ჩალაძე) - ცხადაძე (76. ჩივაძე), გოცირიძე (90. შალამბერიძე).
სათადარიგოები: შეყრილაძე, დეკანოსიძე, ჯიშკარიანი, კბილცეცხლაშვილი
ბაია: მაქაცარია - ექონია, აქუბარდია (78. ვართაგავა), ჟვანია, ონიანი - დ. ქირია (68. ხუციძე), გურჩუა, ლუნგუ, ძალამიძე, წურწუმია - კუკავა.
სათადარიგოები: ზარქუა, შონია, კუტალია, აფაქიძე, გ. ქირია
გაფრთხილება: ცხადაძე (21), დათუნაიშვილი (41), ლუნგუ (48), ონიანი (87)
არბიტრი: ო. ხეცაძე

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში ცხინვალის „სპარტაკის" შთამბეჭდავი თამაშისა და გამარჯვების შემდეგ „ქართლზე" შეკრებილი მაყურებელი მასპინძლისგან მორიგ წარმატებას ელოდა. ამ წყვილში ფავორიტად ცხინვალის გუნდს საქართველოში კი არა, თვით ევროპული ტოტალიზატორებიც („ბეთ ენდ ვინ") მიიჩნევდნენ. მწვრთნელ **ვლადიმერ ხაჩიძეს** საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და „სპარტაკის" ქომაგიც ახალ სეზონში ამ გუნდისგან უწინდელზე გაცილებით უკეთეს შედეგს ითხოვს. რაკი ქომაგი ვახსენეთ, ორიოდ სიტყვით მათზეც შევჩერდეთ - გულშემატკივარი „სპარტაკისათვის" აქტუალურ პრობლემად რჩება. მართალია, ტრიბუნაზე პუბლიკა ძალიან ბევრი არ ყოფილა, მაგრამ რაც მთავარია, იყო ხმაურიანი გულშემატკივრობა. ამ მხრივ, „ქართლზე" ბაზირებული დევნილ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „სამაჩაბლოს" პატარებიც გამორჩეულად აქტიურობდნენ. სასიამოვნოა, რომ სპარტაკელებს ამ თვალსაზრისითაც თითქმის აღარ უჭირთ და ვფიქრობთ, მომავალში გაცილებით აქტიურ ფანებსაც ვიხილავთ ტრიბუნებზე...

მოგეხსენებათ, ეს იყო ახალი ჩემპიონატის პირველი მატჩი „ქართლზე" და ტრადიციულად დროშის ალმართვით დაიწყო. ფეხბურთელებმა წუთიერი დუმილით ერთი წლის წინანდელი საომარი მოქმედებებისას დაღუპულებს მიაგეს პატივი და მინდორზე შავი სამკლაურებით გავიდნენ.

შეხვედრის დასაწყისი და მთლიანად პირველი ტაიმი ნაკლებად იყო დატვირთული საგოლე მომენტებით, ოღონდ, დაძაბული ბრძოლა მთელი 90 წუთის განმავლობაში არ განელებულა. „სპარტაკი" შეტევაში, ძირითადად, **გოცირიძისა** და მისგან პოზიციურად ოდნავ უკან მოქმედი **ცხადაძის** იმედად იყო. საპირისპირო კართან კი **ბესიკ შეროზიას, კუკავას** სახით, ეული თავდამსხმელი ჰყავდა გამწესებული.

დაძაბულობა არ მოჰკლებია მოედნის ცენტრში წარმართულ ნახევარმცველთა პაექრობას, სადაც, უნდა აღვნიშნოთ, რომ უპირატესობა ზუგდიდელთა (**გურჩუა-ლუნგუ-ძალამიძე**) მხარეს იყო. ორმხრივ იერიშებში მიმდინარე თამაშში, თავდაპირველად, ტრიბუნები **ოდიკაძისა** და **გურჩუას** მიერ კარიდან თითქმის ერთნაირი მანძილიდან და ერთმანეთის მსგავსად შესრულებულმა „სტანდარტულებმა" აახმაურეს, და ორივე მათგანი მსგავსადვე დასრულდა - საჯარიმოში გაგზავნილმა „დაბალმა" ბურთებმა ორივეჯერ ძელებთან ახლოს ჩაიქროლა.

მე-20 წუთზე სტუმრებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა მათი კუთხურისას **ჟვანიამ** ახლოდან ძლიერად დაარტყა, თუმცა ბურთი ხარიხას მოხვდა. აქ მასპინძლები ანერვიულდნენ და **ლუნგუს** წინააღმდეგ უხეში თამაშის გამო, არბიტრს ცხადაძის ყვითელი ბარათით დასჯამაც მოუწია.

„ბაიას" შეტევები ტაიმის მიწურულს უფრო გამწვავდა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მათი ფლანგელი **ლევან წურწუმია**. ამ ახალგაზრდა და ტანმორჩილმა ფეხბურთელმა ძალიან კარგად ჩაატარა მთელი შეხვედრა, დიდი სამუშაო გასწია და საკმაო თავსატეხიც გაუჩინა უშუალო ვიზავის, **პავლე დათუნაიშვილს**. შესვენებამდე გუნდებს ორ-ორჯერ ისევ მართებდათ გატანა, თუმცა 43-ე წუთზე ოდიკაძის დარტყმული სულ ოდნავ ასცდა ძელს, ერთ წუთში კი ლუნგუს კუთხურისას **ბათიაშვილი** შეცდა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და რომ არა მცველთა სიმარჯვე, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

მეორე ტაიმში სპარტაკელები ბურთს შედარებით მეტხანს აკონტროლებდნენ. მასპინძლები ცოტა ზედმეტადაც გაერთნენ იერიშებში და „ბაიას" სახიფათო კონტრშეტევების განხორციელების საშუალება არაერთხელ მიეცა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, სტუმარ ფეხბურთელთა არაზუსტი ქმედებისა და ხანაც ბათიაშვილის კარგი თამაშის გამო, ამ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. იმავდროულად, ერთობ მკვიდრად იდგა ზუგდიდელთა დაცვის ხაზიც. „სპარტაკმა" ერთხანს ამაოდ ეძება ნაპრალები **მაქაცარიას** კარის მიმართულებით, თუმცა საბოლოოდ ეს მაინც შეძლო - მე-60 წუთზე, ჩირიკაშვილის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, ოდიკაძე სახეირო პოზიციაში დარჩა, ამას მოჰყვა პატარა გადაადგილება და ზუსტი დარტყმა - 1:0.

შესაძლოა, „ბაია" გოლმა ფსიქოლოგიურად არ გატეხა (ისინი კვლავაც ეჩინანად იბრძოდნენ), მაგრამ ხაჩიძის შეგირდებს სერიოზული სტიმული კი შემატა. ჰოდა, მაქაცარიას კართან ხიფათმა იმატა. გოცირიძე რამდენჯერმე გავიდა კარგ პოზიციაში, თუმცა ბოლო მომენტებში მას ბედი არ სწყალობდა. საპასუხოდ, ზუგდიდელებმა კიდევ ორჯერ მოახერხეს კონტრშეტევებისას მეტოქის ანერვიულება, ოღონდ, ისევ უშედეგოდ. მწვრთნელებმა შემდგომ უკვე ცვლილებებით სცადეს თამაშის შემოტრიალება. ლოგიკურად, თითქოს შეხვედრის ბოლოს კიდევ ერთი გოლიც უნდა გვენახა, ამ მხრივ განსაკუთრებით „სპარტაკს" ჰქონდა შანსები, მაგრამ 84-ე და 86-ე წუთებზე გოცირიძემ მორიგი მომენტები გაანიავა. ორ წუთში **ბოიომოს** თავურსაც შეეძლო შედეგის მოტანა, თუმცა ანგარიშის გაზრდა ვერც აფრიკელმა შეძლო.

### მატჩის შემდეგ

**ბესიკ შეროზია (ბაია)**: „ჩვენ ახალგაზრდებზე გვაქვს აქცენტი აღებული და მომავლის გუნდს ვქმნით. გვინდა, ზუგდიდს ძლიერი და წარმატებული კლუბი ჰყავდეს, მაგრამ ასეთი მსაჯობით, არ ვიცი, რა გამოვა... „ბაია" არაფრით ჩამოუვარდებოდა მეტოქეს. ჩემი ფეხბურთელების გარჯით ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა შეუძლებელია, არ გამოვხატო არბიტრის მოქმედებით გამოწვეული უკმაყოფილება".

**ვლადიმერ ხაჩიძე (სპარტაკი)**: „ძლიერი ქარი იყო და პირველ ტაიმში ჩემს ფეხბურთელებს გაუჭირდათ მისთვის ალღოს აღება. აი, მეორე ნახევარში კი უკეთ ავთამაშდით და ერთის გარდა, კიდევ რამდენჯერმე შეგვეძლო გოლის გატანა... არა უშავს, ფეხბურთში ყოველთვის დიდი ანგარიშით ვერ მოიგებ. სამაგიეროდ, დავინახეთ, რომ სამუშაო ჯერაც ბევრი გვაქვს და შეცდომებს უნდა მივხედოთ".

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49**. ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



08.08.09. თბილისი. მ. მესხი. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| ოლიმპი | 2 |

1:0 გუშარაშვილი (4. ტიკურიშვილის პასით), 1:1 აკუინო (30), 1:2 ჟერონიმო (90+4)

ლოკომოტივი: ქვილითაია - ლ. ჩაგელიშვილი, ხატიაშვილი, გუშარაშვილი, გადელია - დიაკვნიშვილი - ბარბაქაძე (65. ქურდაძე), ტიკურიშვილი, ქებაძე (46. აფხაზავა), ი. გილაური - მოდებაძე (77. ჩიკვაიძე).

სათადარიგოები: კლარჯეიშვილი, გ. კვანტალიანი, მახარაძე, სოხელია

ოლიმპი: ჭანტურია - მაჭავარიანი, ფრაგა, ს. თოდუა, - სეთურიძე, ზ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი (81. ფოფხაძე), ჩოკო (46. გ. თოდუა), ჟერონიმო - აკუინო, ჟონატასი (58. დობროვოლსკი).

სათადარიგოები: მ. ალავიძე, გორდეზიანი, რეხვიაშვილი, კაკულია

გაფრთხილება: დიაკვნიშვილი (38), გუშარაშვილი (50), მაჭავარიანი (56), ლ. ჩაგელიშვილი (73)

გაძევება: გუშარაშვილი (64), ლ. ჩაგელიშვილი (76)

არბიტრი: მ. ურუშაძე

...არბიტრის მიერ დამატებული მე-4 წუთი იწურებოდა, „ოლიმპმა" ზედიზედ მესამე კუთხური რომ მოაწოდა. მასპინძელთა საჯარიმოში კვლავაც ქაოსი იყო, ბურთი კი მაინც სტუმრებს მიუვიდათ და **ალექს ფრაგამ** ახლო მანძილიდან დაარტყა, მაგრამ **მაქსიმე ქვილითაიამ** ეს დარტყმაც მოიგერია, დამატებაზე კი ყველას **ჟერონიმომ** დაასწრო და ბურთი „ლოკომოტივის" კარის ბადეში გაეხვია! აი, ასე იყო - რამდენიმე წამიც და „ლოკომოტივი" ზედიზედ მეორე ხმაურიან სენსაციას მოახდენდა! სტუმრები კი, ალბათ, სირცხვილისგან თავს ვერსად გამოყოფდნენ - უდიდესი ტერიტორიული თუ სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, ვერაფრით ახერხებდნენ... 9-კაციანი მეტოქის ძლევას. ჰო, ეს მართლაც მეტისმეტი იქნებოდა - შეხვედრის ბოლო 15 წუთში სტუმრებს მეტოქეზე 2 ფეხბურთელით მეტი ჰყავდათ, მაგრამ დაგეგმილი 3 ქულის ნაცვლად, ცოტაც და, უდიდეს განზილებას მიიღებდნენ. აქვე ერთიც უნდა ითქვას - როცა მეტოქის კართან, სულ მცირე, ორ ათეულამდე (!) მომენტს შექმნი, ალბათ, რეალიზაციის პროცენტი სასურველთან ოდნავ მიახლოებული მაინც უნდა იყოს. ისე კი, წარმოგვიდგენია, რა რეაქცია ექნებოდათ „ოლიმპის" საქომაგოდ ჩასულ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციისა თუ ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობას, ეს მატჩი ფრედ რომ დასრულებულიყო...



აკუინო (ბურთით) რუსთაველთაგან გამორჩეული იყო

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# რაოდენობა და ხარისხი სხვადასხვა ცნებებია

...ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა - **გელა სანაიამ** და **ოთარ კორღალიძემ** - წინა მატჩთან შედარებით, გარკვეული კორექტივები შეიტანა ძირითად შემადგენლობებში. მასპინძელთა შორის ახალწვეულიც გამოჩნდა - **ლაშა ქებაძე**, ვისაც ადრე „ლოკომოტივშიც" უთამაშია და „ოლიმპშიც". აი, რუსთაველთა გუნდის ძირითადში კი ერთდროულად ხუთივე ბრაზილიელი ვიხილეთ. თუმცა არავის გაჰკვირვებია, პირველი ტაიმის მერე ბრაზილიელთა რაოდენობა ერთით რომ შემცირდა - **ჟოაო და სილვა** (იგივე, „ჩოკო") ყველა კომპონენტში აშკარად ჩამოუვარდება თანამემამულეებსაც და სხვა თანაგუნდელებსაც.

სამაგიეროდ, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა **აკუინოს** (ასე გამოითქმისო, გვითხრეს) შემთხვევაში - „ოლიმპის" მეათე ნომერი მოედანზეც უდავოდ გამორჩეული იყო (ბოლოს ცოტა დაღლა დაეტყო) და საერთოდაც: თუ ასე გააგრძელა, თავისუფლად ექნება პრეტენზია საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ლეგიონერობაზეც. ის მართლაც გამორჩეული ფეხბურთელია და როგორც კი პარტნიორებთან უფრო კარგად შეთამაშდება, თავის შესაძლებლობებს გაცილებით უკეთ წარმოაჩენს. ამჟამად კი „ოლიმპის" ყველა შეტევას სწორედ ეს ბრაზილიელი იწყებდა, აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ თითქმის ყველა „სტანდარტულსაც" საკმაოდ ოსტატურად ასრულებდა. სწორედ მის მიერ ეფექტურად შესრულებულ საჯარიმო დარტყმას მოჰყვა კიდეც სტუმართა საპასუხო გოლი - დაახლოებით 20-22 მეტრიდან მეკარისგან შორეულ კუთხეში რომ გაგზავნა ბურთი. არადა, მანამდე „ოლიმპს" ერთმანეთზე უკეთესი რამდენიმე მომენტი ჰქონდა, მაგრამ **ჟონატასის**, ჟერონიმოს, **ჭელიძისა** და იმავე აკუინოს დარტყმებს ქვილითაიას საიმედო და თავგანწირული თამაში ეღობებოდა წინ.

ტაიმის ბოლო წუთები ხომ, ფაქტობრივად, „ცალკარას" დაემსგავსა, ჟონატასმა და ჟერონიმომ ზღაპრული შანსები ვერ გამოიყენეს... ისე კი, ნეიტრალურ ქომაგსაც ესიამოვნებოდა ბრაზილიელების მიერ ერთ-ორ ეპიზოდში, ტექნიკის დემონსტრირება. ლამაზი ფინტი თუ ქუსლით პასი (ან გნებავთ, დარტყმა), რაღა თქმა უნდა, თვალს ახარებს, მაგრამ ეს მაშინ არის „ნებადართული", როცა თამაშს დიდი ანგარიშით იგებ. პირველ ტაიმში კი (და, საერთოდაც... 95 წუთის განმავლობაში) სტუმრებს საამისოდ საქმე ნამდვილად არ ჰქონდათ, მით უფრო, რომ შეხვედრის დასაწყისი მათთვის და რუსთავიდან მრავლად ჩამოსული ქომაგისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა - კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე ყველას „ლოკომოტივის" კაპიტანმა **ნიკა გუშარაშვილმა** დაასწრო და მძლავრი თავურით გახსნა ანგარიში.

5 წუთიც არ იყო გასული ამ ეპიზოდიდან, რომ მასპინძელთა მეორე შეტევას კინაღამ მეორე გოლიც მოჰყვა - **გიორგი მოდებაძე** ოსტატურად გასცდა მეურვეს, მეტოქის საჯარიმოს კუთხიდან მძლავრად დასცხო და „ოლიმპი" **გრიგოლ ჭანტურიას** რეაქციამ გადაარჩინა. რომ არა გამოცდილი მეკარის დამაჯერებელი თამაში, გოლი მართლაც გარდაუვალი იქნებოდა. ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას კი სტუმრები როგორ შეძლებდნენ, ძნელი სათქმელია...

ასეთი დახუნძლული იყო მოვლენებით პირველი ტაიმი, მეორე ნახევარი კი შედარებით ნელ ტემპში დაიწყო. თუმცა მატჩის სცენარი იგივე იყო - „ოლიმპი" გამუდმებით უტევდა, მაგრამ ხან ისევ ქვილითაია ყოჩაღობდა, ხან კიდევ სტუმართა შეტევებს ბოლო ფაზაში სიზუსტე აკლდა. **გიორგი სეთურიძე, აკუინო, ნოდარ მაჭავარიანი, გია თოდუა, შოთა ბაბუნაშვილი** - ყველა ამ ფეხბურთელს ერთი-მეორეზე უკეთესი შანსი ჰქონდა...

ამასობაში კი მასპინძლები უკვე 9 კაცით იყვნენ დარჩენილნი. ყველაზე პარადოქსული ის იყო, რომ ორივე ეპიზოდში, გუშარაშვილმაც და **ჩაგელიშვილმაც**, ამ შეხვედრაში მეორე ყვითელი ბარათი მოედნის ცენტრის სიახლოვეს, უწყინარ სიტუაციაში მიიღეს, თუმცა ორივეჯერ უხეშობა აშკარად ჩანდა და არბიტრსაც სხვა გზა არ დარჩენოდა. ისე, მსაჯობა მეტ-ნაკლებად ობიექტური იყო, თუ არ ჩავთვლით შეხვედრის მიწურულს, როცა, ცოტა არ იყოს, გარკვეული სიმპათია იგრძნობოდა მატჩის ფავორიტად შერაცხილი გუნდის მიმართ...

...თამაშის დასრულებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, ქვილითაიამ რომ მოახერხა და თოდუას... ორი მეტრიდან დარტყმული ბურთი აუღო, მერე იყო ის დამატებული 5 წუთი (ამ ფაქტმაც ბევრი გააოცა) და მასირებული შტურმი მასპინძელთა კართან - ბურთი „ლოკომოტივის" საჯარიმოს არ გასცილებია. თუმცა მასპინძელთა ქომაგ-მწვრთნელ-ფეხბურთელთათვის სამწუხაროდ, ჟერონიმომ ზუსტად დაჰკრა და საკუთარ გუნდს გაამარჯვებინა!..

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 3. ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 4. გაგრა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 6. ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 7. დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 8. სამტრედია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 9. ბაია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 10. სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |

**მომდევნო ტური**

**15 აგვისტო, შაბათი**

დინამო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სიონი
ზესტაფონი-გაგრა
ოლიმპი-სამტრედია
ბაია-ლოკომოტივი

08.08.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე 3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 0 |
| ზესტაფონი | 2 |

0:1 გ. ხიდეშელი (34. აფციაურის პასით), 0:2 დვალი (40. გელაშვილის პასით)

სამტრედია: ხარძეიშვილი - გოგია, ბ. ხაჭიპერაძე, კვესიეშვილი, ქორიძე - ჩომახიძე, ჯანგიძე, ბაკურაძე (46. ზ. ხაჭიპერაძე), კირთაძე (87. ეცადეიშვილი) - კაკალაძე, ბაკარანძე (71. ნინუა).

სათადარიგოები: ჯინჭარაძე, ფირცხალავა, გუბელაძე, ჯიქიძე

ზესტაფონი: მამალაძე - ლობჟანიძე, ონიანი, გ. ხიდეშელი, ელიავა - აფციაური (69. გორგიაშვილი), დაუშვილი, გრიგალაშვილი, კორღალიძე (53. ბენაშვილი) - გელაშვილი, დვალი (80. იონანიძე).

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ცხადაია, ნ. კვასხვაძე, მაკარიანი

გაფრთხილება: ქორიძე (45), ხიდეშელი (58), ბაკარანძე (65)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

# ზეიმი შედგა!

მრავალწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ სამტრედიამ უმაღლესი ლიგის მატჩს უმასპინძლა. „მუდამ მზიანი" ქალაქი იმერულ დერბის წვიამიანი ამინდით შეხვდა. მიუხედავად ამისა, სამტრედიაში ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იყო. გულშემატკივრებმა მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე შეავსეს გარემონტებული სტადიონი. არენას ტრიბუნა მხოლოდ ერთ მხარეს აქვს და ყველა გულშემატკივარს როდი შეხვდა ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილი, თუმცა ამ პატარა ქალაქში ფეხბურთი იმდენად უყვართ, ვერც უადგილობამ თუ მატჩის წინ წამოსულმა კო-



კისპირულმა წვიმამ დააფრთხო ადგილობრივი ქომაგი. სამტრედიაში სტუმარი გუნდის 30-მდე ერთგული ფანიც ჩავიდა. სხვათა შორის, ისინი ადგილობრივ ქომაგებს ნამდვილად არ ჩამორჩებოდნენ ყიჟინაში... მოკლედ, კარგი საფეხბურთო გარემო შეიქმნა და ერთადერთი, რაც ამ ყველაფერს ხელს უშლიდა, ის იყო, რომ ფეხბურთელებს სველ მინდორზე ბურთის გორება უჭირდათ, თუმცა თამაშის მიმდინარეობისას წვიმამ გადაიღო...

სამტრედიაში დიდი ფეხბურთის დაბრუნებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გუნდების კაპიტნებმა საქართველოს დროშა აღმართეს და გულშემატკივართა გამაყრუებელი ყიჟინის თანხლებით მატჩიც დაიწყო. „ზესტაფონმა", რომელმაც პირველ ტურში „ლოკომოტივთან" შინ მოულოდნელად დაკარგა ქულები, თამაში აქტიურად დაიწყო, თუმცა **ჯაბა დვალისა** და **ლევან კორღალიძის** დარტყმები მასპინძლებისთვის სახიფათო ვერ გამოდგა. სამაგიეროდ, მე-11 წუთზე სამტრედიელებს მიეცათ გოლის გატანის კარგი შანსი - **კახი კირთაძის** მიერ მარცხენა ფლანგიდან წამოწყებული შეტევა **ლევან ბაკურაძემ** გააგრძელა, მისგან **ვაჟა ქორიძემ** მიიღო ბურთი, ორ მცველს შორის სახიფათოდ დაარტყა და ბურთმა ზესტაფონელთა კარის მარჯვენა ძელს ჩაუქროლა.

ამ ეპიზოდმა სტუმრები გამოაფხიზლა და მოედანზე **გია გეგუჩაძის** გუნდი გაბატონდა. ზედიზედ ორჯერ დვალმა დასცხო სახიფათოდ, მე-18 წუთზე კი გელაშვილის მიერ ახლო მახვილი კუთხიდან დარტყმული **ხარძეიშვილმა** მოიგერია. ამას ისევ დვალის შეტევა მოჰყვა და აშკარა იყო, რომ სამტრედიელთა კარში გოლი მწიფდებოდა. „ნეტა სადამდე გვეყოფა პოროხიო", - წამოიძახა ერთმა ადგილობრივმა ფანმა და... ანგარიშიც გაიხსნა: **აფციაურმა** კუთხურიდან მეკარის საჯარიმოსთან ჩაჰკიდა ბურთი, სადაც ყველას ხიდეშელმა დაასწრო და ლამაზი თავურით დაამწუხრა სამტრედიელები - 0:1.

მასპინძლებს სამიოდე წუთში შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით **მიხეილ კაკალაძემ** ვერ ისარგებლა. მალე „ზესტაფონმა" მეორედაც იხეირა - მე-40 წუთზე სამტრედიელებმა მოედნის ცენტრთან დაჰკარგეს ბურთი და სტუმრებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, გელაშვილის გადაცემის შემდეგ დვალი მეურვეს დაუსხლტა და ხარძეიშვილს აუღებელი დაურტყა - 0:2. ტაიმის ბოლოს გელაშვილს ბარე ორჯერ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მასპინძლები ორივეჯერ მეკარემ იხსნა.

სამტრედიელთა გამოცდილმა დამრიგებელმა **ვალერიან ჩხარტიშვილმა** მეორე ტაიმში მოედანზე ახალგაზრდა ფორვარდი **ზაურ ხაჭიპერაძე** შეუშვა, თავდამსხმელების უკან კი გამოცდილი **შოთა ჩომახიძე** გაამწესა. მასპინძლები შესამჩნევად გააქტიურდნენ და ტრიბუნებიც აიყოლიეს. განსაკუთრებით შეცვლაზე შემოსული ხაჭიპერაძე აქტიურობდა და 67-ე წუთზე მისი ბრწყინვალე სოლორეიდი შედეგიანი რომ გამომდგარიყო, სეზონის ულამაზესი გოლის ნომინაციაში გამარჯვება გარანტირებული ექნებოდა. ახალგაზრდა ფორვარდმა ოთხი ზესტაფონელი ჩამოიცილა, მეკარე **მამალაძეც** ზედ მიაყოლა, მაგრამ მახვილი კუთხიდან კარში ველარ მოარტყა.

მოგვიანებით მან კიდევ ერთხელ აანერვიულა ზესტაფონელები, როცა ბრწყინვალე ფინტით **ონიანი** სახტად დატოვა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და მეკარემ აუღო, შემდეგ კაკალაძეს გაუკეთა კარგი გადაცემა, მაგრამ სამტრედიელთა გამოცდილი ფორვარდი ვითარებაში ვერ გაერკვა და მცველებმა დაასწრეს. სამტრედიელები პრესტიჟის გოლის გატანას ცდილობდნენ და მეტოქეს ხშირად აწუხებდნენ, მაგრამ კონტრშეტევაზე გადართულმა „ზესტაფონმა" გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნა - შეცვლაზე შესულმა **ბენაშვილმა** ზედიზედ ორჯერ სახიფათოდ დაარტყა, მატჩის მიწურულს კი გელაშვილსა და **იონანიძეს** ჰქონდათ გოლის გატანის კარგი შანსები, მაგრამ ორივეს მეკარემ აუღო.

მასპინძელთა მარცხის მიუხედავად, სამტრედიაში საფეხბურთო ზეიმი შედგა. მერე რა, რომ „სამტრედიამ" საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან წააგო, ვალერიან ჩხარტიშვილის გუნდს ყველაფერი წინ აქვს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „ეროსი მანჯგალაძეზე" იოლი გასეირნება არც ერთ გუნდს არ ექნება.

**დავით კოხრეიძე**
**სამტრედიიდან**

ინტერვიუ

## დავით ოდიკაძე
# შეიძლება, მაინც წავიდე

**დავით ოდიკაძე ცხინვალის „სპარტაკის“ წინადადებას დათანხმდა. უნგრეთიდან წამოსული საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი, კარიერის გაგრძელებას კვლავ უცხოეთში აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად წინა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერში აღმოჩნდა. „სპარტაკი“ წელს სხვა ამბიციის გუნდია, რაც განვლილ ტურებშიც გამოჩნდა. ახალ გუნდში გამოცდილმა ფეხბურთელმა შაბათს პირველად გაიტანა – ცხინვალელებმა ზუგდიდის „ბაია“ მისი ერთადერთი გოლით დაამარცხეს.**

**- დათო, „სპარტაკში“ როდემდე ითამაშებ?**

- კონტრაქტი ზამთრამდე გაფორმდა, თუმცა, ხელმძღვანელობასთან შევთანხმდი, რომ საინტერესო წინადადების შემთხვევაში, „სპარტაკს“ დავტოვებ.

**- წინადადებას დღემდე ელოდები?**

- დიახ, საკმაოდ სოლიდურ კლუბში მოხვედრის შანსი კიდევ მაქვს. თუმცა, სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, გუნდს ვერ დავაკონკრეტებ.

**- ბევრი ფიქრობდა, რომ „დინამოში“ დაბრუნდებოდი.**

- „დინამოში“ თამაშის სურვილი ყოველთვის მექნება. კლუბშიც იცოდნენ, უგუნდოდ რომ ვიყავი, მაგრამ არაფერი უთქვამთ - ეტყობა, ინტერესი აღარ ჰქონდათ. მთავარია, რომ ახლაც ამბიციურ კლუბში მოვხვდი. „სპარტაკის“ დონე შედეგიდანაც ჩანს, ორივე შეხვედრა მოვიგეთ და პირველ ადგილზე ვართ. გუნდი რომ არ მომწონდეს, კონტრაქტს არც გავაფორმებდი. ერთადერთი, შეთამაშება გვაკლია, მაგრამ ამასაც მოევლება. „სპარტაკი“ ჩემთვის მისაღები იმიტომაც არის, რომ სათამაშო პრაქტიკა მექნება.

**- კარგად კი დაიწყეთ, მაგრამ „სპარტაკს“ სამეულისთვის ბრძოლა შეუძლია?**

- დარწმუნებულიც ვარ, ასეც იქნება. კარგად დავიწყეთ და მთავარია, ასევე გავაგრძელოთ. შარშან აუტსაიდერები რომ ვიყავით, ეს ფეხბურთში არაფერს ნიშნავს. ხელმძღვანელობა გუნდს ყველა იმ პირობას უქმნის, რაც საქართველოში საუკეთესოდ ითვლება, შემადგენლობაც ძლიერია, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მწვრთნელი გვავარჯიშებს და ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

**- ცხინვალის „სპარტაკში“ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების ძველი და ახალი წევრები დაიმატეს. ეტყობა, ფულიანი გუნდია.**

- საქართველოს დონეზე, ძალიან კარგი პირობებია და ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო. კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი „სპარტაკის“ მაღალ დონეზე ასაყვანად არაფერს იშურებს. კაცი ვარჯიშს არ აცდენს, ასეთი არ მინახავს.

**- „სპარტაკს“ საკუთარი ბაზა რომ არ გააჩნია, ეს ხელს არ გიშლით?**

- ეს მინუსია, მაგრამ „ლოკომოტივზე“ ვვარჯიშობთ და პრობლემა არაა. თუმცა, „ბაიასთან“ შეხვედრამდე, სამი დღე „ავაზას“ ხელოვნურსაფრიან მოედანზე გადავედით და ბალახზე გადასვლა გაგვიჭირდა. ზუგდიდის „ბაიამაც“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. ეს გუნდიც ძალიან მომეწონა და ვალტერ გუჩუაც. როგორი საქმეა, ფეხბურთში სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ ისე კარგად გამოიყურება, თითქოს, დღე არ ჰქონდეს გაცდენილი. „ბაია“ გასვლაზე თუ ასე კარგად თამაშობს, წარმოუდგენია, მეტოქეს სახლში რამხელა პრობლემებს შეუქმნის. ზუგდიდელებს ხუთეულში მოხვედრა შეუძლიათ.

**- ბოლო ორი შეხვედრაა, ექტორ რაულ კუპერი ეროვნულ ნაკრებში აღარ გიწვევს. უნგრეთის შემდეგ, უგუნდოდ იყავი და ალბათ, ლოგიკურიცაა.**

- მიზეზი ჩემთვის უცნობია, რადგან გაფართოებულ სიაში დამასახელა და ამ დროისთვის ვვარჯიშობდი. არაფერია, ვითამაშებ და იმედია, ისევ მიმიწვევს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები



ლევან კობიაშვილის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა



დავით დევდარიანმა სეზონში პირველი გოლი გაიტანა

# ლევან ყენია: ხუთი წუთი საგოლე პასისთვის
## სირაძის ხელმეორე დებიუტი ნალჩიკში

**ქართული ლეგიონის ყველაზე დიდი მოვლენა ამ უქმეებზე უდავოდ ლევან ყენიას პირველი საგოლე პასია ბუნდესლიგაში. ლევანს ამისთვის არასრული რვა წუთი დასჭირდა, სამი შარშანდელ სეზონში და ხუთი შაბათს „ნიურნბერგის“ წინააღმდეგ. ყენიას პასით თავისი კარიერის მორიგი გოლი გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა კევინ კურანიმ ჩაიწერა. დანიაში სეზონის გოლების ანგარიში გახსნა დავით დევდარიანმა („ორჰუსი“), ხოლო რუსეთში ყოფილ კლუბს დავით სირაძე დაუბრუნდა.**

### ყენია: ბუნდესლიგისთვის მზად ვარ

სტარტიც ასეთი უნდა - 18 წლის ლევან ყენიამ ბუნდესლიგის პირველივე ტურის მატჩში საგოლე პასით გამოიჩინა თავი. შესვენების შემდეგ **ივან რაკიტიჩის** ნაცვლად შესულმა ყენიამ ზუსტად ხუთ წუთში მარცხენა ფლანგზე გაინავარდა, მცველს გაცდა და ღონივრად ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ბურთს კევინ კურანიმ დროულად მიუსწრო. ამ გოლის წყალობით „შალკე 04“ სტუმრად 2:0 დაწინაურდა „ნიურნბერგის“ წინააღმდეგ. რადგან 88-ე წუთზე მასპინძელმა **მარეკ მინტალმა** ერთი გოლი გაქვითა, ყენიას საგოლე პასი გამარჯვების გოლისა გამოდგა. ეს ქართველის მეორე მატჩია ბუნდესლიგაში, გასულ სეზონში მან „კარლსრუესთან“ არასრული სამი წუთი ითამაშა. ლევანს არც დარჩენილ დროში უთამაშია ურიგოდ, აქტიურობდა, თუმცა საგოლე მომენტი არ ჰქონია.

ამ თამაშმა ერთნაირად გაგვახარა და დაგვამწუხრა კიდეც, თუკი ლევან ყენიამ თავი გამოიჩინა, მისმა თანამემამულე **ლევან კობიაშვილმა** პირველ ტაიმში ტრავმა მიიღო (კოჭში უთავაზეს) და შესვენების შემდეგ თამაში ველარ განაგრძო. თუმცა ტრავმა უმნიშვნელო აღმოჩნდა.

თამაშის შემდეგ ლევან ყენიამ „შალკეს“ ოფიციალურ საიტს განუცხადა, რომ ის მზადაა ბუნდესლიგისთვის: „ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი თამაშით. მოხარული ვარ, რომ მეორე გოლი ჩემი პასით გავიდა. ვგრძნობ, მზად ვარ ბუნდესლიგაში სათამაშოდ, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მწვრთნელის გადასაწყვეტია“.

„შპორტალმა“ ლევან ყენიას 3 ბალი დაუწერა, მასზე მაღალი შეფასება მხოლოდ მატჩის გმირმა კურანიმ (1,5) მიიღო: „შალკეს“ თამაშში დინამიურობა შემოიტანა, რისი შედეგიც „შალკეს“ მიერ გატანილი მეორე გოლია“. ლევან კობიაშვილმა მხოლოდ 4,5 ბალი მიიღო.

მეორე ბუნდესლიგის პირველ ტურში **ალექსანდრე იაშვილმა** ხელი მოიტეხა, „კარლსრუეს“ კაპიტანს უკვე გაუკეთეს ოპერაცია, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ ის სულ მცირე სამ კვირას იუქმებს იძულებით. „შპორტალმა“ იაშვილის თამაში 4-იანით შეაფასა.

გუშინ მეორე ბუნდესლიგა მოგებით დაიწყო **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა“. „ლომებმა“ შინ 2:0 დაამარცხეს „კობლენცი“. მათემ 90 წუთი ითამაშა, „შპორტალმა“ მას 3,5 ბალი დაუწერა.

### დევდარიანმა ანგარიში გახსნა

ნაკრებში წამოსვლის წინ შესანიშნავი განწყობა დაიბევა **დავით დევდარიანმა** - მისი „ორჰუსი“ სასლიგის ერთპიროვნული ლიდერია 10 ქულით, ხოლო ბოლო ტურში მან სეზონის პირველი გოლი გაიტანა. „ორჰუსმა“ „კიოგეს“ უმასპინძლა და 2:1 მოუგო. ანგარიში მე-60 წუთზე გახსნა ანგარიში - მან **პოულსენის** დარტყმულს დაამატა. ქართველი 71-ე წუთზე შეცვალეს. გამარჯვებით დაიწყო სეზონი ვიასატდივიზიონის „ვიბორგმა“, **გიორგი ფოფხაძის** გუნდმა შინ 2:1 დაამარცხა „როსკილდე“. საქართველოს ნაკრების მცველმა შეუცვლელად ითამაშა.

შოპრონილიგის მე-3 ტურში **რატი ალექსიძის** „დიორი“ სტუმრად „კეჩკემეტთან“ დამარცხდა - 0:2. შეგახსენებთ, რომ ქართველი ფორვარდი ტრავმის გამო ვერ თამაშობს. უნგრული წყაროების მტკიცებით, რატი კიდევ კარგა ხანს ვერ შეძლებს თამაშს.

ავსტრიული ბუნდესლიგის მე-4 ტურში **ილია კანდელაკის** „შტურმი“ ქულების დაუკარგავად ასპარეზობს, გუშინ „შტურმი“ კარნტენის „აუსტრიას“ ეწვია და 3:1 მოუგო. გრაცელებს 3 თამაშიდან 9 ქულა აქვთ. ილიამ 90 წუთი ითამაშა.

### ჯანო შაბათს არ იყო, იქნება დღეს?

რუსული პრემიერლიგის მე-17 ტურში ნალჩიკში ორი „სპარტაკის“ დაპირისპირება უხვგოლიანი გამოდგა, მოსკოვის „სპარტაკმა“ იმარჯვა - 4:2. ალექსის დისკვალიფიკაციის გამო ვიმედოვნებდით, რომ მოსკოველთა გუნდში 16 წლის **ჯანო ანანიძე** გამოჩნდებოდა (რომელმაც წინა დღით დუბლებში ტაიმი ითამაშა), მაგრამ **ვალერი კარპინმა** მას სათადარიგოს როლი ამყოფინა. თუმცა ქართველ გულშემატკივარს ყველაზე მეტად ის აინტერესებს, რას იზამს ჯანო დღეს - წესით, მან აეროპორტს უნდა მიაკითხოს და მოსკოვი-ლა ვალეტას რეისს დაემგზავროს. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** 90 წუთი ითამაშა მასპინძელთა შორის. გუნდმა 4 გოლი გაუშვა, ბუნებრივია, ამისულაშვილი კარგად ვერ ითამაშებდა, **ბისტროვის** გოლისას, მას საჯარიმოში ფეხი დაუცდა და დავარდა. championat.ru-მ ქართველ მცველს 5 ქულა დაუწერა, რომელმაც მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. 68-ე წუთზე **გოგიტა გოგუაც** გამოჩნდა (championat.ru - 5), ხოლო 89-ე წუთზე **დავით სირაძეც** ვიხილეთ. შარშან სირაძემ 27 მატჩში 4 გოლი გაიტანა, თუმცა შემდეგ „სპარტაკიდან“ წავიდა, ახლა კი დაუბრუნდა ყოფილ გუნდს. სირაძეს რთული ამოცანა აქვს, უნდა დაეხმაროს ნალჩიკელთა გუნდს ბოლოსწინა ადგილიდან ამოსვლაში. მოსკოვის „სპარტაკი“ 33 ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო ნალჩიკის „სპარტაკი“ 11 ქულით - ბოლოდან მეორეზე.

ყაზანის რუბინმა“ მოსკოვში ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო „მოსკვას“ - 3:1. **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგო იყო, თუმცა მას მოულოდნელად თამაშში ჩართვის შანსი მიეცა, რომან შარონოვმა ტრავმა მიიღო და 23-ე წუთზე ლაშა მოედანზე ვიხილეთ. ლაშამ 5,5 ბალი შეფასება მიიღო. **დავით კვირკველია** მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა. „რუბინი“ 34 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სტუმრად 3:1 დაამარცხა „კრილია სოვეტოვი“. **მალხაზ ასათიანმა** 90 წუთი ითამაშა (შეფასება - 6), მეორე ტაიმში მან ყვითელი ბარათი ხელით თამაშისთვის მიიღო. 76-ე წუთზე სტუმართა კართან საეჭვო მომენტი მოხდა, აფხაზური წარმოშობის რუსი **რუსლან აჯინჯალი** საჯარიმოში შეიჭრა და ასათიანთან ორთაბრძოლის შემდეგ დაეცა, მსაჯმა აჯინჯალს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი მისცა, თუმცა მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ. **დავით მუჯირი** სათადარიგო იყო. ზედიზედ მეორე გამარჯვებამ „ლოკომოტივს“ (25 ქულა) მე-6 ადგილზე ალზევების საშუალება მისცა. „ტერეკმა“ მოსკოვში „დინამო“ 1:0 დაამარცხა, **ლევან გვაზავა** ბოლო წუთზე გამოჩნდა, მიუხედავად ამისა ერთი საგოლე მომენტი მაინც შეექმნა. „ტერეკი“ 24 ქულით მე-8 ადგილზეა.

პირველ დივიზიონში კვლავ დაკარგა ქულები „ანჟიმ“. **ომარ თეთრაძის** გუნდი სტუმრად „ბალტიკას“ დაუზავდა - 0:0. „ანჟი“ 41 ქულით მეორე ადგილზეა.

### ფანცხავა დებიუტს მიუახლოვდა

უკრაინული ვიშალიგის მე-4 ტურში **სანდრო გურულის** „კარპატიმ“ 4:0 გაანადგურა **გიორგი ციმაკურიძის** აწ უკვე ყოფილი გუნდი „ზარია“. სანდრო 79-ე წუთზე (3:0-ზე) შეცვალეს. **ვასილ გიგიაძის** „ტავრიამ“ „კრივბასი“ 3:1 დაამარცხა. **ვასილ გიგიაძე** მატჩის შუაწელი ითამაშა, ის მოედანზე 30-ე წუთზე შევიდა და 71-ეზე შეცვალეს.

როგორც ჩანს, კლუბის გამოცვლამ **ვლადიმერ ბურდულის** უთამაშებლობას ვერ უშველა, „ზაკარპატიემ“ 0:2 წააგო „მეტალისტთან“ და ბურდულმა ამ შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან უყურა. მოუთმენლად ველით **ვახტანგ ფანცხავას** დებიუტს უკრაინაში, ვახტანგი გუშინ ახლოს იყო დებიუტთან, მატჩის განაცხადში მოხვდა, თუმცა თამაშმა არ მოუწია. ფანცხავას „მეტალისტი“ 9 ქულით მე-3 ადგილზეა, „ზაკარპატიეს“ ჯერ ქულა არა აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერები



### ციმაკურიძე ჟილინაში

უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ვერ ვიხილეთ **გიორგი ციმაკურიძე**. თავიდან გვეგონა, ქართველ ფეხბურთელს ტრავმა აწუხებდა, თუმცა „კარპატი“-"ზარიას" მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ლუგანსკელთა თავკაცმა **იური დუდნიკმა** განაცხადა, რომ ციმაკურიძე სლოვაკურ „ჟილინაში“ გადავიდა და თუ დღეს ის წარმატებით გაივლის სამედიცინო შემოწმებას, ამ კლუბში ჩაირიცხება. ბოლო სეზონში „ჟილინამ“ მე-2 ადგილი დაიკავა. 25 წლის ფეხბურთელი მეორე ქართველი ლეგიონერი იქნება სლოვაკეთში, „ნიტრაში“ **ირაკლი ლილუაშვილი** თამაშობს, თუმცა მას პირველი ტურის შემდეგ არ უთამაშია.

### ...და კიდევ სამი ქართველი ოლიმპიკში

შუღავანის (ადრე ბაქოს) „ოლიმპიკი“ სამი ქართველი ლეგიონერით შეივსო, რომელთაგანაც შედარებით ცნობილი ბრესტის „დინამოს“ ყოფილი ფორვარდი **რომან გოგინაშვილია**. მის გარდა კლუბში **ნუგზარ კვირტია** და **რამაზ ჯაბნიძე** ჩაირიცხნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ნაკრები

მალტა-საქართველო

ამხანაგური მატჩი

# ანანიძე მალტაში არ ჩავიდა!

საქართველოს ნაკრები უკვე მალტაშია. 12 აგვისტოს **ექტორ კუპერის** გაწვრთნილი კრებული იქაურ ეროვნულ გუნდს „ტა ქალის" ნაციონალურ არენაზე დაუპირისპირდება. მალტელთა მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ ბუტიგეგმა** ჩამოწერა 20-კაციანი სია, რომელიც მატჩისთვის 2 ფეხბურთელით შემცირდება. აი, ეს შემადგენლობაც:

მეკარეები - **ენდრიუ ჰოგი (ვალეტა), მარიო მუსკატი (ჰიბერნიანსი);**

მცველები - **ენდრიუ აგიუსი (კაზინო, იტალია), იან აზოპარდი (შლიმა), ჯონათან კარუანა (ჰიბერნიანსი), ლუკა დიმეჩი, კენეტ შიკლუნა (ვალეტა), ალექს მუსკატი (შლიმა), ბრაიან საიდი (მარსაქსლოკი);**

ნახევარმცველები - **ჟილბერტ აგიუსი, როდერიკ ბრიფა, ჯეიმს პეისი, კევინ სამუტი (ყველა ვალეტა), კლეიტონ ფაილა, რაიან ფენეჩი (ორივე შლიმა), შონ ბაჯადა (ბირკირკარა);**

თავდამსხმელი - **ენდრიუ კოენი (ჰიბერნიანსი), მაიკლ მიფსუდი (უგუნდოდ), ანდრე შკემბრი (კერნტენი, ავსტრია), ივან ვუდსი (შლიმა).**

ეს შეხვედრა მალტელთათვის 9 სექტემბერს, შვედებთან გასამართი საკვალიფიკაციო მატჩის გენერალური რეპეტიციაა. ამას გარდა, მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჯონ ბუტიგეგის დებიუტიც შედგება, რომელიც მან **დუშან ფიტცელის** ავადმყოფობის გამო დაიკავა. მასპინძლებს ვერ დაეხმარებიან „შეფილდ იუნაიტედის" მეკარე **ჯასტინ აბერი**, „ბარნსლის" თავდამსხმელი **დანიელ ბოგდანოვიჩი, მენი მუსკატი** და **ჯონ ჰათჩისონი**.

მატჩს კვიპროსელი არბიტრი **პანიკოს კაილისი** განსჯის. თამაშზე დასასწრები ბილეთის ფასი მამაკაცებისთვის 8 ევროა, ქალებისა და ბავშვებისთვის კი 4 ევრო.

მალტის ფედერაციის ვებგვერდზე ტარდება გამოკითხვა, სადაც გულშემატკივართა 53.75% თავისიანთა გამარჯვებაშია დარწმუნებული, 18.59% ფრეს ვარაუდობს, საქართველოს მოგებას კი - 27.67%.

ამასობაში, თბილისიდან კუნძულზე გამგზავრებული ქართული დელეგაცია (საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები, პლუს ჰაიფას „მაქაბის" თავდამსხმელი **ლადო დვალიშვილი** და ზაქათალის „სიმურგის" მცველი **თემურ ღონღაძე**) მალტაში გუშინ 13:30 საათზე ჩაფრინდა და ქალაქ შლიმას სასტუმრო „პალასში" დაბინავდა. გუშინვე, საღამოს, ნაკრებს „შალკეს" ნახევარმცველები, **ლევან კობიაშვილი** და **ლევან ყენია**, აგრეთვე, „ბლექბერნის" მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** შეუერთდნენ. ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძის** თქმით, კობიაშვილს ტრავმა არ აწუხებს და გუშინ საღამოს ჩვეულებრივ ივარჯიშა.

ნაკრებმა „ტა ქალზე" მსუბუქი წვრთნა ჩაატარა, კუპერმა ფეხბურთელები მხოლოდ ერთი საათით დატვირთა - ნამგზავრი ფეხბურთელების გადაღლას მოერიდა. არგენტინელი მწვრთნელი თბილისის „დინამოს" თავდამსხმელ **მათე ვაწაძეს** ამჯერადაც ვერ დააკვირდება - ის გუნდს მალტაშიც ვერ დაეხმარება, რადგან „ცრვენა ზვეზდასთან" ბელგრადულ შეხვედრაში კუნთი დაეჭიმა და 12 აგვისტომდე მისი გამოჯანმრთელება გამოირიცხა.

ახლა კი მთავარი შოკი: მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** მალტაში არ ჩავიდა. აი, რა გვითხრა ცნობილაძემ:

*„ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ანანიძის ნათესავი დაუკავშირდა და უთხრა - ჯანო ავად არის და ვერ ჩამოვაო. ჯერჯერობით, ჩვენ არ ვიცით, რეალურად რა არის მისი ჩამოუსვლელობის მიზეზი. ამიტომ, დაველოდებით „სპარტაკის" ოფიციალურ დასტურს, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეა. ექტორ კუპერის რეაქცია დაგაინტერესებთ - ყველა წესისა და კანონის დაცვით, მან ფეხბურთელის ჩამოსვლა მოითხოვა. თუ გახსოვთ, მალტაში გამგზავრებამდე პრესკონფერენციაზე ნაკრების თავკაცმა ეს წესი გარკვევით ახსენა - ნაკრებში მიწვევის შემთხვევაში, კლუბი ვალდებულია, ფეხბურთელი გაუშვას, თუნდაც ტრავმირებული იყოს, თუ არა და, „სპარტაკმა" ოფიციალური ახსნა-განმარტება უნდა მოგვცეს".*

„სოვეტსკი სპორტი" კარგად ინფორმირებულ გამოცემად ითვლება. ანანაძის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუს, რომელშიც ის საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანზე საუბრობდა, გაზეთმა მრავლისმეტყველი მინაწერი გააკეთა: *„ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ ამის მიუხედავად, ანანიძემ, შესაძლოა, რუსეთის მოქალაქეობა მიიღოს. საამისოდ, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს".* რუსეთის მოქალაქეობის მიღებით, ანანიძე საქართველოს ნაკრების კანდიდატთა სიიდან ავტომატურად ამოიშლება. გამოდის, რომ რუსებმა წარმატებით „იმუშავეს"? იმედია, ჩვენი ვარაუდები არ გამართლდება, ჯანო ანანიძე რუსების წნეხს გაუძლებს და იმ ნაბიჯს გადადგამს, რაც მისი, როგორც ქართველის, მორალური ვალია.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

## დევიძე სამტრედიაში

ნახევარმცველი **ნოდარ დევიძე** „სამტრედიაში" ითამაშებს. 20 წლის ფეხბურთელმა გასული სეზონი „ბორჯომში" ჩაატარა და მიუხედავად გუნდის გავარდნისა, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ბორჯომში" ბევრი უცნობი ფეხბურთელი გამოდიოდა, რომლებიც უფულოდ თამაშს პერსპექტივის იმედად დათანხმდნენ. ასე აღმოჩნდა **ილია პავლიაშვილი** „გაგრაში", **ბექა შეყრილაძემ** კი, თავი ლიდერებს შეახსენა და „ოლიმპში" დაბრუნდა, თუმცა, საბოლოოდ, ცხინვალის „სპარტაკში" გადასვლა მოუხდა.

დევიძეც „ბორჯომის" ერთ-ერთი საინტერესო ფეხბურთელი გახლდათ. თავიდან ჯერ „გაგრაში", შემდეგ კი ბოლნისის „სიონში" ჩარიცხვას იმედოვნებდა, საბოლოოდ კი, „სამტრედიაში" დაიწყო ვარჯიში და როგორც გვითხრა, მალე კლუბი განაცხადში შეიყვანს.

**მერაბ მამულაშვილი**

## მიხეილ ჯიშკარიანი გაგრაში

მეორე ტურის ნამდვილი სენსაცია ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიასთან" „გაგრას" გამარჯვება (4:0) გახლდათ. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი ახალწვეულებმა შეიტანეს, რომლებსაც კონტრაქტები პირველობის განახლების შემდეგ გაუფორმეს: ახალციხის „მესხეთის" მარცხენა ნახევარმცველმა **პავლე ხორგუაშვილმა** და ზუგდიდიდ „მგლების" მარჯვენა მცველი **თეიმურაზ რაქვიაშვილმა**. ზუსტად სეზონის დაწყებამდე გადაწყდა, რომ მათ გარდა, კლუბში ითამაშებდნენ თბილისის „ამერის" თავდამსხმელი **მიხეილ ჯიშკარიანი** და მარცხენა მცველი, საქართველოს ნაკრებში ნათამაშები **გიორგი ელბაქიძე**.

თქვენს ყურადღებას მიხეილ ჯიშკარიანზე შევაჩერებთ, რადგან ბევრმა იფიქრა, რომ ის საქართველოს ეროვნული ნაკრების, „ცხუმისა" და კიევის „დინამოს" ყოფილი ფორვარდი გახლდათ - მიუხედავად სოლიდური ასაკისა (ჯიშკარიანი 40 წლისაა), ბოლო დრომდე „ამერში" მოთამაშე-მწვრთნელი გახლდათ, თანაც, აფხაზეთში დაბადებულ-გაზრდილია.

როგორც გავარკვიეთ, „გაგრას" ახალწვეული **მიშა ჯიშკარიანის** ვაჟია და ცენტრალური ნახევარმცველისა და თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობს.

უმცროსი ჯიშკარიანი გუნდში სამი კვირა ისინჯებოდა და „გაგრას" მთავარი მწვრთნელის, **ვიქტორ კაშჩეის** მოწონება დაიმსახურა.

ჯიშკარიანების საფეხბურთო დინასტია გრძელდება. შეგახსენებთ, რომ მამის გზას აგრძელებს თბილისის „დინამოში" გუნდის ყოფილი კაპიტნის, **გია ჯიშკარიანის** ვაჟი, **ნიკა ჯიშკარიანიც**, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული.

„ვიტ ჯორჯიასთან" ვერ ითამაშა კიევის „დინამოდან" დაბრუნებულმა **ლაშა თოთაძემ** - მატჩამდე სამი დღით ადრე, ლაშამ ვარჯიშზე ფეხი იტკინა, „გაგრას" ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა კი კაშჩეის მისი დასვენება ურჩია. თუმცა, ტრავმა საშიში არაა.

გუნდს კიდევ ორი ახალწვეული ვერ დაეხმარა - ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „მერანის" ყოფილმა ფეხბურთელმა **მიხეილ კობერიძემ** გასული სეზონის ბოლო შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო და ორ თამაშს გამოტოვებს.

**გურამ გოგიჩაიშვილმა** კი გასული სეზონი უკრაინაში, ილიჩოვსკის „ბასტიონში" ჩაატარა, საიდანაც გათავისუფლების ფურცელი „გაგრას" დღემდე არ მიუღია.

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი

Community Shield

# ანჩელოტის ტრიუმფალური დასაწყისი

**ჩელსი-მანჩესტერ იუნ 2:2, პ. 4:1**

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი (46. ბოსინგვა), ტერი, კარვალიო, ე. კოული, ლემპარდი, ესიენი, მალუდა (77. დეკუ), ობი მიკელი (65. ბალაკი), ანელკა (83. კალუ), დროგბა.

**მანჩესტერი:** ფოსტერი, ო'ში (76. ფაბიო და სილვა), ევანსი, ფერდინანდი, ევრა, ქერიკი, ფლეტჩერი (75. სქოულზი), ჯი-სუნ პარკი (75. გიგზი), ნანი (62. ვალენსია), ბერბატოვი (75. ოუენი), რუნი.

**გოლები:** 0:1 ნანი (10), 1:1 კარვალიო (52), 2:1 ლემპარდი (71), 2:2 რუნი (90)

**მაყურებელი:** 85 896

-**კარლო ანჩელოტი** „ჩელსიში" მუშაობას ჯილდოს მოგებით იწყებს - გუშინ, „უემბლიზე" ლონდონელებმა, „მანჩესტერ იუნაიტედს" პენალტებში მოუგეს. თამაშის ძირითადი დრო 2:2 დასრულდა. მოვლენები ასე განვითარდა: მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც მანჩესტერელმა **ნანიმ** ანგარიში მახვილი კუთხიდან გახსნა, თუმცა **რიკარდო კარვალიუმ** გაქვითა და შემდეგ, „ჩელსი" დაწინაურდა კიდეც - საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე, **ფრენკ ლემპარდის** საკამათო გოლმა „ლურჯებს" კინაღამ ძირითად დროშივე მოუტანა გამარჯვება. მაგრამ, 2009 წლის „ქომუნითი შილდი" ფრიად დრამატული და ვნებათა ღელვით აღსავსე დაპირისპირება გამოდგა - შეხვედრის მთლად მიწურულს **უეინ რუნიმ** წონასწორობა ერთხელაც აღადგინა და საქმე პენალტების გადასაწყვეტი გახადა. ამასთან, როგორც BBC-ის კორესპონდენტი წერს, რუნის გოლით სამართლიანობაც აღდგა.

რა სამართალზეა ლაპარაკი? საქმე ის გახლავთ, რომ სანამ ლემპარდი „ჩელსის" დააწინაურებდა, წამებით ადრე, **მიხაელ ბალაკმა პატრის ევრას** წინააღმდეგ იუხეშა. მსაჯს, **კრის ფოის** ეს ეპიზოდი გამოეპარა და იმის მიუხედავად, რომ ევრა თამაშიდან ძალისმიერი გზით იყო გამოთიშული, ლონდონელთა გოლი ჩათვალა.

ასე და ამგვარად, საქმე პენალტებამდე მივიდა, სადაც ჩელსელთაგან ლემპარდმა, ბალაკმა, **დიდიე დროგბამ** და **სალომონ კალუმ** იყოჩაღეს, მანჩესტერელთაგან კი მხოლოდ **მაიკლ კარიკმა** დაუმიზნა ხეირიანად, **რაიან გიგზსა** და ხსენებულ ევრას კი მეკარე **პეტრ ჩეხმა** აუღო.

კაცმა რომ თქვას, ორივე გუნდი ქებას იმსახურებდა. „ჩელსი" იმიტომ, რომ ისევე როგორც მაისში, ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში, „ევერტონის" წინააღმდეგ ჩამორჩენას არ შეეპუა და გაიმარჯვა, „მანჩესტერ იუნაიტედი" კი იმიტომ, რომ ჯერ ერთი წაგებას არც ის ეგუებოდა და მეორეც, დაამტკიცა, რომ **კრისტიანო რონალდოს** მადრიდში წასვლის შემდეგ უეინ რუნის მისი ადგილი საუცხოოდ დაუკავებია.

თავიდან, ყურადღება მიიპყრო იმ ამბავმაც, რომ „იუნაიტედის" თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავისი ახალი შენაძენები, **მაიკლ ოუენი** და **ანტონიო ვალენსია** სათადარიგოთა სკამზე დატოვა, ასე რომ, მატჩის სიმძიმე „ნაცნობმა სახეებმა" იტვირთეს. მაგალითად, როდესაც ლემპარდმა მანჩესტერელთა კართან სახიფათო კუთხური ჩააწოდა და **ბრანისლავ ივანოვიჩმა** ახლოდან დაარტყა, ჩემპიონთა მხსნელად ევრა მოგვევლინა, რომელმაც ბურთს გზა გადაუღობა და ის ძელმა აისხლიტა. ამრიგად, „იუნაიტედი" გადარჩა და ფრთაშესხმული მალე დაწინაურდა კიდეც: ნანიმ ივანოვიჩზე უკეთ დაარტყა, თუმცა ამ ეპიზოდში გოლის გასვლა, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, მეკარე ჩეხის ბრალიცაა.

ოღონდ ეგაა, ჩეხზე ცუდის სათქმელად კაცს ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს: ამ ამბიდან საკმაოდ ცოტა ხნის შემდეგ ლონდონელების ჩაფხუტიანმა მეკარემ ორჯერ დიდებულად ითამაშა. ჯერ იყო და ჯი-სუნ პარკს არ გაატანინა და შემდეგ **დიმიტარ ბერბატოვს** ჩაუშალა ეპიზოდი. სხვათა შორის, პირველი გოლის გაშვების შემდეგ „ჩელსი" შეცბა და ერთი ხანობა ცუდად ათამაშდა, მაგრამ **ნიკოლა ანელკამ** მიზანს სულ მცირე მანძილით რომ ააცილა, ცოტა გონს მოეგო, თუმცა... სულ მალე ისევ ჩეხს მოუხდა ნანისა და **დარენ ფლეტჩერის** მოკლე კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელის დარტყმის მოგერიება.





ფერგიუსონი მსაჯებს შემოსწყრა

შესვენებისას ანჩელოტიმ მოსალოდნელი ცვლილება გააკეთა: ივანოვიჩი **ჟოზე ბოსინგვათი** შეცვალა და მალე ლონდონელებმა გაათანაბრეს კიდეც ანგარიში - „იუნაიტედის" მეკარეს, **ბენ ფოსტერს** ტრიბუნიდან ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, **ფაბიო კაპელო** აკვირდებოდა. ფოსტერის სამწუხაროდ, **ფლორინ მალუდას** ჩაკიდებულ ბურთზე მან დროგბას ლონიერი წინააღმდეგობა ვერ გადალახა, ბურთს მუშტები ლაზათიანად ვერ უთავაზა და კარვალიუმაც ამით ისარგებლა - გაწონილი თავურით მიაღწია მიზანს.

შემდეგ „იუნაიტედს" კიდევ ერთი უიღბლობა ეწვია: მშვენივრად მოთამაშე ნანიმ მხარი იტკინა და მოედნიდან გასასვლელი შეიქნა. როგორც მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი, პორტუგალიელი პრემიერლიგის პირველ ტურს გამოტოვებს. ნანის მაგივრად მოედანზე ვალენსია შევიდა.

თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე „ჩელსი" ფრენკ ლემპარდის ზემოთ აღწერილი გოლით დაწინაურდა - მანჩესტერელებს ეგონათ ევრას წაქცევისთვის მსაჯი ჯარიმას დანიშნავდა, ლონდონელებმა კი მომენტით ისარგებლეს, გავარდნენ და ბურთი შეაგდეს. „იუნაიტედის" ფეხბურთელები იცოცხლე, მსაჯს შემოეხვივნენ, მაგრამ რად გინდა, ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც შორიახლოს „ჩელსის" ფეხბურთელები ჩათვლილ გოლს ზეიმობდნენ.

აი, აქ, ფერგიუსონმა ლამის მთელი გუნდი შეცვალა: პარკის, ბერბატოვის, ფლეტჩერის და **ო'შის** ნაცვლად ოუენი, **პოლ სქოულზი**, გიგზი და **ფაბიო და სილვა** შეიყვანა. და როდესაც, მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, გიგზის მახვილგონივრული პასით რუნიმ ანგარიში გაქვითა.

ხოლო, თუ რა მოხდა პენალტების სერიაში, ზემოთ მოგახსენეთ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



იტალიის სუპერთასი


ლაციომ სუპერთასი პრეზიდენტთან ერთად იზეიმა

# ცხრა წლის შემდეგ...

## ლაციომ ჩიტის ბუდეში სუპერთასი გამოჩეკა

**ინტერი–ლაციო 1:2**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, კივუ, ხ. ძანეტი, მუნტარი (83. სუასო), კამბიასო, ტიაგო მოტა (69. ვიეირა), სტანკოვიჩი (69. ბალოტელი), მილიტო, ეტოო.

**ლაციო:** მუსლერა, ლიხტშტაინერი, სივილია, დიაკიტი, კოლაროვი, ბროკი, ბარონიო (53. დაბო), მაური, მათუსალემი (81. კრიბარი), როკი (71. კრუსი), სარატე.

**გოლები:** 0:1 მათუსალემი (63), 0:2 როკი (66), 1:2 ეტოო (78)

**მაყურებელი:** 50 000 (ბეიჯინი)

ესეც ესე, ახალი იტალიური სეზონის პირველი ტიტული „ლაციომ" მოიგო. ეს გამარჯვება, პირველ რიგში, მწვრთნელ **დავიდე ბალარდინის** აქტივში უნდა ჩაიწეროს. **დელიო როსის** წასვლის შემდეგ „ლაციალეს" შტურვალი მის ხელში აღმოჩნდა. „პალერმოს" ყოფილმა დამრიგებელმა, ეტყობა, შესანიშნავად ჩაატარა წინასასეზონო კამპანია, რაც პირველივე მატჩში გამოჩნდა. „ინტერი" კი, რომელიც ჯერჯერობით ვერ ტოვებს საკადრის შთაბეჭდილებას, მაინცდამაინც კარგ განწყობაზე ვერ უნდა ხვდებოდეს ახალ სეზონს...

მატჩი პეკინის (ბეიჯინი) ოლიმპიურ სტადიონზე, სახელგანთქმულ „ჩიტის ბუდეში" გაიმართა. პუბლიკამ 50 ათასამდე დასაჯდომი ადგილი უკლებლივ შეავსო. საერთოდ, ეს მოდად ქცეული გასვლითი სუპერთასები თუ კომერციული ტურნეები ერთობ მომგებიანია და აგერ, იტალიელებიც წარმატებით მისდევენ ამ ბიზნესს...

ბიზნესიდან ფეხბურთში დავბრუნდეთ და ერთ საინტერესო ფაქტს გავუსვათ ხაზი: „ლაციოს" მისთვის ბოლო სუპერთასიც „ინტერის" წინააღმდეგ ჰქონდა ნათამაშებიც და მოგებულიც - 4:3 2000 წლის აგვისტოში, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მაშინ ჩემპიონის რანგში იყო, ახლა კი თასის მფლობელის სტატუსით წარდგა „ნერაძურის" წინააღმდეგ. თუმცა თამაშის ხასიათი და ხარისხი რამდენად განასხვავებდა მეტოქეთა რანგს, ეს უკვე სხვა საკითხია.

ბალარდინიმ სასტარტოში ერთი ახალწვეულიც არ დააყენა, მაშინ, როცა **ჟოზე მოურინიომ** დაცვის ცენტრში **ლუსიო** გაამწესა, ნახევარდაცვაში **ტიაგო მოტა**, თავდასხმა კი სულაც **სამუელ ეტოოსა** და **დიეგო მილიტოს** ჩააბარა. სიმბოლურია, რომ მეორე ნახევარში რომაელთა შორის გამოჩნდა **ხულიო კრუსი**, რომელიც „ინტერიდან" „ლაციოში" ახლახან გადავიდა და პირველივე ოფიციალურ მატჩში ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა...

მატჩის ხასიათი არ იყო ძნელი გამოსაცნობი - უპირატესობას მეტწილად „ინტერი" ფლობდა, „ლაციალე" კი კონტრშეტევით ცდილობდა ფონს გასვლას. სწორედ ამ ტაქტიკამ გაამართლა და მეორე ნახევრის 3-წუთიან მონაკვეთში გადაწყდა სუპერთასის ბედი. ანგარიში გაიხსნა 63-ე წუთზე, როცა **მათუსალემმა** „ცოცხალი კედლიდან" ასხლეტილი ბურთი ბადეში გადაგზავნა. გავიდა სამიოდ წუთი და, ბრწყინვალე გოლი გაიტანა გუნდის კაპიტანმა **როკიმ**, რომელიც ორ მცველს შორის გაძვრა, მათუსალემის პასი მკერდით ჩამოიღო, **ჟულიო სეზარს** თვალი თვალში გაუყარა და შანსი არ დაუტოვა.

მაგრამ საკითხავია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა ეტოოს მიერ 55-ე წუთზე განიავებული დაუჯერებელი შანსი - კამერუნელმა ვერ ისარგებლა **დიაკიტის** შეცდომით, რომელმაც ლანგარზე მიართვა ბურთი, მერე ეტოომ მეკარე ჩამოიტოვა და...

მაგრამ მოგვიანებით ეტოომ მაინც გაიტანა თავისი პირველი იტალიური გოლი და „ინტერს" შანსი დაუბრუნა - **დაბო** უხეშად შეცდა, რითიც უმალ ისარგებლა **ბალოტელიმ** და ეტოოს საგოლედ გადააწოდა.

დარჩენილ დროში „ინტერს" სხვა გზა არ ჰქონდა და მეტოქეს შტურმი მოუწყო. იყო რამდენიმე მომენტი, საიდანაც იტალიის ჩემპიონს გოლის „გამოდნობა" შეეძლო (მაგალითად, **სუასოს** თავური), მაგრამ არაფერი გამოვიდა და 9-წლიანი პაუზის შემდეგ „ბიანკოჩელესტე" სუპერთასის მფლობელი გახდა. **ჟოზე მოურინიო**, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყო შედეგით, მაგრამ, როგორც პრესკონფერენციაზე თქვა, ყველაფერი კარგად მიდის და პესიმიზმის საფუძველი არ აქვს:

*„მიუხედავად იმისა, რომ „ლაციომ" გაიმარჯვა, ჩვენ ვიცით ჩვენი ფასი, დიდი გუნდი ვართ და დიდი მომავალიც გვაქვს. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ფეხბურთელების თამაშით, მაგრამ ცხადია, ვერ ვიქნები შედეგით ბედნიერი, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ერთი რამაა - ჩვენ ვამუშავებთ ახალ ტაქტიკას და ეს პროცესი წარმატებით ვითარდება".*

*„ბრწყინვალე გუნდის წინააღმდეგ გენიალურ შედეგს მივაღწიეთ. არ მიჭირს იმის აღიარება, რომ „ინტერი" ბევრი კომპონენტით გვჯობია, მაგრამ თავდადებისა და უდიდესი შრომის წყალობით, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა",* - ასე შეაჯამა თამაში ბალარდინიმ.

ეს იყო 22-დან მხოლოდ მე-6 შემთხვევა, როცა სუპერთასი იტალიის თასის მფლობელმა მოიგო. მოდით, გავიხსენოთ წინა 5 გამარჯვებული - „ფიორენტინა" (1996), „ლაციო" (1998), „პარმა" (1999), „ინტერი" (2005) და „რომა" (2007). აქვე შეგახსენებთ, რომ ეს იყო მე-4 შემთხვევა, როცა იტალიის სუპერთასი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გათამაშდა. პირველი იყო ვაშინგტონში (1994), რომელიც „მილანმა" „ტორინოს" მოუგო (1:0), მერე 2003-ში, როცა ტრიპოლიში (ლიბია) „იუვენტუსმა" „პარმა" 2:1 დაამარცხა და ერთი წლის შემდეგაც, როცა „ბებერმა ქალბატონმა" ნიუ იორკში პენალტების სერიით „მილანს" აჯობა.

**გიორგი ბელაშვილი**

მომავლის ტრანსფერი

# 2010 წლიდან...

## რეალი რიბერის შეუთანხმდა

ესპანური პრესა დარწმუნებულია, რომ „სახენაიარევი კაცი" **ფრანკ რიბერი** სამეფო კლუბში ითამაშებს... 2010 წლიდან. AS ავრცელებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც **ფლორენტინო პერესმა** უკვე მიაღწია შეთანხმებას ფეხბურთელის აგენტთან და ფრანკ რიბერი 2010 წლიდან 5 წლის განმავლობაში მადრიდის „რეალისთვის" გაირჯება. ერთადერთი, რაც შეუთანხმებელი რჩება „ბაიერნთან" სატრანსფერო ფასია.

გული გვიგრძნობს, გაისად ზაფხულში ახალი საპნის ოპერა გველის სახელწოდებით „გადავა თუ არა რიბერი რეალში II". რიბერის მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულში ეწურება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „რეალს" მოლაპარაკებისას მეტი შანსი აქვს, დაიყოლიოს გერმანული სუპერკლუბი, რომელსაც გაჯიუტება შეიძლება რიბერის სრულიად უსასყიდლოდ დაკარგვად დაუჯდეს. AS-ის მიხედვით „რეალს" გაისად 25 მილიონი ევრო ეყოფა რიბერის შესაძენად. თუკი „ბაიერნი" მაინც უარს იტყვის ფეხბურთელის გაყიდვაზე მისი სურვილის მიუხედავად, საქმეში შეიძლება პროფესიულ ფეხბურთელთა საერთაშორისო კავშირი (FIFPro) ჩაერიოს. ამ შემთხვევაში კი „ბაიერნს" კიდევ უფრო ნაკლებ ფასად, 16-22 მილიონ ევროდ მოუწევს ფრანგ სუპერვარსკვლავთან შელევა.

ფლორენტინო პერესი, ალბათ, ასეთ გამწვავებაზე არ წავა, რადგან მას ევროპის სხვა სუპერკლუბებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სურს. პერესი ისევ მოლაპარაკებათა მაგიდას არჩევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ბენ ფოსტერი

ინგლისის ნაკრები

# კაპელოს სამზადისი

**ფაბიო კაპელომ** საოთხშაბათოდ ინგლისის ნაკრების ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ამხანაგურ შეხვედრაში ჰოლანდიას უნდა ეთამაშოს და... მასში **მაიკლ ოუენი** არ შეიყვანა. რატომ ელოდნენ ინგლისში, რომ კაპელო ოუენს გამოიძახებდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ აწ უკვე მანჩესტერელი თავდამსხმელის არგამოძახება მასმედიის მთავარ თემად იქცა. ითქვა, რომ კაპელოს გულის მოსაგებად, ანუ მომავალ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელად ოუენს ცხრა პირი ოფლის მოდენა და თავისი ოსტატობის ხელახლა დამტკიცება მოუწევს. როგორც ჩანს, „იუნაიტედში" აჟიოტაჟით დაბრუნებულ თავდამსხმელს, რომელსაც ინგლისის ნაკრების მაისურით 89 შეხვედრაში 40 გოლი აქვს გატანილი, ხსენებული აჟიოტაჟის ფონზე იმედი ჰქონდა, რომ კაპელო გამოიძახებდა, მაგრამ ინგლისელთა იტალიელმა თავკაცმა პრესასთან საუბარში ბრძანა, რომ სანამ ჩემპიონთა ლიგის თამაშები რაიმე ახალს არ დაანახვებს, კვლავ იმ ფეხბურთელებს დაეყრდნობა, რომლებმაც გასულ სეზონში მოაწონეს თავი.

კიდევ, ინგლისელთა სანაკრებო ცნობებიდან ყურადღებას იქცევს ის, რომ მეკარე **დევიდ ჯეიმსის** მუხლის ტრავმის გამო ნაკრებში თამაშის შანსი „მანჩესტერ იუნაიტედის" გოლკიპერ **ბენ ფოსტერს** გაეზარდა.

კაპელომ განაცხადა: *„ჩვენი ნაკრების კარი ყოველთვის ყველა ფეხბურთელისთვის ღიაა. ოუენის თამაშს წინა კვირაში ვუყურე „ვალენსიასთან" და მომეწონა. მართალია, ბევრი ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან, მაგრამ ჯერ სეზონი არ დაწყებულა და უნდა ვივარაუდოთ, რომ საუკეთესო ფორმიდან შორს არის. ერთი სიტყვით, ნაკრებში რომ ავიყვანოთ, კარგად თამაში უნდა განაგრძოს და გოლებიც გაიტანოს. აი, სულ ეს არის, რაც მოეთხოვება. უნდა დამიმტკიცოს, რომ იმ ფეხბურთელებს სჯობია, რომლებსაც გასულ სეზონში ვიძახებდი. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ამოცანაა, ყოველ მომენტში საუკეთესონი გამოვიძახო. მეორე მხრივ კი, ბოლო შეხვედრაში ძალიან კარგად ვითამაშეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელთა უკვე შეკრული ჯგუფის შენარჩუნებაც აუცილებელია. ვგონებ, ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული ფეხბურთელების, არამედ გუნდის ერთიანობაში ნახალისება და საბრძოლოდ განწყობა. ამას წინათ, იტალიის ნაკრების მწვრთნელის, მარჩელო ლიპის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ის ამბობს, რომ ნაკრებს იტალიის საუკეთესო ფეხბურთელებისგან კი არა, ერთად ნათამაშები ხალხისგან აყალიბებს. ეს ნათქვამი ძალიან მენიშნა. მეც ლიპის მსგავსად ვფიქრობ, რომ ფეხბურთელთა ჯგუფს დიდი მნიშვნელობა აქვს".*

რაც შეეხება მეკარეს, მასზე კაპელომ ასე ბრძანა: *„მიხარია, რომ ფოსტერი „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მე მისი სერიოზულ თამაშებში ნახვის საშუალება მექნება. ძალიან მომწონს, რომ ამ მეკარეს შიში არ სჩვევია. ის ნებისმიერ ეპიზოდში საკუთარ თავში დარწმუნებულია".*

**პიტერ კრაუჩი** კი ამჯერად ნაკრებში იმიტომ ვერ მოხვდა, რომ სეზონისწინა მომზადება ხეირიანად არ გაუვლია, ხოლო **დევიდ ბექჰემი** ჰოლანდიასთან სათამაშოდ ევროპაში ლოს ანჯელესიდან უნდა ჩამოფრინდეს.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავური გეგმები

# სიცოცხლის ბოლომდე ჩელსელი




ფრენკ ლემპარდი და ჯონ ტერი

დრო რომ დადგება, **ფრენკ ლემპარდი** და **ჯონ ტერი** „ჩელსის" მწვრთნელობას შეეცილებიან ერთმანეთს. როგორც ცნობილია, „ლურჯების" დღევანდელმა კაპიტანმა, ტერიმ ადრე განაცხადა, მინდა, ფეხბურთის თამაშს თავს რომ დავანებებ, ჩემს გუნდს ვუხელმძღვანელოო. და აი, ტერის კონკურენტი გამოუჩნდა - 31 წლის ლემპარდმა იგივე სურვილი გამოთქვა:

„მე ის კაცი ვარ, ვისი ცხოვრებაც სამუდამოდ „ჩელსისთან" იქნება დაკავშირებული და, იმავდროულად, მწვრთნელობაც ძალიან მაინტერესებს. რამდენიმე წლის წინ ეს პროფესია საერთოდ არ მიზიდავდა, მაგრამ ბოლო პერიოდში, ჯერ ერთი, საუცხოო მწვრთნელებთან მომიხდა მუშაობა და მეორეც, გარშემო ისეთ ახალგაზრდობას ვხედავ, რომ გულმა მეც ამ მიმართულებით გამიწია. სხვათა შორის, ჩემი გეგმა ჯონსაც გავაცანი და გადავწყვიტეთ, სამწვრთნელო დიპლომები ერთად ავიღოთ. ერთ მშვენიერ დღეს სიამოვნებით გავხდებოდი „ჩელსის" მწვრთნელი და რა თქმა უნდა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს დღე ოდესმე მართლა დადგეს, მაგრამ შესაძლოა თანამდებობა მე არ მერგოს და ჯონს მისცენ. ჯონმა რომ მაჯობოს, არ გამიკვირდება".

ასე და ამგვარად, ლემპარდი მომავალსა და მწვრთნელობაზე ფიქრობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთის თამაშს მალე თავს დაანებებს. „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების კაპიტანი ლონდონის კლუბთან კონტრაქტით კიდევ ოთხი წლითაა შეკრული და იმედოვნებს, რომ ამ ოთხი წლის შემდეგ კვლავ მოედანზე იქნება. ლემპარდმა დასძინა:

„კონკრეტულ თარიღებზე არასდროს მილაპარაკია, მაგრამ, არ დაგიმალავთ, რომ კონტრაქტით დარჩენილი ოთხი წლის შემდეგაც მინდა თამაში. სწორი ვარჯიშითა და კვებით 37 ან 38 წლამდე კი უნდა შევძლო თამაში. თავდამსხმელებისთვის, რომლებსაც ყოველი მეტრის მეტოქეზე სწრაფად გარბენა სჭირდებათ, ეს გაცილებით უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ნახევარმცველისთვის, მითუ ფრო, თუ ის ფეხბურთს სიბერემდე აკვირდება და თამაშს სწავლობს. ნახევარმცველებს, ამ მხრივ, უკეთესად გვაქვს საქმე".

მოსაზრება

# მოჰბეზრდა ქალაქი, მოჰბეზრდა მეგობრები...

„არსენალის" ესპანელმა გოლკიპერმა, **მანუელ ალმუნიამ** თქვა, რომ **კოლო ტურე** ლონდონური კლუბიდან მობეზრების გამო წავიდა და იქვე დასძინა, თუ ლონდონელები 2005 წლის შემდეგ პირველი ტიტულის მოგებას თავს ველარ მოაბამენ, „მეთოფეობაზე" უარი შესაძლოა თვით **სესკ ფაბრეგასმაც** კი განაცხადოსო. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ კოლო ტურემ „არსენალში" გატარებულ შვიდ წელიწადს ხაზი გადაუსვა და ახალი თავგადასავლის საძიებლად „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. 32 წლის ალმუნიამ კი განაგრძო:

„კოლოს წასვლის ამბავი რომ გავიგე, ძალიან გამიკვირდა, რადგან ის ყოველთვის „არსენალის" დიდი ნაწილი გახლდათ. ტურე იყო ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი, ვისაც ბოლო წლებში ჩვენს გუნდში უთამაშია. ის ბოლო დრომდე აქ თავს ბედნიერად გრძნობდა და როდესაც გაზეთებში „მანჩესტერ სიტის" მაისურში დავინახე, ძალიან გამიკვირდა. კოლო „არსენალის" თითქმის ყველა თამაშის ყველა წუთში გახლდათ ჩართული. სხვა რა გითხრათ, ახალ გუნდში იღბალს ვუსურვებ... ძნელია, კოლოს „სიტის" ფორმაში გამოწყობილს უყურო. როდესაც წლობით ერთ გუნდში ხარ, ბიჭებს ეჩვევი, უგებ, ხვდები, რატომ აკეთებენ ისინი ბევრ რალაცას ასე და არა სხვანაირად. მაგრამ ამიერიდან ახალ ხალხთან მოგვიწევს ურთიერთობა. მაგალითად, ჩვენთან ახალი ცენტრალური მცველი, ტომას ვერმაელენი გადმოვიდა. რას იზამ, ასეთია ფეხბურთი - ხალხი გუნდიდან გუნდში გადადის და სულ ახალ-ახალ სახეებთან გიწევს ურთიერთობა. ასეთია ცხოვრებაც. კოლოს კი „არსენალში" დიადი ეპოქა უნახავს. ის იმ გუნდის წევრი იყო, რომელიც პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ხანდახან ადამიანს ერთსა და იმავე ადგილას დიდხანს ყოფნა ბეზრდება და გული ცვლილებებს სთხოვს. გინდა შეცვალო ქალაქი, რომელშიც ცხოვრობ, თანაგუნდელები, რომლებთანაც ყოველდღე გაქვს ურთიერთობა. არ არის გამორიცხული, რომ კოლოს შეჩვეული გარემო მოჰბეზრდა და ერთსა და იმავე ხალხთან ურთიერთობამ დაღალა კიდეც. კაცმა რომ თქვას, ბოლო პერიოდში სახეზეც ეტყობოდა, რომ ძველებურად ველარ ხალისობდა. არ გამოვრიცხავ, იგივე დაემართოს სესკსაც, ოღონდ მასა და ტურეს შორის განსხვავება ისაა, რომ ფაბრეგასს „არსენალისთვის" ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია. ამ მხრივ კოლო ამოწურული იყო, მან გუნდისთვის ასი პროცენტი გაიღო. ის ჩემპიონიც გახლდათ. რაც შეეხება სესკს, ნახავთ, ამ სეზონში ის მაქსიმუმს გაიღებს და გუნდს რალაცას მოაგებინებს. და თუ ეს მართლა ასე მოხდება, ფაბრეგასი ლონდონში კვლავ ბედნიერად იგრძნობს თავს".




მანუელ ალმუნია

„არსენალის" ესპანელმა მეკარემ ეს ყველაფერი „გრეით ორმონდ სტრიტ ჰოსპიტალისთვის" ფულის შეწირვის დროს თქვა. მსოფლიოში ცნობილი ბავშვთა საავადმყოფო „არსენალის" ყურადღების ცენტრშია და ფეხბურთელებს დათქმული აქვთ, რომ მის ანგარიშზე თავიანთ წილად ნახევარ მილიონ ფუნტს შეიტანენ.

პრემიერლიგური ბიზნესი

# შირერის მისია, იყოს მესია...



ალან შირერი

ნიუკასლელთა გმირი, **ალან შირერი** შესაძლოა გუნდს უახლოეს დღეებში დაუბრუნდეს, რაც, ეჭვი არ არის, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" უდიდეს ალმაფრენას გამოიწვევს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ „კაჭკაჭთა" მეპატრონე **მაიკ ეშლი** ბიზნესმენ **ბერი მოტს** კლუბს 70 მილიონად დაუთმობს.

ინგლისში ჩემპიონატის ანუ პრემიერლიგის ქვედა დივიზიონის სეზონი დაიწყო. „ნიუკასლ იუნაიტედმა" პირველი შეხვედრა სტუმრად, ვესტ ბრომვიჩში, იქაურ „ალბიონთან" გამართა, 0:1-ს აგებდა და საბოლოოდ 1:1 გაახერხა, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ „ნიუკასლს" გაყოლილი ფანები ტრიბუნიდან უფრო ეშლის ლანძღავდნენ, ვიდრე ფეხბურთელებს ქომაგობდნენ. ხოლო, რაც შეეხება თავად ეშლის, ის ჰავაის კუნძულებზე ისვენებდა, საიდანაც ინგლისს გამოეშურა, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს, მიჰყიდის კლუბს მოტს თუ არა.

„ნიუკასლ იუნაიტედს" ამ ეტაპზე, მოგეხსენებათ, დროებითი მწვრთნელი **კრის ჰაფტონი** უდგას სათავეში, რომელსაც უკვე პრობლემები აქვს. მაგალითად, ჰაფტონს ნახევარმცველ, საზიზღარი ხასიათით ცნობილ **ჯო ბარტონთან** უსიამოვნება მოსვლია და ვესტ ბრომვიჩში არ წაუყვანია. ერთი სიტყვით, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ხალხს ერთი სული აქვს, როდის მოჰკიდებს საქმეს ხელს ავტორიტეტული და ყველასთვის საყვარელი შირერი, არადა, მას BBC-ში აქვს ანალიტიკოსად მუშაობა ახალი დაწყებული. და მაინც, თუ შირერი ამ დღეებში „კაჭკაჭთა" ხელმძღვანელად მართლა მიიყვანეს, ის სატრანსფერო სეზონის ბოლომდე გუნდის შემადგენლობასაც შეცვლის და ზოგად სურათსაც დაატყობს ხელს. ყოველ შემთხვევაში, როდესაც შექმნილ მდგომარეობაზე ჰკითხეს, შირერმა ასე უპასუხა:

„თუ მართლა გამოჩნდება კაცი, რომელიც კლუბს იყიდის, მწვრთნელად მე ვენდომები და ამოცანად პრემიერლიგაში დაბრუნებას დაისახავს, სიამოვნებით დავიკაპიწებ სახელოებს და იმ საქმეს განვაგრძობ, გაზაფხულზე რომ დავიწყე (გაზაფხულზე შირერი „ნიუკასლის" დროებით მწვრთნელად მიიწვიეს, რათა უკვე წახდენილი გუნდის პრემიერლიგაში დატოვება ეცადა). აი, სულ ეს არის, რისი თქმაც შემიძლია, მეტი კი არაფერი ვიცი და თუ ამას დამიჯერებთ, კარგი იქნება".

ბოლოს კი ეს ვიკითხოთ, რა შეიძლება ნიუკასლელთა კლუბის ეშლიდან მოტის ხელში გადასვლას გზად გადაელობოს? რა და, - ფული. როგორც ამბობენ, ეშლი „ნიუკასლ იუნაიტედში" 90 მილიონ ფუნტს ითხოვს.

ტრავმა




ოუენ ჰარგრივზი

# კლინიკიდან კლინიკაში

**ოუენ ჰარგრივზი** საიდუმლოდ ჩაფრინდა გერმანიაში, რათა იქაური ექიმისთვის მიემართა - ტრავმებით დატანჯული ინგლისელი ფეხბურთელი ყველა ღონეს ხმარობს, რათა „მანჩესტერ იუნაიტედში" შეინარჩუნოს ადგილი. 27 წლის ნახევარმცველი მიუნხენში მუხლის ტოპ-სპეციალისტის, დოქტორ **ჰანს მიულერ-ვოლფარტის** კლინიკაში გახლდათ. მიუნხენელ მედიკოსთან მისვლა ჰარგრივზმა ბოლო დაშავების მერე გადაწყვიტა და მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** პრესას განუცხადა, ოუენი ორ-სამ კვირაში დაგვიბრუნდებაო, დოქტორ მიულერ-ვოლფარტს სამკურნალოდ ნახევარი წელიწადი დაუთქვამს.

გერმანელმა ექიმმა დაადგინა, რომ ჰარგრივზის დაზიანება ძალიან ჰგავს ჩოგბურთის ვარსკვლავის, **რაფაელ ნადალის** დაზიანებას. ორივეს მუხლის პრობლემები აწუხებს, რადგან როგორც ჰარგრივზის, ასევე ნადალის თამაში მოკლე მანძილებზე ადგილიდან სწრაფი გავარდნებისგან შედგება.

ჰარგრივზი, რომელიც სამკურნალოდ კოლორადოში, ქირურგ **რიჩარდ სტიდმენის** კლინიკაშიც გახლდათ, სავარაუდოდ, ამ კვირაში ისევ გადაფრინდება ამერიკაში. დოქტორმა სტიდმენმა მის რეაბილიტაციას უნდა შეუწყოს ხელი, თუმცა, როგორც ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, შემდეგ ფეხბურთელი ისევ მიუნხენს მიაშურებს.

ოუენ ჰარგრივზსა და დოქტორ ჰანს მიულერ-ვოლფარტს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებთ. მათი ურთიერთობა იმ დროიდან იღებს სათავეს, როდესაც კანადური წარმოშობის ინგლისელი მიუნხენის „ბაიერნში" თამაშობდა. ეს, თუ ბავშვთა გუნდებიდან ვიანგარიშებთ, 1997-2007 წლების ამბავია და შესაბამისად ურთიერთობაც საფუძვლიანი გახლავთ. ტრავმებით დატანჯული ჰარგრივზი „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში 2008 წლის 21 სექტემბერს, „ჩელსისთან" თამაშის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედია




# ესპანიოლმა კაპიტანი დაკარგა

## დანიელ ხარკე გულის შეტევით გარდაიცვალა

8 აგვისტოს იტალიურ კოვერჩიანოში ტრაგედია დატრიალა, წინასასეზონო შეკრებაზე მყოფი „ესპანიოლის" 26 წლის კაპიტანი დანიელ ხარკე თავის ნომერში გარდაცვლილი იპოვეს. ყველაფერი გუნდის მორიგი ვარჯიშის შემდეგ მოხდა, ხარკე ვარჯიშიდან საკუთარ ნომერში მოსასვენებლად წავიდა და... „ესპანიოლის" ექიმები, ადგილობრივ ექიმთა ბრიგადა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფეხბურთელის გულის ამუშავება ვერ შეძლეს. *„ესპანიოლს" და კაპიტან დანი ხარკეს ოჯახს თავს ტრაგედია დაატყდა. ფეხბურთელი გულის უკმარისობით გარდაიცვალა. ექიმმა ყველაფერი სცადა ფეხბურთელის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ. როგორც შემდგომმა კვლევამ აჩვენა, ხარკეს შველა შეუძლებელი იყო. კლუბი, მისი ყველა წევრი გლოვობს დანი ხარკეს ოჯახთან ერთად. ჩვენი ფიქრები დანისთან ერთადაა",* - ვკითხულობთ „ესპანიოლის" ოფიციალურ საიტზე. ჯერჯერობით ადრეა უფრო დეტალურად იმ მიზეზზე ლაპარაკი, თუ რამ გამოიწვია ხარკეს სიკვდილი, ამას სპეციალური ექსპერტიზა დაადგენს. *„ჩვენ კვირას ვბრუნდებით ბარსელონაში, თუმცა ხარკეს გვამი აქ რჩება საჭირო ექსპერტიზისთვის, რომელმაც დეტალურად უნდა დაადგინოს ფეხბურთელის გარდაცვალების მიზეზი. ფეხბურთელები მორალურად გატეხილები არიან, წუთის წინ დანი მათთან ერთად იყო, საშინელი გრძნობაა",* - განაცხადა „ესპანიოლის" ექიმმა ხერმან დელა კრუსმა.

უფრო დეტალური ინფორმაცია გაავრცელა ინგლისურენოვანმა ესპანურმა საიტმა „სინქ სპეინმა": ხარკეს გულის შეტევა საღამოს 7 საათზე მოუვიდა. ფეხბურთელი კოვერჩიანოს სასტუმროს ნომრიდან თავის გერლფრენდს ტელეფონით ესაუბრებოდა, რომელიც ორსულადაა და ბავშვს სექტემბერში ელოდება. უცბად, დანიმ გონება დაკარგა. მეგობარმა გოგონამ ტელეფონით ხარკესთან ერთად ოთახში მცხოვრებ მეორე ფეხბურთელს ფერან კორომინასს შეატყობინა, რომ დანი მას აღარ პასუხობდა. კორომინასმა მაშინვე გუნდელები და ექიმი გამოიძახა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხარკემ ერთ-ერთ თანაგუნდელს უთხრა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა. *„ახლაც კი მიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა. ხარკე დიდებული ადამიანი და სპორტსმენი იყო. ის ბოლო დროს ძალიან ბედნიერი იყო, რადგან მალე მამა უნდა გამხდარიყო. მას ძალიან უყვარდა „ესპანიოლი" და გახარებული იყო, რომ გუნდი ახალ სტადიონზე ითამაშებდა, ის კი გუნდს უკაპიტნებდა",* - უთხრა „მუნდო დეპორტივოს" კლუბის პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ.

გუშინ „ესპანიოლს" „ბოლონიასთან" სპარინგ-მატჩი უნდა ეთამაშა, თუმცა არა მარტო ეს თამაში ჩაიშალა, არამედ ესპანური გუნდის იტალიური შეკრებაც. სულ რაღაც ორი წლის წინათ გულის შეტევით გარდაიცვალა „სევილიას" მცველი ანტონიო პუერტა, 22 წლის ფეხბურთელმა თამაშისას დაკარგა გონება და ჰოსპიტალში გარდაიცვალა. გულის შეტევით დაიღუპნენ კამერუნელი მარკ ვივიენ ფოე და „მოზერუელის" ნახევარმცველი ფილ ოდონელი.

ხარკეს სიკვდილს მადრიდის „რეალის" ვარსკვლავი რაული ამერიკაში გამოეხმაურა: *„ის ახალგაზრდა, დიდი პროფესიონალი და სპორტსმენი იყო. ყველა ჩვენგანი შეძრულია მომხდარი ტრაგედიით. „რეალი" „ესპანიოლის" მთელ კოლექტივს გვერდში უდგას",* - განაცხადა რაულმა სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე.

სპეციალური მიმართვა გაავრცელა „ესპანიოლის" დაუძინებელი მტრის „ბარსელონას" ხელმძღვანელობამ. *„ყველანი ვგლოვობთ, გვსურს „ესპანიოლს" გვერდით დავუდგეთ ამ ტრაგედიის დროს. დანი ხარკეს ოჯახს სამძიმარს ვუცხადებთ",* - ასეთი განცხადება გამოაქვეყნა "ბარსელონას" ვებსაიტზე კლუბის პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ.

„ესპანიოლის" ფანები ბარსელონას გარეუბანში მდებარე ახალ სტადიონ „კორნელა დელ ლობრეგატთან" შეიკრიბნენ დანიელ ხარკეს საპატივცემლოდ.

დანიელ ხარკე გონსალესი 1983 წელს ბარსელონაში დაიბადა. ის 12 წლის ასაკიდან „ესპანიოლში" თამაშობდა, 19 წლის ასაკში მას პირველ გუნდში ჰქონდა დებიუტი, მას მერე ხარკე ნელ-ნელა „ესპანიოლის" დაცვის ლიდერად ჩამოყალიბდა. მან 173 თამაშში 8 გოლი გაიტანა. ივლისში ხარკე გუნდის კაპიტანი გახდა, მას შემდეგ, რაც კაპიტნობაზე უარი რაულ ტამუდომ თქვა. ხარკეს ესპანეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

საფრანგეთი. ლიგა 1. I ტური

# პირველად იყო ნიანგი...

## ლიონი და პსჟ უკვე კარგავენ

საფრანგეთის ჩემპიონატი საინტერესოდ დაიწყო, „ლიონი" „ლე მანთან" ბოლო წუთებზე **ლისანდრო ლოპესის** საჯარიმო დარტყმის წყალობით დაუძვრა მარცხს, „მარსელმა" კი პირველი სამი ქულა ჩაიწერა. ქულები დაკარგა პსჟ-მაც.

ჩემპიონატის პირველი გოლი „მარსელის" 29 წლის სენეგალელმა ფორვარდმა **მამადუ ნიანგმა** გაიტანა. „გრენობლთან" საგარეო მატჩის პირველივე წუთზე ნიგერიელმა **ტაიე ტაივომ** ნიანგს გადააწოდა, რომელმაც მასპინძელთა ორი მცველი ჩამოიტოვა და „სენტ ეტიენის" ყოფილ კიპერ **ჟოდი ვივიანის** ოდნავი რიკოშეტის დახმარებით გაუტანა. „მარსელის" შეტევები ამის შემდეგაც გაგრძელდა, ნიანგს გატანა კიდევ მართებდა, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა კარს, შემდეგ კი ვივიანიმ ტაივოს აულო საჯარიმო, არადა, ნიგერიელი უძლიერესი დარტყმებით არის ცნობილი.

მეორე ტაიმში „მარსელი" აშკარა გოლს გადაურჩა, **ნასიმ აკრური** ლამის გოლს ზეიმობდა, როცა ბურთი კარის ხაზიდან **გაბრიელ ჰაინცემ** გამოიტანა, „რეალის" ყოფილმა მცველმა პირველივე თამაშში მოუტანა სარგებელი **დიდიე დეშამის** გუნდს. რამდენიმე წუთში **სტივ მანდანდამ ლორენ კურტუას** სახიფათო დარტყმული მოიგერია. თითქოს გოლი „ოლიმპიკის" კართან მწიფდებოდა, მაგრამ მე-80 წუთზე სტუმრებმა აქეთ გაიტანეს და სამი ქულა დაიბევეს, გოლი მარსელელთა 28 წლის ნახევარმცველის **ბენუა შეირუს** ანგარიშზეა. *„კარგია, როცა ჩემპიონატს მოგებით დაიწყებ. თამაშით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით - პირველი ტაიმით. „გრენობლმა" მეორე ტაიმში შეგვიქმნა პრობლემები, მაგრამ ჩვენ შევძელით საქმის ბოლომდე მიყვანა. წესით, მეტი გოლი უნდა გაგვეტანა, თუმცა არც ორი გოლია ურიგო. მეტოქე ფიზიკურად ძლიერი იყო და თამაშიც კარგად გამოსდიოდა",* - კმაყოფილი იყო მატჩის შემდეგ დიდიე დეშამი.

„ლე მანი"-„ლიონის" დაპირისპირება თვალსასეირო სანახავი გამოდგა, მასპინძელთა კარში არც ჩვენებური **გიორგი მაკარიძე** მდგარა (ის ახალგაზრდული ნაკრების განკარგულებაშია) და არც ყოფილი დინამოელი **დიდიე ოვონო** (სათადარიგო). საფრანგეთის 7-გზის ჩემპიონებმა ორჯერ შეძლეს გათანაბრება, ბოლოს ეს მათმა ახალწვეულმა ვარსკვლავმა ლისანდრო ლოპესმა მოახერხა საჯარიმო დარტყმით. თამაში კარგად „მიჰყავდა" „ლე მანის" ახალგაზრდა ნახევარმცველ **მატიო კუტადოს**, რომლის შეძენითაც სერიოზულადაა დაინტერესებული ლონდონის „არსენალი". 23 წლის ნახევარმცველის დიაგონალური პასის წყალობით **მოდიბო მაიგამ** მე-20 წუთზე გახსნა ანგარიში. 9 წუთში სტუმრებმა გაათანაბრეს, მათ რიგებში საუკეთესომ, არგენტინელმა ლისანდრო ლოპესმა საგოლე კომბინაცია დაიწყო, რომელიც **მატიო ბოდმერმა** დაასრულა - 1:1. მეორე ტაიმში „ლიონი" გამოფხიზლდა და შეტევებსაც უმატა, ლისანდრო ლოპესს სხვებმაც აუბეს მხარი, მაგრამ გოლი ისევ სტუმართა კარში გავიდა, 59-ე წუთზე **კრისმა** საჯარიმოში მაიგა მოცელა და კუტადომ პენალტი უნაკლოდ შეასრულა. ამის შემდეგ „ლიონი" ლამის შტურმზე გადავიდა, მაგრამ „ლე მანი" ბოლო წუთამდე მედგრად იდგა, ბოლო წუთზე კი ლისანდრომ **როდოლფ როშს** საჯარიმო დარტყმით გაუტანა - 2:2. *„ორჯერ ვაგებდით, მაგრამ შევძელით გათანაბრება, დრო არ გვეყო, თორემ მესამე გოლსაც გავიტანდით. ეს კი ერთს ამტკიცებს, გუნდს მტკიცე ხასიათი აქვს. ლისანდრო ლოპესის მიმართ ქების მეტი რა მეთქმის",* - ოპტიმისტად რჩება „ლიონის" მთავარი მწვრთნელი **კლოდ პიუელი**.

დედაქალაქური გუნდი მონპელიეში ფავორიტის სტატუსით ჩავიდა, კარგა ხანს იგებდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ შინ მხოლოდ ქულა წაიღო. 33-ე წუთამდე, ბევრისთვის მოულოდნელად, მოედანზე ერთი გუნდი თამაშობდა - „მონპელიე", პსჟ კი მხოლოდ იცავდა თავს. შემდეგ კი მასპინძლებმა მეორე ყვითელი ბარათის გამო გამოცდილი ახალწვეული **სირილ ჟიანშამი** დაკარგეს. ამის შემდეგ „მონპელიეს" მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა - არ გაეშვა გოლი საკუთარ კარში. 71-ე წუთამდე ეს მათ შეძლეს, შემდეგ კი **კლოდ მაკელელემ** ისეთი სიძლიერით დაარტყა შორი მანძილიდან, რომ მეკარემ ბურთი ვერ შეიმაგრა ხელში და ის **ჟიულის** საკბილო გახდა. გოლის გატანის შემდეგ რიცხობრივ უპირატესობაში მყოფი პსჟ დაცვაში „ჩაჯდა" და დაისაჯა კიდეც, მატჩის ბოლო წუთზე მასპინძლებს ქულა ლამაზი თავურით **ემირ სპაჰიჩმა** მოუტანა, რომელსაც რუსულ პრემიერლიგაში უთამაშია. თამაშის შემდეგ პსჟ-ს თავკაცი **ანტუან კამბუარე** ვერ მალავდა იმედგაცრუებას: *„როდესაც 1:0-ს იგებ და მეტოქეზე ერთი კაცით მეტი გყავს და თამაშს ვერ იგებ, ძალიან სამწუხაროა. იმედია, პირველი მატჩისგან შესაბამის დასკვნებს გამოვიტანთ, ჩემპიონატი ახლა იწყება, წინ მთელი სეზონია".*

**ფრედერიკ ანტონეტის** სამწვრთნელო საქმიანობა „რენში" დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო, 47 წლის ექს-ნიცელი მწვრთნელის გუნდმა 3:0 მოუგო „ბულონს". **სილვენ მარვოს** პასით ანგარიში **ისმაელ ბანგურამ** გახსნა, ეს განელი ფორვარდის პირველი გოლია „რენის" მაისურით. პირველ ტაიმშივე **კადერ მანგანემ** 2:0 გახადა ანგარიში, მან კუთხურიდან თავურით გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს მასპინძელთა მე-8 (!) კუთხური იყო. მატჩის ბოლო წუთზე **ჟერომ ლერუამ** საჯარიმო დარტყმით გაიტანა და „რენი" ბურთების უკეთესი სხვაობით ჩემპიონატში დააწინაურა. „ბულონი" კი უკვე ამართლებს აშკარა აუტსაიდერის სტატუსს.

სხვა მატჩებიდან აღვნიშნავთ საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, „სენტ ეტიენის" საშინაო მარცხს „ნიცასთან" და სოშოს" გამარჯვებას „ოსერზე" სტუმრად **ვაცლავ სვერკოშის** ერთადერთი გოლის წყალობით - 1:0.

წუხელ ტიტულის დაცვა წარმატებით დაიწყო „ბორდომ". **ლორან ბლანის** გუნდმა 4:1 მოუგო მეორე ლიგის ჩემპიონ „ლანსს". „ბორდომ" მეტოქე მეორე ტაიმში გატეხა, როხა სამი უპასუხო გოლი გაუტანა. დუბლი შეასრულა „მილანიდან" 13,5 მილიონ ევროდ შეძენილმა **იოან გურკუფმა**, რომელმაც გასული სეზონი იჯარის წესით გაატარა „სტად შაბან-დელმასზე".

### I ტური

**ოსერი-სოშო 0:1**
გოლი: სვერკოში (40)

**გრენობლი-მარსელი 0:2**
გოლები: 0:1 ნიანგი (1), 0:2 შეირუ (80)

**ლე მანი-ლიონი 2:2**
გოლები: 1:0 მაიგა (21), 1:1 ბოდმერი (28), 2:1 კუტადო (59 პ.), 2:2 ლოპესი (90)

**მონაკო-ტულუზი 1:0**
გოლი: 1:0 ნენე (45)
გაძევება: პერესი (75. მონაკო)

**მონპელიე-პსჟ 1:1**
გოლები: 0:1 ჟიული (71), 1:1 სპაჰიჩი (94)
გაძევება: ჟიანშამპი (33. მონპელიე)

**რენი-ბულონი 3:0**
გოლები: 1:0 ბანგურა (7), 2:0 მანგანე (45), 3:0 ლერუა (91)

**სტ. ეტიენი-ნიცა 0:2**
გოლები: 0:1 მ. ტრაორე (39), 0:2 რემი (88)

**ვალანსიენი-ნანსი 1:3**
გოლები: 1:0 სამასა (6), 1:1 აიტე (17), 1:2 ბრისონი (60), 1:3 ბ. ტრაორე (71 პ)
გაძევება: პენეტო (93. ვალანსიენი)

**ლილი-ლორიენი 1:2**
გოლები: 0:1 გამეირო (33), 0:2 ვაირუა (52), 1:2 მონტერუბიო (66 ს.კ.)

**ბორდო-ლანსი 4:1**
გოლები: 1:0 ვენდელი (12), 1:1 ჟემაა (40), 2:1 გურკუფი (54), 3:1 შამახი (92), 4:1 გურკუფი (93)

ლისანდრო ლოპესი



გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური

# მოპარული გოლის ამბავი

## ჰოფენჰაიმი დაიჩაგრა! ვან გაალი: სასაცილოა, რომ XXI საუკუნეში ვიდეომსაჯს არ ვიყენებთ!



ზოგადად, ნებისმიერი ჩემპიონატის პირველ ტურში მოსაწყენი მატჩები იმართება ხოლმე, რადგან გუნდები ჯერ კიდევ არ არიან გახურებულები და სირბილიც ეზარებათ ხოლმე. ბუნდესლიგა კი ამ მხრივ ყოველთვის გამონაკლისია - გერმანიაში დიდი ბრძოლები პირველივე ტურიდან იწყება და ასე იყო ამჯერადაც.

ტურის ცენტრალური მატჩით დავიწყოთ, რომელშიც ერთმანეთს „ჰოფენჰაიმი" და „ბაიერნი" ხვდებოდნენ. ამ შეხვედრაში ვნახეთ ყველაფერი ის, რის გამოც ფეხბურთი გვიყვარს: დრამატული შეხვედრა, შესანიშნავი კომბინაციებით გატანილი გოლები და დისკუსიები საფინალო სასტვენის შემდეგ. სკა-ბაასი კი მსაჯ **ბაბაკ რაფატისა** და ერთ-ერთი ლაინსმენის უპატიებელ შეცდომას მოჰყვა. ხსენებულმა არბიტრმა „ჰოფენჰაიმს" წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. მიუნხენურ კლუბს ტრავმების გამო არ ჰყავდა **რიბერი, ტონი, კლოზე** და **დემიკელისი**. შესაბამისად, **ლუის ვან გაალმა** ძირითადში **ბაუმიოჰანი** (გამთამაშებლად), **ოლიჩი** და **ბადშტუბერი** გაამწესა. მარცხენა მცველის პოზიციაზე **დანიელ პრანიჩი** ათამაშა, **ფილიპ ლამი** მარჯვნივ გადასწია, ცენტრი კი, ვან ბუიტენთან ერთად, ბადშტუბერს ანდო.

„ჰოფემ" თამაში ძალიან კარგად დაიწყო და მე-11 წუთზე, კაპიტან **სეიად სალიჰოვიჩის** ჯარიმას **იოზიპ შიმუნიჩი** გამოეხმაურა. მისი თავური დარტყმის შემდეგ (7 მეტრიდან), ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე კი კარის ხაზი კარგა გვარიანად გადაკვეთა და „ბაიერნის" მეკარე **მიხაელ რენზინგმა** მხოლოდ ამის შემდეგღა შეძლო რეაგირება. მაგრამ ვერც მსაჯმა და ვერც ლაინსმენებმა ეს ვერ დაინახეს და შიმუნიჩს გოლი არ ჩაუთვალეს. აღსანიშნავია, რომ მატჩის შემდეგ აბსოლუტურად ყველამ აღიარა, რომ გოლი ჩასათვლელი იყო. იუბილარი ვან გაალი (შაბათს 58 წლის გახდა): *„სასაცილოა ის, რომ 21-ე საუკუნეში შესანიშნავ ტექნიკას არ ვიყენებთ და თავს იმის უფლებას ვაძლევთ, რომ მსაჯების ასეთი შეცდომები ავიტანოთ. „ჰოფენჰაიმს" ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს."*

გარდა ამისა, „ჰოფენჰაიმი" კიდევ ერთ მომენტში დაიჩაგრა, როცა **მარკ ვან ბომელმა ისააკ ფორსას** ამერიკული ფეხბურთის ილეთი ჩაუტარა და ძირს დააგდო. მატჩის შემდეგ **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, ასეთ საქციელს ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვსო. თუმცა „ბაიერნის" ჰოლანდიელი კაპიტანი მაინც დაისაჯა: მატჩის მინურულს ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა (მის ნაცვლად მოედანზე **ანატოლი ტიმოშჩუკი** შევიდა). ვან ბომელს ექიმები დიაგნოზს დღეს დაუსვამენ.

პირველ ტაიმში რეკორდმაისტერმა ერთადერთი ხეირიანი შეტევა განახორციელა და ისიც უმაღლესი დონის, მრავალსვლიანი კომბინაცია გახლდათ, რომელიც ოლიჩმა გოლით დააგვირგვინა. იდეალური კონტრშეტევის შედეგი იყო „სოფლელების" გოლიც (ავტორი: **ობასი ოგბუკე**). ბეკენბაუერი: *„ჩვენმა დაცვამ გოლის დროს უპატიებელი შეცდომა დაუშვა. პრანიჩმა და ბადშტუბერმა სკოლის მოსწავლეებივით იმოქმედეს!"* მეორე ტაიმში „ბაიერნმა" გაცილებით უკეთ ითამაშა, მაგრამ ვერ იხეირა. საფინალო სასტვენის შემდეგ **მარიო გომესმა** თქვა, კარგად არ გვითამაშია და კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვსო. ვან გაალი: *„პირველ ტაიმში „ბაიერნმა" ფეხბურთის თამაში საერთოდ დაივიწყა. მეორე ნახევარში ჰოფენჰაიმელები ძალიან დაღლილები იყვნენ და უნდა მოგვეგო."* რეკორდმაისტერის თამაშით კმაყოფილი მხოლოდ მენეჯერი **ული ჰიონესი** გახლდათ, რომელიც სხვათა შორის, 30-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად აღარ ზის სათადარიგოთა სკამზე - ულიმ ტრიბუნაზე აინაცვლა. მან თქვა, თუ ასე გავაგრძელებთ, ძალიან მალე ცხრილში ერთპიროვნული ლიდერები ვიქნებითო. ბარემ აქვე გეტყვით იმასაც, რომ შაბათს ესპანურმა „ასმა" გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ რიბერის მრჩეველი „რეალის" პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესს** მოურიგდა იმის შესახებ, რომ ფრანგი მადრიდს 2010 წელს მიაშურებს - 25 მილიონად.

სამქულიანი სტარტი აიღო „შალკემაც" - **ფელიქს მაგათის** შეგირდებმა ელიტაში აღზევებულ „ნიურნბერგს" სტუმრად 2:1 მოუგეს. მიუხედავად გამარჯვებისა, „დესპოტი ფელიქსი" თავისი შეგირდების თამაშით ძალიან უკმაყოფილო გახლდათ, გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში უჯავრდებოდა და საფინალო სასტვენის შემდეგ, გასახდელისკენ ხელ-ფეხის ქნევით გაეშურა. ფელიქსი განსაკუთრებით ბოლო წუთების გამო განრისხდა, როცა შალკელები ძალიან მიქარავდნენ და კინაღამ მეორე გოლი გაუშვეს. მაგათმა განსაკუთრებით ახალწვეული **ლუის ჰოლტბი** დაცოფა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ბოლო წუთებში ძალიან ეგოისტურად მოიქცა. ფელიქსი: *„ასეთ საქციელს პროფესიონალიზმთან არავითარი კავშირი არ აქვს!"* სამაგიეროდ, მაგათი **ლევან ყენიას** თამაშით (ქართველმა მთელი მეორე ტაიმი ითამაშა, ყველა ბურთისთვის მაგრად იბრძოდა და საგოლე გადაცემაც გააკეთა) დარჩა კმაყოფილი. სანამ ფელიქსი ყენიას მოედანზე შეუშვებდა, დიდხანს უხსნიდა სიტყვებითა და ხელების მოძრაობებით, მოედანზე ცეცხლი უნდა დაანთოო და მერე, გასახელებლად, სახეშიც შემოარტყა. ყენიამ მწვრთნელს იმედები არ გაუცრუა, მედგრად იბრძოდა, ბევრს მოძრაობდა და ბუნდესლიგაში პირველი საგოლე პასიც მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ლევანმა **რაკიტიჩი** შეცვალა და ფლეიმეიკერის პოზიციაზე ითამაშა. ნიურნბერგელები კი ჩიოდნენ, 90-ე წუთზე მსაჯს **პეერ კლუგეს** წაქცევისთვის პენალტი უნდა დაენიშნაო...

ბეკენბაუერს რომ ჰკითხოთ, ამ სეზონში გერმანიის ჩემპიონობისთვის დორტმუნდის „ბორუსიაც" იბრძოლებს. კაიზერისთვის „დორტმუნდი" ბუნდესლიგის საიდუმლო ფავორიტია. „შავყვითლების" პირველივე მატჩს 78 200 მაყურებელი დაესწრო და გრანდიოზულმა ფანებმა თავიანთი საყვარელი გუნდის კარგი თამაში და საჭირო გამარჯვება იხილეს - 1:0 „კიოლნთან". ამ მატჩის წინ მთელი საფეხბურთო გერმანია ორი ლუკასის დაპირისპირების მოლოდინში იყო - კიოლნელი **პოდოლსკისა** და დორტმუნდელი **ბარიოსის** (ამ უკანასკნელს ზურგზე ლუკასი აწერია), მაგრამ დუელი არ შედგა, რადგან მატჩის წინ პოდოლსკიმ ტრავმა მიიღო და მატჩს ტრიბუნებიდან უყურა. სამაგიეროდ, შედგა სულ სხვა დუელი: „კიოლნის" მეკარე **მონდრაგონი** „დორტმუნდის" მთელი წინა ხაზის წინააღმდეგ. ვესტფალიელებმა 38 წლის კოლუმბიელ მეკარეს კარში 11-ჯერ დაურტყეს და ვერც ერთი ვერ გაუტანეს! სამაგიეროდ, „თხების" ციხე შიგნიდან გატყდა: 75-ე წუთზე **მარვინ მატიპმა** ავტოგოლი გაიტანა. საპირისპირო მხარეს კი, **რომან ვაიდენფელერს** საქმე არ ჰქონია, შეეძლო, პოკერი ეთამაშა... ეს გასაკვირი არცაა, რადგან „კიოლნს" მხოლოდ პოდოლსკი კი არა, **ნოვაკოვიჩიც** აკლდა. „თხების" თავდასხმაში ეულად თამაშობდა **სებასტიან ფრაისი**, რომლის „ბომბარდირულ უნიჭობას" „კარლსრუედან" კარგად ვიცნობთ. და ბარიოსი? „ბორუსიას" ახალმა გოლეადორმა კარგად ითამაშა, ცდა არ დააკლო, 4 კარგი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. მატჩის შემდეგ კი თქვა, 80 000 ფანის წინაშე პირველად ვითამაშე და ეს ძალიან მაგარი გრძნობააო.

„ლევერკუზენმა" სეზონი მაინცში მიღწეული 2:2-ით დაიწყო. მატჩის შემდეგ „ბაიერის" შეფი **რუდი ფიოლერი** ცოფებს ყრიდა: *„მსაჯი ფანების გამო წნეხის ქვეშ მოექცა. თუ პუბლიკა ეთანხმებოდა, ჯარიმას ნიშნავდა, თუ არა და - არა. 2 ქულა მხოლოდ მის გამო დავკარგეთ! ეს არბიტრი აღარ დამანახოთ!"* რამ გააბრაზა რუდი ასე ძალიან? ორმა მომენტმა:

82-ე წუთი: **არისტიდ ბონსემ** ისიმულანტა, მისი „წამქცევი" **სამი ჰიიპია** სიცილით კვდებოდა, როცა გაიგო, რომ ჯარიმა დაინიშნა. ჯარიმა კი **გუნკელმა** გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. 85-ე წუთი: **გეკასმა** „ლევერკუზენი" წინ გაიყვანა, მაგრამ მსაჯმა **აითექინმა** გოლი არ ჩაუთვალა, რადგან ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. არადა, გამეორებაზე კარგად ჩანს, რომ ოფსაიტი არ ყოფილა. მოკლედ, ფიოლერმა აითექინს კინაღამ აგინა, თუმცა საფინალო სასტვენიდან 45 წუთის შემდეგ შეურიგდა (?!) და ხელი ჩამოართვა.

მოიგო „ჰერტამაც", ოღონდ ულიმღამოდ - მხოლოდ 1:0 გაჭირვებულ „ჰანოვერთან". ბერლინელთაგან გამარჯვების გოლი **გოიკო კაჩარმა** გაიტანა. მიუხედავად ფანების კატეგორიული მოთხოვნისა, „ჰანოვერის" შეფები მთავარ მწვრთნელ **დიტერ ჰეკინგს** არ აგდებენ (გუნდი გერმანიის თასიდანაც გავარდა). მეტიც, ბოს **მარტინ კინდს** უნდა, რომ ჰეკინგს შტუტგარტელი **იან შიმაკი** უყიდოს, რომელიც ერთხელ უკვე თამაშობდა „ჰანოვერში"...

წინა სეზონი „ვერდერმა" მეათე ადგილზე დაასრულა 50 გაშვებული გოლით და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „მუსიკოსები" ვერც წელს შეძლებენ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას. **თომას შააფის** გუნდმა შინ „აინტრახტთან" წააგო: 2:3. **ნალდოს** არყოფნაში, „ვერდერის" დაცვამ ამაზრზენად ითამაშა, წინ კი გუნდს „იუვენტუსში" გადასული **დიეგოს** არყოფნა ძალიან დაეტყო. „აინტრახტის" კი კაპიტნობიდან დეგრადირებულმა **ამანატიდისმა** დუბლი შეასრულა.

რაც შეეხება გახსნით მატჩს: პარასკევს „ვოლფსბურგმა" საკმაოდ მარტივად დაამარცხა „შტუტგარტი" (2:0) - ისევ შეუდარებლები იყვნენ **ჯეკო, გრაფიტე** და **მიშიმოვიჩი**. როგორც ჩანს, მოქმედი ჩემპიონი „მგლები" არც წელს ითამაშებენ ურიგოდ...

**გოტფრიდ ლენცი**

### ვოლფსბურგი-შტუტგარტი 2:0

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-2.5, რიტერი-2.5, მადლუნგი-3.5, ბარძალი-3.5, მ. შეფერი-2, ჟოსუე-2.5, ზიანი-3.5 (87. დეჟაგა), გენტნერი-3, მიშიმოვიჩი-2.5, გრაფიტე-2.5 (90. ესვაინი), ჯეკო-2.5.

**შტუტგარტი:** ლემანი-2, ტრეში-2.5, ტასკი-4, დელპიერი-4, მანინი-3, ხედირა-2.5, ჰიტცლშპერგერი-3.5, გებჰარდტი-3.5 (75. ელსონი), ჰლები-4 (56. შიმაკი-4), კაკაუ-4 (68. მარიკა-4.5), პოგრებნიაკი-3.

**გოლები:** 1:0 მიშიმოვიჩი (71), 2:0 გრაფიტე (82)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 13(6)-14(4); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 30 000

### ბორუსია (დ)-კიოლნი 1:0

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3.5, ოვომოიელა-3, სუბოტიჩი-3, სანტანა-2, შმელცერი-3, ტინგა-2.5, ბლაშჩიკოვსკი-3.5 (70. გროსკროიტცი), ნ. შაჰინი-3, ჰაინალი-3.5 (80. ჰუმელსი), ვალდესი-3 (71. ზიდანი), ბარიოსი-3.5.

**კიოლნი:** მონდრაგონი-1.5, ბრეჩკო-4.5, მაკენა-4, მოჰამადი-3.5, ვომე-3.5, პეტიტი-3 (66. მატიპი-4), პეცონი-4, ჩიჰი-4.5 (82. იშიაკუ), მანიშე-4, სანუ-5 (55. ერეთი-3), ფრაისი-4.5.

**გოლი:** 1:0 მატიპი (75-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 22(11)-7(0); **ჯარიმა:** 8-10; **კუთხური:** 16-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 78 200

### ნიურნბერგი-შალკე 1:2

**ნიურნბერგი:** რ. შეფერი-3.5, დიკმაიერი-3, ა. ვოლფი-4, მარო-3.5, პინოლა-4.5, მნარი-5 (55. რისსე-3.5), კლუგე-4, გიუნდოგანი-4.5 (55. ფრანტცი-4), მინტალი-4, აიგლერი-4.5, ბუკი-5 (68. ხარისტეასი-3.5).

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-3.5, სამბრანო-3.5, ბორდონი-4, ჰიოვედესი-3.5, ვესტერმანი-4, მორიტცი-3.5 (76. პლიციკასი), კობიაშვილი-4.5 (46. ჰოლტბი-4), რაკიტიჩი-4.5 (46. ყენია-3), ფარფანი-3, კურანი-1.5.

**გოლები:** 0:1 კურანი (36), 0:2 კურანი (50), 1:2 მინტალი (88)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 14(3)-9(5); **ჯარიმა:** 14-21; **კუთხური:** 9-6; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 46 780

### ვერდერი-აინტრახტი 2:3

**ვერდერი:** ვიზე-2.5, კ. ფრიტცი-4, მერტეზაკერი-4, პრიოდლი-5, პასანენი-5, ფრინგსი-3, ბოროვსკი-5 (74. ბარგფრედი), მარინი-3.5 (78. ჰანტი), იოზილი-2, სანოგო-3.5, უგო ალმეიდა-5 (56. მორენო-4.5).

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3, ოხსი-4, ვასოსკი-3.5, რუსი-4, შპიხერი-3.5, კრისი-4.5 (64. კიოლერი-3), ტებერი-2.5, შვეგლერი-3, კაიო-4, ა. მაიერი-3.5, ამანატიდისი-1.5 (46. ფენინი-2.5).

**გოლები:** 0:1 ამანატიდისი (6), 1:1 იოზილი (13-პენ), 1:2 ამანატიდისი (42), 2:2 სანოგო (44), 2:3 ფენინი (71)

**გაძევება:** პრიოდლი (91. ვერდერი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 22(10)-15(8); **ჯარიმა:** 28-20; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 33 000

### ჰერტა-ჰანოვერი 1:0

**ჰერტა:** დრობნი-3, პეიჩინოვიჩი-4, ა. ფრიდრიხი-2.5, ფონ ბერგენი-3, მ. შტაინი-3.5, კაჩარი-2.5, სისერო-3.5, პიეჩეჯი-5 (54. ებერტი-3.5), ნიკუ-4 (72. დარდაი), რაფაელი-3, ვიხნიარეკი-4.5 (77. დომოვჩიისკი).

**ჰანოვერი:** ენკე-2.5, ჩერუნდოლო-5, ჰაგი-4, კ. შულცი-3.5, ჯაპკა-4, ბალიტში-3.5, ბრუგინკი-3.5, როზენტალი-4.5 (85. ჰანკე), კრჟინოვეკი-4 (89. რაუში), ფორსელი-4.5, შტაინერი-4 (89. შმიდებახი).

**გოლი:** 1:0 კაჩარი (82)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 11(4)-14(2); **ჯარიმა:** 16-20; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 42 169

### მაინცი-ლევერკუზენი 2:2

**მაინცი:** ვ. მიულერი-2.5, ფ. პელერი-3.5, ბუნგერტი-3.5, ნოველსკი-4.5, ვან დერ ჰეიდენი-3.5, კარჰანი-4 (61. გუნკელი-2.5), ჰეგლერი-3.5, ჰოლტლანდი-3 (84. ბ. სვენსონი), ივანშიცი-3.5 (46. ზიდიკი-4.5), სოტო-4, შიურლე-4.

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-3, შვაბი-4.5, მ. ფრიდრიხი-3, ჰიიპია-2.5, კადლეცი-4, რინჰოლდი-3.5 (61. როლფესი-3.5), რენსინგი-3.5, ბარნეტა-3, კროოსი-4.5 (61. კასტრო-3.5), დერდიოკი-3 (86. გეკასი), კისლინგი-2.5.

**გოლები:** 1:0 ჰოოგლანდი (5), 1:1 დერდიოკი (42), 1:2 კისლინგი (43), 2:2 გუნკელი (82)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(4)-14(7); **ჯარიმა:** 22-28; **კუთხური:** 3-5; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 000

### ჰოფენჰაიმი-ბაიერნი 1:1

**ჰოფენჰაიმი:** ჰილდებრანდი-2.5, ბეკი-3.5, შიმუნიჩი-2.5, კომპერი-3, იბერტსბერგერი-3.5, ვაისი-3.5 (62. ვუკჩევიჩი-4), ფორსა-3.5, სალიჰოვიჩი-3, ობასი-2.5 (87. ტერაცინო), იბიშევიჩი-4 (67. მაიკოსუელი-4), კარლოს ედუარდო-2.5.

**ბაიერნი:** რენზინგი-3.5, ლამი-4.5, ვან ბუიტენი-4, ბადშტუბერი-3.5, პრანიჩი-3.5, ვან ბომელი-4 (80. ტიმოშჩუკი), ჰამით ალთინთოფი-3, შვაინშტაიგერი-3.5 (84. ბრააფჰაიდი), ბაუმიოჰანი-4.5 (73. ტ. მიულერი), გომესი-4.5, ოლიჩი-3.

**გოლები:** 0:1 ოლიჩი (25), 1:1 ობასი (41)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 9(1)-9(3); **ჯარიმა:** 10-28; **კუთხური:** 3-10; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 30 150

### ბოხუმი-ბორუსია (მ) 3:3

**ბოხუმი:** ჰეერვაგენი, პფერტცელი, მალტრიტცი, იაია, კ. ფუხსი, იმჰოფი, აზაუაგი (81. ონო), დაბროვსკი (46. ფრაიერი), ეპალე, შესტაკი, კლიმოვიჩი (81. ჰაშემიანი).

**ბორუსია (მ):** ჰაიმეროთი, ლეველსი, ბრაუერსი, დანტე, ჟორე, ტ. მარქსი, ბრედლი (70. იანტშკე), მატმური (70 როისი), არანგო, კოლაუტი, ბობადილია (62. კლაინე).

**გოლები:** 0:1 არანგო (19), 0:2 კოლაუტი (26), 0:3 ბრაუერსი (41), 1:3 აზაუაგი (51), 2:3 აზაუაგი (52), 3:3 შესტაკი (63)

**გაძევება:** დანტე (59. ბორუსია მ)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 28(7)-10(7); **ჯარიმა:** 13-21; **კუთხური:** 11-5; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 29 766

### ფრაიბურგი-ჰამბურგი 1:1

**ფრაიბურგი:** ზალცი, დუ-რი ჩა, კრმასი, ბართი (29. ბასტიანსი), ბუტშერი, ფლუმი, ბანოვიჩი, აბდესადკი, იეგერი (83. მაკიადი), ბეხმანი (83. რაიზინგერი), იდრისუ.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, დემელი, ჟ. ბოატენგი (59. როზენტალი), მატიისენი, აოგო, ზე რობერტო, იაროლიმი, ტროხოვსკი (69. ელია), პიტროიპა (77. იანსენი), პეტრიჩი, გერერო.

**გოლები:** 0:1 პიტროიპა (3), 1:1 ბეხმანი (65)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 17(6)-14(3); **ჯარიმა:** 22-19; **კუთხური:** 12-6; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 24 000

### II ბუნდესლიგა

#### I ტური

**კარლსრუე-ალემანია 1:1**

გოლები: 0:1 დრპიჩი (54-საკ. კარში), 1:1 ხრიზანტუსი (81)

**ობერჰაუზენი-უნიონი 0:3**

გოლები: 0:1 მოსკერა (42), 0:2 ბენიამინა (65), 0:3 მატუშკა (67)

**ზტ. პაული-ალენი 2:1**

გოლები: 1:0 მ. ლემანი (32), 1:1 დიორინგი (42), 2:1 პიხინოტი (90)

**ფორტუნა-პადერბორნი 3:0**

გოლები: 1:0 ხრისტი (15), 2:0 ფინკი (20), 3:0 ვებერი (35)

**კაიზერსლაუტერნი-ფიურტი 2:1**

გოლები: 1:0 ილიჩევიჩი (5), 2:0 ბუგერა (17), 2:1 ალაგუი (55)

**კოტბუსი-აუგსბურგი 3:1**

გოლები: 1:0 რადუ (23), 1:1 თურკი (27), 2:1 ბიტროფი (45+3), 3:1 იულა (63)

**ფრანკფურტი-დუისბურგი 1:2**

გოლები: 0:1 ს. ვაგნერი (4), 0:2 ს. ვაგნერი (40), 1:2 ჩენჩი (85)

**მიუნხენ 1860-კობლენცი 2:0**

გოლები: 1:0 კ. კუპერი (17), 2:0 ლაუთი (62)

**არმინია-ჰანზა დღეს**

### III ბუნდესლიგა

ვერდერი II-ბორუსია (დ) II 1:0, ბრაუნშვაიგი-კილი 2:1, დრეზდენი-ზანდჰაუზენი 0:3, ჰაიდენჰაიმი-ვეენი 0:2, ინგოლშტადტი-ერფურტი 5:0, ოფენბახი-ოსნაბრიუკი 2:0, რეგენსბურგი-ბურგჰაუზენი 0:0, ვუპერტალი-შტუტგარტი II 0:3, კარლ ცაისი-ბაიერნი II 6:0, უნტერჰახინგი-აუე 2:2.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალიის თასი

| | |
|---|---|
| სალერნიტანა-ბენევენტო | 1:0 |
| სასუოლო-ალესანდრია | 2:0 |
| ლუმეცანე-გალიპოლი | 6:0 |
| მოდენა-ნოვარა | 1:1 პენ. 2:4 |
| ბრეშია-რავენა | 1:0 |
| ემპოლი-რეჯინა | 2:0 |
| ლეჩე-ვიკო ეკუენსე | 4:0 |
| პიაჩენცა-ვერონა | 1:3 |
| რეჯინა-არეცო | 3:0 |
| საალ-ალბინოლეფე | 3:1 დ.დ. |
| ტორინო-ფილინე | 1:0 |
| ტრიესტინა-ფოჯა | 1:0 დ.დ. |
| ანკონა-პერუჯა | 1:0 |
| ასკოლი-კროტონე | 3:1 |
| ჩეზენა-ტერნანა | 2:2 პენ. 3:2 |
| ჩიტადელა-პადოვა | 2:0 |
| ფროსინონე-ვარეზე | 1:1 პენ. 4:3 |
| მანტოვა-პროპატრია | 3:1 |
| ვიჩენცა-კრემონეზე | 1:2 |

## პორტუგალია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| პორტუ-ფერეირა | 2:0 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი

I ტური

| | |
|---|---|
| მიდლსბრო-შეფილდი | 0:0 |
| კარდიფი-სკანთორფი | 4:0 |
| კრ. პალასი-პლიმუტი | 1:1 |
| დერბი-პიტერბრო | 2:1 |
| ლესტერი-სუონსი | 2:1 |
| პრესტონი-ბრისტოლი | 2:2 |
| ქუინზ პარკი-ბლეკპული | 1:1 |
| რიდინგი-ნოტინგემი | 0:0 |
| უენსდი-ბარნსლი | 2:2 |
| უოტფორდი-დონკასტერი | 1:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 1:1 |
| ქოვენტრი-იფსვიჩი | 2:1 |

### I ლიგა

I ტური

| | |
|---|---|
| ჯილინგემი-სუინდონი | 5:0 |
| საუთჰემპტონი-მილუოლი | 1:1 |
| ბრაიტონი-უოლსოლი | 0:1 |
| როვერსი-ლეიტონი | 1:2 |
| კარლაილი-ბრენტფორდი | 1:3 |
| ჩარლტონი-უიკომბი | 3:2 |
| ლიდსი-ექსეტერი | 2:1 |
| მილტონი-ჰარტლპული | 0:0 |
| ნორვიჩი-კოლჩესტერი | 1:7 |
| ოლდჰემი-სტოკპორტი | 0:0 |
| საუთენდი-ჰადერსფილდი | 2:2 |
| იეოვილი-ტრანმერი | 2:0 |

### II ლიგა

I ტური

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-დარლინგტონი | 3:1 |
| ბერი-ბორნმუთი | 0:3 |
| ჩელტენემი-გრიმსბი | 2:1 |
| კრიუ-დაგენემი | 1:2 |
| ლინკოლნი-ბარნეტი | 1:0 |
| მორკამბი-ჰერეფორდი | 2:2 |
| ნორთჰემპტონი-მაკლსფილდი | 0:0 |
| ნოტსი-ბრედფორდი | 5:0 |
| პორტ ვეილი-როჩდეილი | 1:1 |
| როტერჰემი-აკრინგტონი | 1:0 |
| შრიუსბერი-ბარტონი | 3:1 |
| ტორკი-ჩესტერფილდი | 2:0 |

### კონფერენსი

I ტური

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-ლუტონი | 1:1 |
| ალტრინჩემი-ებსფლიტი | 1:1 |
| კემბრიჯი-ბაროუ | 0:2 |
| ფორესტ გრინი-კეტერინგი | 1:2 |
| გეიტშიდი-ჰისტონი | 0:3 |
| კიდერმინსტერი-ჰეისი | 1:0 |
| მენსფილდი-ქროული | 4:0 |
| ოქსფორდი-იორკი | 2:1 |
| რაშდენი-სალისბერი | 0:2 |
| სტივენიჯი-ტამუორტი | 1:1 |
| რექსემი-ისტბური | 3:0 |
| გრეისი-ჩესტერი | გადაიდო |

## ჰოლანდია

II ტური

| | |
|---|---|
| ნიმეგენი-ჰერენვეენი | 4:1 |
| ალკმაარი-სპარტა | 2:0 |
| აიაქსი-ვაალვიკი | 4:1 |
| როდა-გრონინგენი | 1:1 |
| ბრედა-ჰერაკლესი | 0:0 |
| ვიტესი-ფეიენოორდი | 0:0 |
| ტვენტე-ეინდჰოვენი | 1:1 |
| უტრეხტი-ვილემი | 1:0 |
| ვენლო-დენ ჰააგი | 2:2 |

### II დივიზიონი

I ტური

აპელდოორნი-ცვოლე 2:0; ექსელსიორი-ტელსტარი 2:2; ეინდჰოვენი II-მაასტრიხტი 4:3; ემენი-როსენდაალი 0:4; ტოპ ოსი-დორდრეხტი 0:1; ვოლენდამი-დენ ბოში 1:1; ფორტუნა-ჰელმონდი 0:4; იგლზი-ომნივორლდი 2:0; ჰაარლემი-ვეენდამი 1:6; კამბური-გრააფსხაპი 1:1.

## ბელგია

II ტური

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-სტანდარდი | 1:1 |
| ანდერლეხტი-სერკლი | 3:2 |
| მუსკრონი-რუზელარე | 0:0 |
| სტ. ტრუიდენი-შარლერუა | 0:0 |
| ვესტერლო-კორტრიიკი | 1:1 |
| ვარეგემი-გენკი | 2:2 |
| გენტი-მეხელენი | 2:1 |
| ბრიუგე-ლოკერენი | 2:0 |

## პორტუგალია

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ეშტორილი-ავეში | 1:0 |
| ჟილ ვისენტე-ოლივეირენსე | 0:0 |
| ვარზიმი-ფატიმა | 1:0 |
| ფრეამუნდე-ბეირა მარი | 3:0 |
| სანტა კლარა-შავეში | 3:2 |
| კოვილია-კარეგადო | 1:1 |
| ტროფენსე-პენაფიელი | 2:0 |
| ფეირენსე-პორტიმონენსე | 0:0 პენ. 5:6 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| ეირი-პარტიკი | 1:1 |
| დანდი-მორტონი | 1:0 |
| დანფერმლაინი-ინვერნესი | 0:1 |
| ქუინი-რეითი | 1:1 |
| როსი-ეირდრი | 2:1 |

### II დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-არბროა | 1:2 |
| დამბარტონი-ალოა | 1:3 |
| ისტ ფაიფი-ბრეჩინი | 2:0 |
| პიტერჰედი-კლაიდი | 2:0 |
| სტირლინგი-სტენჰაუსმუირი | 0:0 |

### III დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| ბერვიკი-ანენი | 2:1 |
| მონროუზი-ელჯინი | 1:1 |
| ქუინზ პარკი-ფორფარი | 2:2 |
| სტრანრარი-ალბიონი | 1:1 |
| ი სტირლინგი-ლივინგსტონი | გადაიდო |

## ავსტრია

IV ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი-კაპფენბერგი | 4:0 |
| მატერსბურგი-ზალცბურგი | 2:3 |
| ავსტრია (ვ)-ვინერი | 2:1 |
| რიდი-რაპიდი | 1:1 |
| ავსტრია (კ)-შტურმი | 1:3 |

### II დივიზიონი

V ტური

დორნბირნი-ვენა 2:1; ადმირა-პარტბურგი 0:1; ტიროლი-ავსტრია II 2:0; ზალცბურგი II-ლუშტენაუ 1:3; სტ. პოლტენი-ავსტრია (ლ) 0:4; გრატკორნი-ალტახი 3:1.

## დანია

IV ტური

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-სილკებორგი | 3:0 |
| მიდტიულანდი-რანდერსი | 4:1 |
| ორჰუსი-ჰერფიოლგე | 2:1 |
| ესბიერგი-ოდენსე | 1:2 |
| სონდერილი-კოპენჰაგენი | 0:1 |
| ბრონდბიუ-ოლბორგი | 0:2 |

### II დივიზიონი

I ტური

ბრაბრანდი-ვესტსიელანდი 0:1; ფრემი-ნაესტვედი 0:1; ვიბორგი-როსკილდე 2:1; ვეილე-სკივე 5:0; კოლდინგი-აკადემისკი 1:2; ლუნგბიუ-ფრედერისია 2:1; ჰორსენსი-ჰვიდოვრე 2:1; ფინი-ტისტედი 2:3.

## ფინეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ტამპერე-პაკა | 1:1 |
| ლაჰტი-მიუპა | 0:1 |
| ჰონკა-ჰიკ | 1:1 |
| მარიეჰამნი-როვანიემი | 2:1 |
| ტურკუ-ინტერი | 2:0 |

### II დივიზიონი

XVII ტური

ოულუ-კიისტო 5:1; ატლანტისი-ტპვ ტამპერე 1:0; ჰამეენლინა-ტპ47 0:0; იიპოკლუბი04 5:1; ჰკ35-კოოტეპე 0:0; კემი-კპვ 1:1; ვიიკინგიტი-ჰოპა 0:1.

## ისლანდია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ფილკირი-სტიარნანი | 2:1 |
| ჰაფნარი-რეიკიავიკი | 2:4 |
| კეფლავიკი-ბრეიდაბლიკი | 0:3 |
| ტროტური-გრინდავიკი | 1:5 |
| ვალური-ფრამი | 1:2 |
| ვესტმანაეიარი-ფიოლნირი | 3:1 |

## სლოვენია

IV ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-დრავა | 3:1 |
| გორიცა-კოპერი | 1:2 |
| მარიბორი-ოლიმპია | 1:0 |
| ინტერბლოკი-პუბლიკუმი | 1:2 |
| რუდარი-დომჟალე | 4:1 |

## ირლანდია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-კორკი | 1:0 |
| დროგედა-შემროკი | 0:1 |
| სლიგო-დანდოლკი | 3:4 |
| ბრეი-სტ. პატსი | გადაიდო |
| დერი-გალვეი | გადაიდო |

### II დივიზიონი

XXI ტური

უექსფორდი-მონეგანი 0:2; სპორტინგი-მერვუ 2:0; უნივერსიტი-ეთლონი 1:1; კილდეირი-უოტერფორდი 0:2; ლონგფორდი-შელბურნი 0:2; ფინ ჰარპსი-ლიმერიკი 1:2.

## ნორვეგია

### II დივიზიონი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ალტა-მოსი | 0:3 |
| ლონ ჰამი-კონგსვინგერი | 1:1 |
| მიონდალენი-ნოტოდენი | 1:0 |
| ნილი-ჰამ კამი | 2:2 |
| სტავანგერი-ჰიონეფოსი | 2:2 |
| ტრომსდალენი-ბრინი | 3:2 |

## ნორვეგიის თასი

### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| აალესუნდი-სტაბეკი | 3:1 |
| ოდ გრენლანდი-ბრანი | 5:1 |
| ვოლერენგა-ტრომსიო | 4:3 |
| მიოლდე-რუსენბორგი | 5:0 |

## შვედეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| აიკ-ბრომაპოიკარნა | 2:1 |
| ტრელებორგი-მალმიო | 0:2 |
| იურგორდენი-ჰამარბიუ | 0:1 |
| იორგრიტე-გიოტებორგი | 1:2 |
| ელფსბორგი-გეფლე | 2:3 |
| ჰალმსტადი-კალმარი | 2:0 |
| ჰელსინგბორგი-ერებრუ | 0:1 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

ატვიდაბერგი-ვასბი 2:0; ანგელჰოლმი-ფარკენბერგი 2:0; ასირისკა-მიალბიუ 1:2; კვიდინგი-იონჩოპინგი 3:2; ტროლჰატანი-სირიანსკა 3:2; ვასალუნდსი-ლიუნგსკილე 1:0; სირიუსი-ლანდსკრონა დღეს.

## შვეიცარია

V ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სტ. გალენი | 1:3 |
| სიონი-არაუ | 1:1 |
| ბაზელი-ციურიხი | 1:1 |
| ლუცერნი-ქსამაქსი | 2:1 |
| იანგ ბოიზი-ბელინცონა | 4:2 |

### ჩელენჯლიგა

III ტური

ვილი-ლოკარნო 1:1; ივერდონი-ლოზანა 1:1; ბილი-თუნი 1:1; ლე მონი-შაფჰაუზენი 3:2; ლუგანო-სერვეტი 2:1; გოსაუ-ვოლენი 1:3; ვადუცი-სტად ნიონე 1:0; ვინტერტური-კრინსი დღეს.

## თურქეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ბუიუქშეჰირი-ბეშიქთაში | 1:1 |
| ანთალია-ანკარა | 0:1 |
| დიარბაქირი-ანკარაგიუჯუ | 2:2 |
| შივასი-ტრაბზონი | 1:2 |
| გაზიანთეფი-გალათასარაი | 2:3 |
| გენჩლერი-ქაისერი | 0:0 |
| ბურსა-ქასიმფაშა | 2:1 |
| მანისა-ესქიშეჰირი | 0:0 |
| დენიზლი-ფენერბაჩე | 0:2 |

## ბულგარეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ბეროე-ლოკომოტივი (ს) | 2:1 |
| ლოკომოტივი (მ)-ლიტექსი | 0:5 |
| მონტანა-სლივენი | 0:0 |
| პირინი-მინიორი | 0:1 |
| ლევსკი-ბოტევი | 5:0 |
| ლოკომოტივი (პ)-ცსკა | 0:5 |
| ჩერნომორეცი-ჩერნო მორე | 2:1 |
| სპორტისტი-სლავია | დღეს |

## ხორვატია

III ტური

| | |
|---|---|
| ინკერი-სიბალია | 1:0 |
| კროაცია-დინამო | 2:5 |
| მედიმურიე-ისტრა | 4:2 |
| ოსიეკი-კარლოვაცი | 0:1 |
| ზადარი-შიბენიკი | 2:1 |
| ვარტექსი-ლოკომოტივა | 2:1 |
| რიეკა-ზაგრები | 3:1 |
| სლავენი-ჰაიდუკი | 2:1 |

## მექსიკა

III ტური

| | |
|---|---|
| კრუს ასული-მონტერეი | 2:0 |
| კერეტარო-პუებლა | 1:1 |
| ატლანტე-პაჩუკა | 0:2 |
| ინდიოსი-ამერიკა | 0:1 |
| ტიგრესი-ხაგუარესი | 0:1 |
| ატლასი-ს. ლაგუნა | 2:1 |
| მორელია-სან ლუისი | 2:1 |
| ტოლუკა-პუმასი | 3:0 |

## ჩეხეთი

III ტური

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-სპარტა | 1:1 |
| ბანიკი-პლზენი | 1:0 |
| ბოჰემიანსი 1905-იაბლონეცი | 0:1 |
| ლიბერეცი-ბრნო | 0:1 |
| ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 3:0 |
| სლავია-ბოჰემიანსი | 3:1 |
| სლოვაცკო-სიგმა | 2:0 |
| კლადნო-ბოლესლავი | დღეს |

### II დივიზიონი

II ტური

იჰლავა-მოსტი 3:1; სპარტა II-ოპავა 0:0; ჰლუჩინი-ტრშინეცი 0:4; ვლაშიმი-სოკოლოვი 2:2; ჟლინი-ჩასლავი 1:0; ვიქტორია-ვიტკოვიცე 1:0; უსტი-დუკლა 2:1; კარვინა-პრადეცი 0:1.

## უნგრეთი

III ტური

| | |
|---|---|
| ნირედიჰაზა-ფერენცვაროში | 3:1 |
| პაპაში-პაქსი | 3:1 |
| კეჩკემეტი-დიორი | 2:0 |
| ლომბარდი-ფეხერვარი | 0:1 |
| ზალაეგერშეგი-კაპოშვარი | 0:3 |
| დიოშდიორი-უიპეშტი | 1:2 |
| ჰალადაში-მტკ | 2:4 |
| ჰონვედი-დებრეცენი | გადაიდო |

## პოლონეთი

II ტური

| | |
|---|---|
| კრაკოვია-ლეხია | 2:6 |
| ზაგლებე-ვისლა | 1:4 |
| ოდრა-პოლონია (ბ) | 0:1 |
| ბელხატოვი-იაგელონია | 1:1 |
| რუხი-პიასტი | 2:0 |
| პოლონია (ვ)-შლიონსკი | 3:2 |
| არკა-ლეგია | 0:1 |
| კორონა-ლეხი | 0:5 |

## რუმინეთი

II ტური

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-უნივერსიტატეა | 2:1 |
| დინამო-ინტერნაციონალი | 0:1 |
| ბრაშოვი-ასტრა | 0:0 |
| პანდური-ვასლუი | 1:0 |
| გლორია-უნირეა (ა) | 1:1 |
| უნირეა (უ)-რაპიდი | 1:0 |
| ოცელული-ჩახლაული | 0:0 |
| პოლიტეხნიკა-ტიმიშოარა | 1:1 |
| სტიაუა-კლუჟი | 2:2 |

## რუსეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| მოსკოვი-რუბინი | 1:3 |
| ნალჩიკი-სპარტაკი | 2:4 |
| ყუბანი-სატურნი | 0:2 |
| დინამო-ტერეკი | 0:1 |
| კრილია-ლოკომოტივი | 1:3 |
| ზენიტი-ტომი | 0:2 |
| ცსკა-ამკარი | 1:0 |
| როსტოვი-ხიმკი | 2:0 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ალანია-ვოლგა 0:1; ბალტიკა-ანჟი 0:0; ლ. ენერგია-ურალი 0:0; მეტალურგი-ჩიტა 0:1; ნიჟნი ნოვგოროდი-კამაზ 0:2; ნოსტა-ჩერნომორეცი 0:1; სალუტი-მვდ 3:0; შინიკი-გაზპრომი 0:0; სკა ენერგია-სიბირი 0:1; ვიტიაზი-კრასნოდარი 2:0.

## სლოვაკეთი

V ტური

| | |
|---|---|
| პეტრჟალკა-ნიტრა | 0:0 |
| დუბნიცა-დ. სტრედა | 1:3 |
| ტატრანი-ბისტრიცა | 0:1 |
| ტრნავა-ინტერი | 3:0 |
| კოშიცე-ჟილინა | 0:2 |
| რუჟემბეროკი-სლოვანი | 1:3 |

## უკრაინა

IV ტური

| | |
|---|---|
| დნეპრი-არსენალი | 1:1 |
| კარპატი-ზორია | 4:0 |
| ჩერნომორეცი-ობოლონი | 0:1 |
| დინამო-ილიჩივეცი | 3:1 |
| ტავრია-კრივბასი | 3:1 |
| ზაკარპატია-მეტალისტი | 0:2 |
| მეტალურგი (ზ)-ვორსკლა | 1:1 |
| შახტარი-მეტალურგი (დ) | 4:1 |

## ბრაზილია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-ატ. პარანაენსე | 0:1 |
| ნაუტიკო-სანტო ანდრე | 2:1 |
| სანტოსი-ავაი | 2:2 |
| ფლამენგო-კორინთიანსი | 1:0 |
| ვიტორია-ფლუმინენსე | 2:2 |
| ბარუერი-გრემიო | გვ. დასრულდა |
| კურიტიბა-კრუზეირო | გვ. დასრულდა |
| სან პაულუ-გოიაში | გვ. დასრულდა |

## აშშ

XX ტური

| | |
|---|---|
| ნიუ ინგლენდი-ლოს ანჯელესი | 1:2 |
| სან ხოსე-კოლამბუსი | 0:3 |
| სოლტ ლეიკი-სიეტლი | 1:0 |
| კოლორადო-ჩივასი | 4:0 |
| ჰიუსტონი-ჩიკაგო | გვ. დასრულდა |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ტორონტო-რეალი | 1:5 |
| დანდი იუნ-ბლეკბერნი | 2:0 |
| სტ. ჯონსტონი-ბარნლი | 1:0 |
| ასტონ ვილა-ფიორენტინა | 1:0 |
| ბირმინგემი-სპორტინგი (ხ) | 0:0 |
| ბოლტონი-ჰიბერნიანი | 0:0 |
| ჰარტსი-სანდერლენდი | 1:1 |
| ლივერპული-ატლეტიკო | 1:2 |
| მანჩესტერ ს-სელტიკი | 2:1 |
| პორტსმუთი-რეინჯერსი | 2:0 |
| ვესტ ჰემი-ნაპოლი | 0:1 |
| უიგანი-სტ. მირენი | 3:1 |
| ბენფიკა-მილანი | 1:1 |
| პარმა-ოსასუნა | 1:2 |
| პეკ-ბოკა ხუნიორსი | 0:2 |
| ვალენსია-არსენალი | 2:0 |
| სარაგოსა-ბეტისი | 2:4 |
| ჩივასი-ბარსელონა | 1:1 |
| ჰალი-აბერდინი | 0:1 |
| ტოტენჰემი-ოლიმპიაკოსი | 3:0 |
| დი სი იუნაიტედი-რეალი | 0:3 |

## ჩილე

### კლაუსურა

V ტური

| | |
|---|---|
| ს. მორნინგი-კოლო კოლო | 2:1 |
| პალესტინო-კობრელოა | 2:1 |
| უაჩიპატო-ლა სერენა | 2:0 |
| უნ. კატოლიკა-ო'ჰიგინსი | 0:0 |
| კობრესალი-რეინჯერსი | 2:0 |
| ევერტონი-ნუბლენსე | 1:0 |
| მუნისიპალი-უნ. ესპანიოლა | 3:4 |

## პერუ

### აპერტურა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ინტი გასი-სან მარტინი | 1:1 |
| სპ. კრისტალი-ხოსე გალვესი | 2:0 |
| კოლეგიო-სპორტ ანკაში | 2:0 |
| ხუან აურიჩი-სპორტი | 3:1 |
| ბოლონესი-სესარ ვალეხო | 2:2 |
| ალ. ატლეტიკო-სენსიანო | 1:1 |
| უნ. პერუ-მელგარი | 1:0 |
| ტ. ჩალაკო-ალ. ლიმა | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

### კლაუსურა

V ტური

| | |
|---|---|
| კუკუტა-მილიონარიოსი | 0:1 |
| სანტა ფე-ინდეპენდიენტე | 2:1 |
| ჩიკო-დეპ. პერეირა | 0:0 |
| ატ. უილა-ენვიგადო | 3:2 |
| ატ. ნასიონალი-დეპ. ტოლიმა | 2:2 |
| დეპ. პასტო-ატ. ხუნიორი | 1:0 |
| ონსე კალდასი-დეპ. კინდიო | 2:0 |
| რეალი-ლა ეკიდადი | 2:2 |
| დეპ. კალი-ამერიკა | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

### კლაუსურა

IV ტური

| | |
|---|---|
| პორტოვიეხო-მანტა | 0:0 |

## საკონტროლო მატჩები



კრისტიანო რონალდო კანადელთა ალყაში

# რეალმა მოიგო, ბარსამ ვერა

### გალაქტიკა კრისტიანოს ირგვლივ იტრიალებს

კანადაში მყოფმა სამეფო კლუბმა დასამახსოვრებელი საფეხბურთო საღამო მოუწყო იქაურ გულშემატკივარს, „რეალმა" ამხანაგურ მატჩში „ტორონტო" 5:1 დაამარცხა. პერესის „დრიმ თიმი" ფაქტობრივად პირველად შეიკრიბა. სასტარტო შემადგენლობაში ერთად ითამაშეს **კაკამ**, **ქარიმ ბენზემამ**, **კრისტიანო რონალდომ**, **რაულმა**, **ალვარო არბელოამ** და **რაულ ალბიოლმა**. სათადარიგოთა სკამზე იჯდა **ჩაბი ალონსო**. ეს მატჩი სადებიუტო გამოდგა კაკას, არბელოას და ალონსოსთვის.

„რეალმა" თავიდანვე მოიპოვა ბურთზე კონტროლი, კრისტიანო რონალდო და ქარიმ ბენზემა შესანიშნავად უგებდნენ ერთმანეთს. პირველი საგოლე მომენტი კი **ლასანა დიარას** შეექმნა, რომლის დარტყმულიც ოდნავ გადასცდა კანადელთა კარს. მე-13 წუთზე ანგარიში გაიხსნა, კაკას დარტყმული დაიბლოკა, მაგრამ იქვე მყოფმა რაულმა გაიტანა. გოლის შემდეგაც „რეალის" უპირატესობა აშკარა იყო, რონალდომ ბენზემასთან ერთხელაც ლამაზად გაითამაშა და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში გაიტანა. 26-ე წუთზე რაულმა თავურით ანგარიში 3:0 გახადა. პირველი ტაიმის მეორე ნახევარშივე გამოჩნდა, რომ „რეალი" ნელ-ნელა კრისტიანო რონალდოს „ირგვლივ ეწყობა", ტორონტოში მან თავის საფირმო ფინტების მთელი კასკადი შემოგვთავაზა.

63-ე წუთზე ტრიბუნებმა ტაშით გააცილეს კრისტიანო რონალდო, **გუტი** და რაული, მათ ნაცვლად შემოვიდნენ **არიელ რობენი**, **ალვარო ნეგრედო** და ჩაბი ალონსო. მეოთხე გოლი (66-ე წთ) ნეგრედოს ინდივიდუალური ოსტატობის და ბენზემას კარგი პასის წყალობით გავიდა. კანადელებმა ერთი ბურთი კი გაქვითეს, მაგრამ საბოლოო წერტილი ანგარიშს მაინც „რეალმა" დაუსვა - არიელ რობენმა ცაციათი გაიტანა, მას შემდეგ, რაც მასპინძელთა გოლკიპერი მშრალზე დატოვა (87-ე წთ).

სან ფრანცისკოში „ბარსელონა" შავი სამკლავურებით გავიდა მექსიკურ „ჩივასთან" მატჩში. ამით კატალონიურმა კლუბმა პატივი მიაგო „ესპანიოლის" კაპიტნის **დანიელ ხარკეს** ხსოვნას. 61 ათასმა მაყურებელმა ნახა, თუ როგორ ვერ მოუხერხა ვერაფერი ევროპის სუპერკლუბმა გვადალახარულ გუნდს - 1:1. მეორე ტაიმში ანგარიში **რამონ მორალესმა** გახსნა (50-ე წთ), თუმცა 15 წუთში **დანი ალვეშის** მოწადინებით **ბოიან კრკიჩმა** ანგარიში გაათანაბრა და „ბარსა" მარცხისგან იხსნა.

**P.S.** წუხელ „რეალმა" ვაშინგტონში 3:0 დაამარცხა „DC იუნაიტედი".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

# პერსპექტივა: როსტომ-დავითიანი

## რეალობა: რუსი აქაც მოდის




**ქართველმა ჭაბუკებმა თითო ვერცხლითა და ბრინჯაოთი დაასრულეს გამოსვლა ბუდაპეშტში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბექა ტულუშის (60) ბრინჯაოს შესახებ შაბათის ნომერში ვწერდით, ვერცხლი კი გუშინ მძიმეწონოსანმა როსტომ ხახალეიშვილმა (+90) მოიპოვა. ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ხახალეიშვილის ვაჟისთვის ეს პირველი მედალია და, ვინძლო, მამაზე უფრო წარმატებული კარიერის დასაწყისიც.**

ჭაბუკთა ნაკრებმა სეზონის ძირითადი ნაწილი ჩაამთავრა და შეჯამების დროც დადგა, თუმცა წლეულს მათ გამოსვლას მაინცდამაინც წარმატებულად ვერ შევაფასებთ. წლეულს გუნდმა სამ დიდ ტურნირში იჭიდავა - მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე და ოქრო ვერც ერთგან მოიპოვა! შეგახსენებთ, რომ მათი ევროპული მონაგარი ორი ბრინჯაო იყო, ფესტივალზე კი ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს. ამგვარი ჩავარდნა ძალზე იშვიათად ხდება, სეზონის უჩემპიონოდ ჩამთავრებას კი ჩავარდნის გარდა სხვას ვერაფერს დავარქმევთ. მით უფრო, არც ერთ ამ ტურნირში სხვა სინჯის მედლებიც არ იყო იმდენად ბევრი, გულს მოგვეფონოს (მაგალითისთვის შევხედოთ რუსეთის ნაკრებს). ფაქტია, რომ **ჯემალ ნათელაშვილს** ბოლო წლებში ერთი უსუსტესი ნაკრები ჰყავს, ანუ რეზერვში სერიოზული შეფერხება გამოჩნდა. ფაქტია ისიც, რომ რეზერვი თვით ამ ნაკრებსაც არ ჰყავს - ევროპის პირველობის მერე მწვრთნელმა ფინურ ტამპერეში, ოლიმპიურ ფესტივალზე რამდენიმე წონაში ახლები გამოცადა, მაგრამ ევროპა-მსოფლიოზე ბევრად სუსტ იმ ტურნირშიც კი თითქმის ვერც ერთმა გაამართლა! გამონაკლისი მხოლოდ **ხახალეიშვილი** გამოდგა, თუმცა ტამპერეში იმანაც იმდენად უფერულად იჭიდავა, არ დავმალავთ, საბუდაპეშტო ნაკრებში გამოჩენა მამამისის სახელს მივაწერეთ. ეტყობა, მწვრთნელმა ფინეთში მის ჭიდაობაში მაინც დაინახა რაღაც დამაიმედებელი, რამაც ხახალეიშვილის ხელახალი გამოცდისკენ უბიძგა. ექსპერიმენტმა გაამართლა, რასაც ვერ ვიტყვით სხვა წონებზე. იქნებ ნათელაშვილს ზოგიერთის დასვენებაც ერჩია, რადგან 26 ივნისიდან მოყოლებული, ბიჭებმა სამ დიდ ტურნირში იჭიდავეს, დროის ასეთ ხანმოკლე მონაკვეთში ამხელა დატვირთვისთვის კი ჯერ მაინც ბავშვები არიან, მაგრამ მწვრთნელმა იცოდა, შემცვლელები ვერ გაამართლებდნენ. გუნდიც ამიტომ არ შეცვალა იმის მიუხედავად, რომ ეს არ იყო გამარჯვებული შემადგენლობა. ცხადია, კარგად გვესმის, რომ ეს ჭაბუკთა ნაკრებია და ბიჭები ჯერ კიდევ იზრდებიან. გვესმის ისიც, რომ ეროვნულ ნაკრებთან მისვლამდე იქნებ ბევრმა მკვეთრად მოუმატოს და ვისურვებდით, ასე მთელმა გუნდმა გააკეთოს, მაგრამ დაგვეთანხმებით, წაყრუება სირაქლემას პოზას დაემსგავსება - სათქმელი დროზე უნდა ითქვას, მდგომარეობა რომ დროზევე გამოსწორდეს. სამწუხაროდ, ქართულ ძიუდოში სადღეისოდ შექმნილი ვითარება გამოსწორების იმედს ნაკლებად გვაძლევს - აქ ლამის ეროვნული ნაკრებიც ხუხულასავით დაანგრიეს და სხვას რას უზამენ...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელმაც კვლავაც რუსთა ტრიუმფით ჩაიარა. მართალია, მათი უპირატესობა ისე აშკარა ველარ იყო, როგორც - სლოვენიაში, ევროპის პირველობაზე, სადაც რვიდან შვიდი ჩემპიონი გაუხდათ, მაგრამ ყველაზე მეტი - ოთხი ოქრო მაინც მოიპოვეს. მათი ჰეგემონია აზიელებმა შეარყიეს - დარჩენილი ოთხი ოქროდან სამი იაპონელებმა მოინადავლეს, ერთიც - სამხრეთკორეელებმა. აღსანიშნავია, რომ რუსთა ოთხი გამარჯვებულიდან სამი - **სახავატ გაჯიევი** (60), **არბი ხამხოევი** (66) და **ხასან ხალმურზაევი** (73) წლეულს ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ, ხოლო მეოთხემ, მძიმეწონოსანმა **ანტონ კრივობოკოვმა** სლოვენიაში ფინალი წააგო. ბოლო წლებში ჩავარდნის შემდეგ რუსული ძიუდო იბრუნებს პოზიციებს და სულ უფრო საშიში ხდება, ჩვენთან კი სწორედ ამ დროს ჩნდება გლობალური კრიზისის ნიშნები... ამ ჩემპიონატზე რუსთა უპირატესობაზე ისიც მეტყველებს, რომ იაპონელებს მხოლოდ ოქროებით კი არ აჯობეს, სტაბილურობითაც - იმ ოთხ ოქროს სამი ბრინჯაოც დაუმატეს და უმედლოდ ერთადერთ წონაში დარჩნენ, სადაც იაპონელებმა გაიმარჯვეს, თორემ სხვა წონებიდან მხოლოდ მძიმეში მოიპოვეს ბრინჯო, დანარჩენებში კი ისე უსახელოდ გავარდნენ, მათი ფალავნები შვიდეულშიც ვერ შევიდნენ. მწირია კორეელთა მონაგარიც - თითო-თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო.

...როსტომ ხახალეიშვილმა საკმაოდ დამაჯერებლად იჭიდავა, რაშიც უბრალო სტატისტიკაც დაგარწმუნებთ - ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგო, ამათგან ერთში წმინდად იმარჯვა (დასაწყისში სამხრეთაფრიკელ **დავიდ იაკობუს მიბურგთან**), სამი კი ვაზარით მოიგო - პოლონელ **ალექსანდერ ნიტეკთან**, სამხრეთკორეელ **კიმ-ჰუნ ჩოლთან** და ნახევარფინალში წარმოშობით ქართველ ებრაელთან, ევროპის მოქმედ ჩემპიონ **იაკობ მამისთვალოვთან**. ფინალში კრივობოკოვთან ვერც მამის დარიგებებმა უშველა, ვერც - მწვრთნელისამ და შეხვედრის მიწურულს წმინდად დამარცხდა.

შაბათ-კვირას მოჭიდავე კიდევ სამი ქართველიდან **ელგუჯა ბიბილაშვილი** (90) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა, **ბაჩანა ტიტვინიძემ** (73) ორი წრე გაიარა, ევროპის პრიზიორმა **ლევან რუაძემ** (81) - ერთი, მაგრამ სანუგეშო წრეში ვერც ერთი გადაერთო.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა



გიორგი საკანდელიძე

მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# დებიუტანტის მოვერცხლილი დუბლი

ისე მოხდა, რომ ამ უქმეებზე მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ქართული ნაკრები ჭიდაობდა - ჭაბუკ ძიუდოისტთა და ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდები. გამოსვლა კი ორივემ ერთნაირი შედეგით, თითო-თითო ვერცხლ-ბრინჯაოთი დაამთავრა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე** გახდა, ხოლო მესამეზე **დავით მარსაგიშვილი** (84) გავიდა. შეგახსენებთ - წლეულს თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე ორივე ვიცე-ჩემპიონი გახდა.

მარსაგიშვილი უცხოეთში 2007 წლიდან ჭიდაობს და სამწლიანი გამოცდილება დაუგროვდა. საკანდელიძე წლეულს დუბლი შეასრულა - ევროპის პირველობაზეც და მსოფლიოზეც ვერცხლის მედლები მოიპოვა, რასაც კიდევ ერთი სოლიდური ჯილდო დაუმატა - ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ტურნირში მესამე პრიზიორი გახდა. აღსანიშნავია, რომ გიორგიმ ბაქოში პირველად იჭიდავა უფროსებში.

საკანდელიძეს საწყის ორ შეხვედრაში სერიოზული პრობლემები არ შეჰქმნია - ინდოელ **ჯოგინდერ კუმარსაც** და ირანელ **რეზა ჰამიდ რეზაეისაც** ძირითად დროში მოუგო. მან თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე ლამაზი და ტექნიკური ჭიდაობით დაგვამახსოვრა თავი - მძიმეწონოსანის კვალობაზე უჩვეულოდ მოქნილი საკმაოდ ბევრ ილეთს ასრულებდა და ბლომად ქულებსაც აგროვებდა. ჩვეულებას არც ახლა ულალატა - ამ ორ შეხვედრაში 24 ქულა დააგროვა! ჩვენებურს შედარებით გაუჭირდა რუს **ალან ცარიკაევთან**, რომელთანაც დამატებითი დრო დასჭირდა. რუსებმა ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი ცარიკაევი დიდის ამბით შემოინახეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის და ანკარაში ევროპის ჩემპიონი **ალან ხუგაევი** არ აჭიდავეს. არადა, საკანდელიძემ თბილისში ფინალი სწორედ ხუგაევთან წააგო. ნამდვილად არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენებური მასთან ამჯერადაც დამარცხდებოდა, მაგრამ თავად რუსებისთვის აჯობებდა, ისევ ხუგაევი დაეყენებინათ. ყოველ შემთხვევაში, ცარიკაევს, ვინაც რუსეთის ახალგაზრდების პირველობის ფინალში ხუგაევი დაამარცხა, საკანდელიძემ მხოლოდ პირველი პერიოდი დაუთმო, მომდევნო ორში კი დამაჯერებლად აჯობა. მან ნახევარფინალიც იოლად, ორ სეტში მოიგო ეგვიპტელ **მოჰამედ ომარ ელკეტამისთან** და ფინალში გავიდა. გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე ამერიკელი **დომინიკ ბრედლი** აღმოჩნდა, რომლის ბოლო დიდი წარმატებაც 2007 წლის პან-ამერიკის ვიცე-ჩემპიონობა იყო, მაგრამ ჩვენებურისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. ჩინებულად მოჭიდავე ქართველმა ორივე პერიოდი ისე დათმო, ქულაც ვერ აართვა მეტოქეს, თვითონ კი ექვსი დაკარგა...

ევროპის ჩემპიონატზე მარსაგიშვილმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ურიგოდ არც ახლა გამოსულა. მან უკრაინელი **არტემ სლივსარენკოსა** და ბელარუს **ალან ბზიკაუს** იოლად სძლია, ყაზახ **ალტაი დნგარბაიულუსთან** კი ძალიან გაუჭირდა. იგი ძირითად ტურნირს მომავალ ჩემპიონთან, რუს **კოლოი კორტოევთან** წაგებით გამოეთიშა, ბრინჯაო კი ამერიკელ **კრის პერისთან** ბრძოლაში მოიპოვა.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრები - **ლაშა ლომთაძე** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მურთაზ კვესაძე** (60), **გოგა ხუჭუა** (66), **დავით ხუციშვილი** (74) და **თორნიკე ხიდეშელი** (96) ადრევე გავარდნენ. იმათგან სანუგეშოში მხოლოდ ხინჩეგაშვილი გადაერთო, რომელმაც ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, მაგრამ ხელი მოეცარა.

**ირაკლი თავაძე**

ველოსპორტი



დავით ასკურავა

# ასკურავა სამეულშია

სანკტ-პეტერბურგში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი გაიმართა, სადაც საქართველოდან **დავით ასკურავამ** იასპარეზა. ახალგაზრდა ქართველი ველომრბოლი ორ სახეობაში გამოვიდა და საკმაოდ კარგი შედეგებიც აჩვენა. ტურნირის პირველ დღეს დავითმა სპრინტში მე-14 ადგილი დაიკავა, მეორე დღეს კი კილომეტრიან დისციპლინაში მესამე ადგილზე გავიდა.

ჩვენი ველომრბოლი ვარჯიშს თბილისში გააგრძელებს და უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის, ევროპის თასისთვის მოემზადება. ამ ასპარეზობას სექტემბერში ბარსელონა უმასპინძლებს. წლის ბოლომდე ასკურავა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავს ძალებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მკლავჭიდი

# მკლავჭიდელებმა დაღუპული გმირები გაიხსენეს

სისხლიანი აგვისტოდან ერთი წლის თავზე ბათუმში, "აჭარა მუსიც ჰოლლ"-ში ომში დაღუპული მებრძოლი გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა მკლავჭიდში თბილისის, რუსთავის, კახეთის, ქუთაისის, აჭარის ასამდე ათლეტის მონაწილეობით. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს და პრიზიორებს წინააღმდეგობას აჭარის მთავარი სამმართველოს, აჭარის დაცვის პოლიციის, ადლიის ბატალიონის და ხელვაჩაურის მე-5 ქვეითი ბრიგადის ძალოვნები უწევდნენ, რომლებიც თავად იბრძოდნენ აგვისტოს ომში.

ტურნირი კვლავაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის მკლავჭიდის ფედერაციის და შპს "გზების" ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში მკლავჭიდის ფედერაცია 8 თვის წინ **გოჩა შავაძის** (მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი) და **თემურ ლიპარტაშვილის** (მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი) მეშვეობით დაარსდა და უკვე მე-5 რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა. სექტემბერში ქობულეთში აგვისტოს ომში დაღუპული გმირის **მამუკა ჭინჭარაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართება.

გამარჯვებულებს მედლები, დიპლომები და თასები გადაეცათ. ხოლო სლოტ კლუბ "X-ფაილის" დახმარებით ხელვაჩაურის მე-5 ქვეითი ბრიგადის დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების, მაიორ **გელა ჭედიას**, კაპრალ **ამირან მამალაძის**, კაპრალ **მერაბ ჭელიძის** და კაპრალ **გიორგი ლვინიაშვილის** ოჯახებს ფულადი დახმარება გადაეცემათ.

**65კგ**

1. ალეკო აბუთიძე (ქუთაისი)
2. კობა მიშელაძე (თბილისი)
3. დათო მიძელაძე (ბათუმი)

**75კგ**

1. ზაზა თაბაგარი (თბილისი)
2. გიორგი ალბუთაშვილი (თბილისი)
3. ალექსი ბოჭორიშვილი (ხელვაჩაურის მე-5 ქვეითი ბრიგადა)

**85კგ**

1. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი)
2. ლევან ბერძენიშვილი (თბილისი)
3. დათო ცინცაძე (ბათუმი)

**მძ. წონა**

1. გენადი კვიკვინია (თბილისი)
2. ნოდარ ფესტვენიძე (ქუთაისი)
3. აბო რეხვიაშვილი (რუსთავი)

**მირანდა მიქაძე**

თარიღი — ხსოვნა

ვლადიმერ არსენიანი



დაიბადა 1943 წლის 10 აგვისტოს, თბილისში. თავისუფალი ჭიდაობა (57 კგ). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1959). სსრკ ჩემპიონი (1957), მეორე (1960) და მესამე პრიზიორი (1958). სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის ჩემპიონი (1959), ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული თამაშების მესამე პრიზიორი (1957). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

გარდაიცვალა 1989 წლის 22 სექტემბერს თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები. საკონტროლო მატჩი

# ბოლო საკონტროლო გასროლამ ავსტრია იმსხვერპლა



8 აგვისტო. შტაინბურნი, ავსტრია

| ავსტრია–საქართველო | 71:75 |
|---|---|

18:22, 22:18, 17:18, 14:17

საქართველო: **გამყრელიძე (11 წთ), ვ. ბოისა (31 წთ, 12ქ, 6მ), ცინცაძე (29 წთ, 6ქ, 8პ, 3ჩ), შერმადინი (34 წთ, 18ქ, 7მ), ტულუში (10 წთ, 3ქ), სანიკიძე (31 წთ, 11ქ, 6მ), მეტრეველი (8 წთ, 2ქ), ელისი (32 წთ, 17ქ), ა. ბოისა (7 წთ, 4ქ), შენგელია (6 წთ, 2ქ)**

ავსტრია: **დეტრიკი (17ქ), სტაზიჩი (17ქ), ჰუტერი (12ქ), კუგერლი (11ქ), მაიერი (7ქ), შრეინერი (5ქ)**

საქართველოს ნაკრებმა შაბათს ავსტრიასთან მატჩით საკონტროლო შეხვედრები მოისტუმრა და 15 აგვისტოდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება.

ავსტრიელები მეორედაც დავამარცხეთ – 75:71. თუმცა, პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, ავსტრიულ ინტერნეტ-სივრცეში მატჩის სრული სტატისტიკა არ გამოქვეყნებულა და ოქმიც ამიტომაა შეკვეცილი. შესაბამისად, ძნელია გარკვევა, რომელ კომპონენტში დავჯაბნეთ მასპინძლები და რომელში – ვერა.

მატჩის მსვლელობაზე კი ზოგადი წარმოდგენის შექმნა ავსტრიის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერილი მიმოხილვით შეიძლება:

*„ქართველებმა შეხვედრა კარგად დაიწყეს, პირველ პერიოდში მასპინძლებზე უკეთესად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ავსტრიელებმა მეორე ათწუთეულში თამაში გამოასწორეს და დიდი შესვენების წინ საყაიმო ანგარიში აანთეს – 40:40.*

*მესამე პერიოდში დაფიქსირდა ყველაზე დიდი სხვაობა: 26-ე წუთზე ქართველები 51:42 დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ამჯერადაც მოახერხეს გათანაბრება.*

*მატჩის ბოლო წუთები ისევე წარიმართა, როგორც წინა დღეს – საფინალო სირენამდე 35 წამით ადრე ნატურალიზებულმა ამერიკელმა ტაირონ ელისმა ავსტრიელთა კალათში სამქულიანი მოათავსა. ბოლო წამებზე კი ვიქტორ სანიკიძემ სტუმართა ოთხქულიანი უპირატესობა დააფიქსირა, რის შემდეგაც მასპინძლებს თამაშის შემოსატრიალებლად დრო აღარ ეყოთ.*

*კავკასიელებს ავსტრიაში უამრავი ქომაგი დახვდათ. დარბაზში ისეთი ატმოსფერო იყო, თითქოს მატჩი საქართველოში იმართებოდა.“*

აქვე დავძენთ: შტაინბურნის დარბაზში 80-მდე ქართველი გულშემატკივარი შეიკრიბა. ეს ის ჯგუფია, რომელიც ჩვენი ნაკრებების (სპორტის სხვადასხვა სახეობაში) ევროპაში გამართულ ყველა მატჩზე დადის.

ავსტრიელთა მიმოხილვას ერთსაც დავამატებთ: საქართველოს ნაკრებმა ამხანაგური მატჩების სერია ეფექტური ჩატენვით დაასრულა – ბოლო წამებზე **გიორგი ცინცაძის** პასით **ვიქტორ სანიკიძემ** 75:71 დააფიქსირა.

შეგახსენებთ, რომ ავსტრია პარასკევსაც ოთხი ქულის სხვაობით დავამარცხეთ – 77:73. როგორც ანგარიშით, ისე ბოლო წამების სცენარით, მეორე მატჩი პირველს სტატისტიკითაც ძალიან ჰგავდა. პირველ რიგში წუთებს ვგულისხმობთ – დაიტვირთა 5 კალათბურთელი, ხოლო დანარჩენებმა 5-10 წუთი ითამაშეს. რამდენად სასარგებლო იყო ამხანაგურ მატჩში ხუთი კალათბურთელის ბოლომდე გამოწურვა, ხოლო დანარჩენების “დაზოგვა”, ეს 26 აგვისტოს გამოჩნდება. 26-ში კარგად აწყობილ შვედეთს ვეთამაშებით და 5 კაცით ფონს ვერ გავალთ...

თუმც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ნაკრებს ოფიციალური მატჩებისას დაემატებიან **ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი** და **ნიკოლოზ ცქიტიშვილი.** ზაზა შაბათს სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, ცენტრის პოზიციაზე რაოდენ კარგად ირჯებოდა **გიორგი შერმადინი,** რომელიც მატჩის სნაიპერი გახდა – 18 ქულა ჩააგდო და 7 მოხსნა მიითვალა (ესეც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია). ფაჩულია შტაინბურნში მატჩის დღეს ჩავიდა და მგზავრობით დაღლილი მწვრთნელმა მოედანზე არ შეიყვანა. მანუჩარ მარკოიშვილს კოჭი აწუხებს და იგორ კოკოშკოვი ოფიციალური მატჩებისთვის ინახავს. რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილს, მან ავსტრიის ვიზა ვერ აიღო და საქართველოს ნაკრებს თბილისში ელის. გუნდი სამშობლოში 12 აგვისტოს ღამით დაბრუნდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



16-წლამდელთა ნაკრები. B დივიზიონი

# დანიის ფარის გზას ვერ მიმასნავლით?

8 აგვისტო

მადეირა, პორტუგალია

| საქართველო–დანია | 61:76 |
|---|---|

17:13, 11:24, 15:17, 18:22

საქართველო: **გულმაგარაშვილი (10 წთ, 1ქ), ლუდუშაური (15 წთ, 2ქ), რამიშვილი (26 წთ, 16ქ), ბურჯანაძე (32 წთ, 16ქ, 12მ), ფხაკაძე (18 წთ), ლოლიშვილი (12 წთ, 3ქ), მიქელაძე (33 წთ, 2ქ, 6მ, 3პ), კვანტალიანი (2 წთ), ღვალაძე (29 წთ, 16ქ), როგავა (6 წთ, 3ქ), მესხი (6 წთ, 2ქ), ნადირაძე (11 წთ)**

დანია: **ბენზონი (13ქ), რეინჰოლტი (23ქ, 12მ), ლარსენი (8ქ, 18პ), ტულინი (10ქ)**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ფინეთი | 1 | 0 | 1 | 1 |
| 4. ირლანდია | 1 | 0 | 1 | 1 |

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების ირლანდიასთან მატჩის მიმოხილვის სათაურად თამამად დავწერეთ – „სამყურებს ყურები ავუწიეთ“. დანიასთან შეხვედრაში კი საქართველო სწორედ ყურაწეული ირლანდიელების როლში აღმოჩნდა. დანიელებმა **გია კაზანჯიანის** შეგირდებს პირველი პერიოდი დაანებეს (13:17), მეორიდან კი ფარისკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს და მატჩი დამაჯერებლად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

„ვიკინგების“ წინსვლა მეორე პერიოდის მესამე წუთიდან დაიწყო – ხუთწუთიან მონაკვეთში დანიელებმა 14:0 იმარჯვეს და 32:23 დაწინაურდნენ. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მატჩის ბედი ამ ეპიზოდმა გადაწყვიტა – მეტოქემ ქართველებს ფარქვეშ თამაშისას აშკარად აჯობა. წაგების მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო. თავად განსაჯეთ: ჩვენმა გუნდმა ბურთი 28-ჯერ მოხსნა, მოწინააღმდეგის კალათბურთელები კი ფარიდან ასხლეტილ ბურთს 49-ჯერ დაეუფლნენ. დანიელები შეტევაშიც კარგად გამოიყურებოდნენ, ფარქვეშ მათ შესაჩერებლად ქართველმა კადეტებმა ვერაფერი ილონეს – 27 ორქულიანის ჩაგდების უფლება მისცეს მაშინ, როცა თვითონ მხოლოდ 28 ორიანი ისროლეს და 11 ჩააგდეს.

მომდევნო მატჩი 10 აგვისტოს ფინეთთან გველის. ჩვენ შორის გამარჯვებული ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებს და მომდევნო ეტაპის საგზურს მოიპოვებს. სხვათა შორის, დანიამ არც ფინეთი დაინდო – 84:77 დაამარცხა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# იტალიიდან უტიტულოდ

იტალიური მონტერონიდან უტიტულოდ წამოვიდა საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (242). არადა, 26 წლის ჩოგბურთელი ძალზე ახლოს იყო წყვილთა თანრიგის მოგებასთან - მისი და იტალიელი **ნიკოლ კლერიკოს** (439) დუეტი, რომელიც პირველად სწორედ მონტერონის საერთაშორისო ტურნირზე (25 ათასი $) შეიქმნა, ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. მაკამ და ნიკოლმა ფინალში გააღწიეს, სადაც პირველ ნომრად განთესილ ავსტრიელებს, **პატრისია მაირს** (80) და **სანდრა კლემენშიცს** (123 წყვილებში) ეთამაშნენ. მაირი მსოფლიოს მე-80 ჩოგანია, კლემენშიცი კი წყვილების კარგ სპეციალისტად ითვლება, ის ერთეულებში საერთოდ არ თამაშობს. სამწუხაროდ, ქართულ-იტალიური ინტერნაციონალური დუეტის ტრიუმფული სვლა ფინალში დასრულდა - 3:6, 4:6. შეგახსენებთ, რომ ერთეულთა თანრიგში მე-5 ნომრად განთესილმა მაკა ჩახნაშვილმა მერვედფინალში წააგო რუმინელ **ლიანა უნგურთან.**

მაკა ჩახნაშვილი იტალიიდან ბელგიაში გაემგზავრა, სადაც კოკსიიდეს საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) იასპარეზებს. მაკა განთესილთა შორის იქნება, განუთესავებს შორის კი 20 წლის **სოფიო შაფათავაა** (285). ძირითადი ბადის კენჭისყრა დღეს გაიმართება.

მოსკოვში ქალთა 25-ათასიანი ტურნირი იწყება, სადაც განაცხადი მონაწილეობაზე 17 წლის **ეკა გორგოძემ** (501) შეიტანა. ეკას არ გაუმართლა, რეიტინგით სულ ცოტა დააკლდა, ძირითად ბადეში რომ მოხვედრილიყო. ახლა მას სამწრიანი საკვალიფიკაციო ბატალიები მოუწევს მიზნის მისაღწევად. ქართველი საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესეს, მისი პირველი მეტოქე „უაილდ ქარდით“ მიწვეული ურეიტინგო რუსი **კარინა პიმკინაა.** ქალ ჩოგბურთელთა ასპარეზზე ამ კვირაში მხოლოდ ეს ორი ტურნირი, ბელგიური და რუსული იქნება ჩვენთვის საინტერესო, სხვა ძლიერი ქართველი ჩოგბურთელები, **ანა ტატიშვილი** (173), **ოქსანა კალაშნიკოვა** (220) და **სოფიო ქვაცაბაია** (536) ისვენებენ. დღევანდელ რეიტინგში ოქსანა კალაშნიკოვასგან საუკეთესო 200-ეულში მოხვედრას ველით.

ვაჟთა შორის კი ისევ **ნიკოლოზ ბასილაშვილის** (727) იმედად ვართ - მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე (15



ათასი $) ხელმოცარული ქართველი ისევ რუსეთის დედაქალაქში რჩება, სადაც გასული კვირის ანალოგიურ ტურნირში ითამაშებს. დღეისათვის ნიკა საკვალიფიკაციო ბადის პირველ ნომრად ითვლება, თუმცა შესაძლოა, ტურნირს ვინმე გამოაკლდეს და მის მაგივრად ბასილაშვილი „ჩაჯდეს“ ძირითად ბადეში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# სანიკიძე კომპასით: სამხრეთი თუ ჩრდილოეთი?

## ვიქტორის დამატება რიგასაც სურს

საქართველოს ნაკრების ფორვარდ **ვიქტორ სანიკიძეს** იტალიური „ბიელა“ ეპატიჟებოდა. მან აპენინურ გუნდს ჩააკითხა კიდეც და სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა, თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა.

ამასობაში თავი წამოყო ლატვიურმა „ვეფ რიგამ“. ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი **ვალდის ვალტერსი** აცხადებს, რომ ვიქტორ სანიკიძის გადაბირება სურს. აი, რას წერს ვალტერსი „რიგას“ ოფიციალურ ვებსაიტზე:

*„მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ქართველი თავდამსხმელის, ვიქტორ სანიკიძის აგენტთან. შეთანხმება მიღწეულია, დარჩენილია მხოლოდ ტექნიკური დეტალები.“*

„ვეფ რიგა“ ლატვიის წინა ჩემპიონატის ნახევარფინალში „ვენტსპილსთან“ დამარცხდა. წლეულს კი გაცილებით სერიოზული გუნდის ჩამოყალიბებას აპირებენ. „რიგა“ მომავალ სეზონში ულების თასზე ითამაშებს.

ესტონეთიდან წამოსული ვიქტორ სანიკიძე სამხრეთის გზას დაადგება („ბიელა“) თუ მეზობლად, ლატვიაში შეივლის, ეს უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვიქტორ სანიკიძე

ჭადრაკი

## ქართველებმა ტროა დაიპყრეს

გასულ უქმეებზე ტროას (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირზე ორი დასკვნითი ტური გათამაშდა, რომელიც ქართველი მოჭადრაკეებისთვის წარმატებული გამოდგა. შაბათის ორთაბრძოლების შემდეგ, რაც **იაკურ ერთურანი გიორგი ბალათუროვს, დავით ზარქუა შოთა აზალაძეს** და **ჰანდზარ ოდეევი ბაჩანა მორჩიაშვილს** დაუზავდნენ, ხოლო **დავით მალალაშვილმა იაშარ ენგინ იშიკი, მალხაზ სულაშვილმა** კი **თოლგა დემირელი** დაამარცხეს, პირველი ადგილის დაკავების შანსი ერთბაშად თერთმეტ მოჭადრაკეს გაუჩნდა. ყველაფერი ბოლო ტურის პარტიების შედეგებზე იყო დამოკიდებული. სწორედ აქ გამოჩნდა ჩვენებურთა მებრძოლი ხასიათი: დავით მალალაშვილმა (2490) და დავითი ზარქუამ (2366) შავი ფიგურებით, შესაბამისად, **დევილ ალასლამი** (თურქეთი, 2149) და გიორგი ბალათუროვი (საქართველო, 2478) დაამარცხეს. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მალხაზ სულაშვილი (2456)-იაკურ ერთურანი (თურქეთი, 2374) 1:0, შოთა აზალაძე (2438)-**ოსმან ფირათ სალეპსი** (თურქეთი, 2108) 1:0, ბაჩანა მორჩიაშვილი (2411)-**დოგა სიჰან გოკსელი** (თურქეთი, 2272), **სელიმ ჩიტაკი** (თურქეთი, 2337)-ჰანდზარ ოდეევი (თურქმენეთი, 2431) 0,5:0,5.

ამდენად, 9 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულით პირველი-მეხუთე ადგილები **მორჩიაშვილმა, ზარქუამ, მალალაშვილმა, აზალაძემ** და **სულაშვილმა** გაიყვეს კოეფიციენტის გათვალისწინებით. 6,5 ქულით **ბალათუროვი** მე-13 ადგილზე გავიდა.


ბაჩანა მორჩიაშვილი

## პირველ შვიდეულს ნახევარი ქულით ჩამორჩა

საბერძნეთში კავალას მე-18 საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი დამთავრდა. შეჯიბრებაში საქართველოს შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ვერც ერთი მათგანი საპრიზო ადგილებს ვერ შესწვდა. „შესანიშნავ შვიდეულს", რომელმაც ტურნირის პრიზები გაინაწილა, ნახევარი ქულით ჩამორჩა დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი** (2605). ბოლო ტურში მან **ალინ ბერესკოს** მოუგო და 6,5 ქულით მე-10 ადგილი დაიკავა. 6 ქულით 23-ე ადგილი ხვდა ბოლო ტურში **მირჩეა ფარლიგრასის** მძლეველს, საქართველოს ქალთა ნაკრების წევრ **სოფიკო ხუხაშვილს** (2430). 5,5-5,5 ქულით, შესაბამისად, 29-ე, 36-ე და 42-ე ადგილები დაიკავეს საქართველოს ქალთა ნაკრების წევრმა **ნანა ძაგნიძემ** (2536), **ლევან აროშიძემ** (2537) და **ნიკოლოზ შავთვალაძემ** (2452). ძაგნიძემ და აროშიძემ **ინგა ჭარხალაშვილი** (2357; 4,5 ქულით 68-ე ადგილი) და **ანტონიოს დავლიდისი** დაამარცხეს, ხოლო შავთვალაძე **ანდრეი დევიატკინს** დანებდა. **ნაზი პაიკიძე** (2298) ბოლო ტურში **პანაგიოტის მიხელაკოსს** დაუზავდა და 4,5 ქულა მოაგროვა, რაც მხოლოდ მე-80 ადგილისთვის ეყო.

## მელიამ ქარი გაიჯახუნა

ახალგაზრდა ბათუმელმა დიდოსტატმა **სალომე მელიამ** ბოლო დროს წარმატებებს მიგვაჩვია. ტვენტეს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი კი მისთვის მაინცდამაინც იღბლიანი ვერ გამოდგა. მთავარ ტურნირში 18 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. ბოლო ტურში 9 შეხვედრიდან მხოლოდ ორი პარტია დასრულდა შედეგიანად. ქართველმა მოჭადრაკემ (2441) **ევერტ რადემაკერსი** დაამარცხა, მოაგროვა 4,5 ქულა და მე-8 ადგილზე გავიდა. **ვალენტინ ლოტოვმა** (2605) **გოპალ გიტას** (2575) სძლია, რითაც ინდოელ დიდოსტატს სულ მცირე - ვერცხლის მედალი დააკარგვინა. თავად კი 5,5 ქულით მე-4 ადგილზე გადმოინაცვლა. 7 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი დარჩა **სერგეი ჟიგალკო** (2611), 6,5-6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები **ვოიცეხ მორანდამ** (2545) და **გიტამ** გაინაწილეს.


სალომე მელია

## გამარჯვებული დღეს გამოვლინდება

ესპანურ ლა პობლა დე ლილეტში დღეს დამთავრდება მოჭადრაკეთა მე-19 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატები - **ანა მათნაძე** და **სოფიო გურამიშვილიც** მონაწილეობენ.

ექვსი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით კუბელი **დიანუ ლელუს სტენლი მარტინესი** (2507) და კოლუმბიელი **ალექსანდერ ხაიმე კუარტესი** (2497) მეწინავეობდნენ. მე-7 ტურში მათი დაპირისპირება ზავით დამთავრდა. ლიდერებს წამოეწია ხუთქულიანი ესპანელი **ანტონიო გრანერო** (2416), რომელმაც შავი ფიგურებით თანამემამულე **ხორდი აიაზა** (2281) დაამარცხა. ქულა გაიყვეს ანა მათნაძემ (2416) და სოფიო გურამიშვილმა (2310), რომლებმაც 5-5 ქულა მოაგროვეს ისევე, როგორც შეჯიბრების კიდევ 6-მა მონაწილემ. სამაგიეროდ, ესპანელმა **პუენტეს ლუის ომსმა ლეონ დავიდ აიაზას** მოუგო და 5,5 ქულით მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

მერვე ტურში მათნაძემ **მარს პასკუალი** დაამარცხა, ხოლო გურამიშვილმა **რამონ ჩალმეტას** სძლია. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: გრანერო-მარტინესი 0,5:0,5; კუარტესი-ომსი 1:0; მირზოევი-ხორდი აიაზა 1:0; ტარაგო-გუერა 0,5:0,5.

დღეს ბოლო ტურში ინტერესს იწვევს გრანერო (6,5)-კუარტესის (7), მარტინესი (6,5)-გურამიშვილის (6), მათნაძე (6)-მირზოევის (6) ორთაბრძოლები, რომლებმაც გამარჯვებული უნდა გამოავლინოს.

## ქუთაისში მოემზადებიან

აგვისტოს მიწურულს იტალიის ქალაქი სან ჯორჯიო 10-დან 18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად **ალექსანდრე ურდულაშვილი, ნინო დახუნდარიძე**(10-წლიანები), **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ნატო იმნაძე** (12-წლიანები), **ზურაბ ჯავახაძე, ნოდარ ლორთქიფანიძე, მარიამ დანელია, მერი არაბიძე** (16-წლიანები), **ლუკა პაიჭაძე** და **ქეთი წაწალაშვილი** (18-წლიანები) საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების - **ხვიჩა სუპატაშვილის, დავით გურგენიძისა** და **ალექსანდრე არსენიძის** ხელმძღვანელობით ქუთაისში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან.

ვაჟა დანელია

რაგბი

ლეგიონერები

# ბოლო რეპეტიციები

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დაწყებამდე პირველი დივიზიონის კლუბებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრები გამართეს.

სამწუხაროდ, ბოლო საწვრთნელ შეხვედრაში ტრავმა მიიღო „კლერმონის" ქართველმა პირველხაზელმა **დავით ზირაქაშვილმა**, რომელმაც „გლაზგოსთან" შეხვედრაში ნეკნი გაიტეხა. „ვულკანებმა" მეტოქე მშრალი ანგარიშით - 12:0 დაამარცხეს. „კლერმონი" პირველ შეხვედრას ჩემპიონატში 15 აგვისტოს სტუმრად გამართავს „ბურგუენთან". ამ მატჩში ზირაქაშვილი მონაწილეობას ალბათ, ვერ მიიღებს.

სამიდან სამივე შეხვედრა მოიგო **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანმა". ჩვენებურთა გუნდმა ინგლისური „ლიდსი" დაამარცხა - 26:12. შველიძე თამაშში მე-5 წუთიდან ჩაერთო. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო. „მონტობანი" პირველი ტურის მატჩში შინ დაუპირისპირდება საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ „ტულუზს".

საკმაოდ გაუჭირდა მეორედივიზიონელი „ნარბონის" დამარცხება **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიეს" - 25:17. გორგოძე განაცხადში არ იყო. ჩხაიძე თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო. ჩემპიონატის პირველ შეხვედრას „მონპელიე" სტუმრად გამართავს **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივთან".

ბრიველები, თავის მხრივ, მოულოდნელად დამარცხდნენ მეორედივიზიონელ „ლა როშელთან" - 5:9. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს.

საკუთარ მოედანზე დაამარცხა ინგლისური „ლესტერ ტაიგერზი" **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა" - 24:14. ქართველი მორაგბე განაცხადში არ იყო. საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურში კასტრელებს სტუმრად მოუწევთ ასპარეზობა ბოლო ხანს საგრძნობლად მოძლიერებულ ბასკურ „ბიარიცთან".

რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრა გამართეს მეორე დივიზიონის კლუბებმაც. **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსმა" შინ დაამარცხა ფედერალ 1 დივიზიონის ბინადარი „შალონი" - 26:12. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად დაამარცხა „გრენობლი" **გურამ კავთიძის** „ლიონმა" - 16:3. კავთიძე განაცხადში არ იყო. მეორე დივიზიონში გათამაშება სტარტს 29 აგვისტოდან აიღებს.

12 აგვისტო: ბეზიე-აჟენი

14 აგვისტო: პო-მონ დე მარსანი, ოიონაქსი-შალონი, ლიონი-ექსი, აჟენი-ორიაკი

ბესიკ ჯანგავაძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. სამი ერი



ვიქტორ მეტფილდის ლელო

# ბოკემ სამიდან სამივე მოიგო

**ს.აფრიკა-ავსტრალია 29:17**

ს. აფრიკა (15-9) ფ.სტეინი (პინარი 60), პიტერსენი, ფური, დეფილიერსი (იაკობსი 72), ჰაბანა, მ.სტეინი, დიუპრე (იანუარი 76). (1-8) მთავარირა (ი.დუპლესი 69), ბ.დიუპლესი, ჯ.სმიტი (როსუ 66), ბოთა (ბეკერი 76), მეტფილდი, ბრიუსო, ჟ.სმითი, სპისი.

**ლ:** მეტფილდი. 7ს,ა: მ.სტეინი.

**ავსტრალია:** (15-9) ეშლი-კუპერი, თერნერი, მორთლოქი (ოკონორი 30), ბარნსი, მიჩელი, გიტო, ბერჯესი (გენია 56). (1-8) რობინსონი, მური (პოლოტანაუ 50), ბაქსთერი (ელიგზანდერი 50), ჰორვილი (მამი 41), შარფი, ბრაუნი, ჯ.სმითი, პალუ (ფოქოქი 56).

**2ლ:** ეშლი-კუპერი, გიტო. 2გ,ა: გიტო.

**სინბინი:** გიტო, ჯ.სმითი, ბრაუნი.

**მსაჯი:** ალან როლანი (ირლანდია)

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა სამი ერის გათამაშებაში ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო. „ბოკემ" კეიპტაუნში ავსტრალიის ნაკრები დაამარცხა - 29:17. აფრიკელებს ასპროცენტიანი შედეგი აქვთ. „ვოლაბები" კი ორიდან ორივე შეხვედრაში დამარცხდნენ.

ზელანდიასთან ზედიზედ ორჯერ ნაომარი კენგურუები შეხვედრაში ქანცგაცლილები სულაც არ ჩანდნენ. არადა, ამის ალბათობა საკმაოდ დიდი იყო. ავსტრალიამ, რომელიც ორი კვირა ისვენებდა და მატჩისთვის მოსამზადებლად დრო საკმარისად ჰქონდა, მხოლოდ მატჩის დასაწყისში გაიბრწყინა და მათი ალტყინება ბოკემ უმალვე მოაშთო.

მატჩის შემდეგ ავსტრალიელთა მწვრთნელი **რობი დინსი** თავისი მორაგბეების მიერ დაშვებულ სავალალო შეცდომების თაობაზე წუწუნებდა.

*„როცა შენ წინააღმდეგ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი თამაშობს, არ შეიძლება საკუთარი დერეფანი წააგო. არ შეიძლება სამი ყვითელი ბარათი დაიმსახურო. ამას ისეთი გუნდი, როგორიც „ბოკეა" არაფრით გაპატიებს და აკი, დავისაჯეთ კიდეც."*

წაგებული მატჩის შეცდომებზე საუბარი ახალი არაა. ანალოგიურად მსჯელობდა ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ზელანდიელთა თავკაციც. რეალურად კი საქმე მეტოქის სიძლიერეშია. შეცდომებსაც ის აშვებინებს მეტოქეებს.

მატჩის გმირი ისევ აფრიკელთა დამრტყმელი **მორნი სტეინია.** ამჯერად მორნიმ გუნდს 24 ქულა მოუტანა. მან შვიდი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა.

შეხვედრაში აფრიკელებმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარეს. მეორეხაზელებმა **ბაკის ბოთამ** და **ვიქტორ მეტფილდმა** გვერდიგვერდ 50-ე შეხვედრა გამართეს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, შეხვედრის დასაწყისში ავსტრალიელებმა გაიბრწყინეს. პირველივე შეტევა „ოზების" ფულ ბეკმა **ადამ ეშლი-კუპერმა** ლელოთი დაასრულა. ავსტრალიელებმა დერეფანი შეტევის მარჯვენა ფრთაზე, მეტოქის ლელოდან 20 მეტრში მოიგეს და უმალ მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაათამაშეს. წამზე უსწრაფესად გათამაშებულმა კომბინაციამ აფრიკელთა დაცვა მოულოდნელობისგან დააბნია. ამასობაში კი, ბურთი მარცხენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს ეშლი-კუპერს მიუვიდა, რომელმაც აფრიკელთა ფულ ბეკ **ფრანსუა სტეინთან** ჭიდილში ლელოში შეაღწია. საკმაოდ რთული პოზიციიდან, ზედ კიდის ხაზიდან **მეტ გიტომ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

გაშვებული ლელოს შემდეგ მასპინძლებმა უფრო ყურადღებით დაიწყეს თამაში. მათი შერკინება, როგორც სჩვევიათ, მძლავრად მოქმედებდა და ავსტრალიელები მეტოქის მოძალებას მხოლოდ წესის დარღვევით ახერხებდნენ.

მე-14 წუთისთვის ანგარიშში წინ უკვე აფრიკელები იყვნენ. მორნი სტეინმა სამიდან სამივე საჯარიმო გაიტანა - 9:7. თუმცა ერთ წუთში „ვოლაბების" შუამარბმა **ბერიქ ბარნსმა** 20 მეტრიდან დარტყმული არეკნით ისევ დააწინაურა თავისიანები - 10:9, რაზეც მორნიმ 21-ე წუთზე ჯერ საჯარიმოთი უპასუხა, მერე კი ოთხ წუთში უფრო შორიდან, არანაკლებ ლამაზი არეკნიც გაიტანა - 15:10.

როგორც გაირკვა, აფრიკელებმა საბოლოო უპირატესობა 28-ე წუთზე გატანილი ლელოს წყალობით მოიპოვეს. მორიგი შეტევისას გუნდის კაპიტანმა **ჯონ სმიტმა** ბურთი მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონასთან მიიღო. მაშინ, როცა მისგან ყველა მარცხნივ ელოდა გადაცემას, ჯონიმ პირველხაზელისთვის უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო და ბურთი გარემარბ **ბრაიან ჰაბანას** ფეხით შეუცურა. ჰაბანა და ავსტრალიელთა გარემარბი **ლოქი თერნერი** ბურთს ზედ ლელოს ხაზთან წამოეწივნენ, თუმცა მისი დამორჩილება ვერც ერთმა შეძლო. ამასობაში, სად იყო და სად არა, იქვე „ბოკეს" მეორეხაზელი ვიქტორ მეტფილდი გაჩნდა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, ბურთი ავსტრალიელთა ლელოში გადაედო. მორნიმ გარდასახვა ვერ გაიტანა - 20:10. თუმცა გუნდის მონაგარს ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე საჯარიმოდან კიდევ სამი ქულა შემატა - 23:10.

მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობა მეორე ტაიმის 55-ე წუთზე თექვსმეტამდე გაზარდეს. თავი ისევ მორნიმ გამოიჩინა. მან მორიგი საჯარიმოც ზუსტად დაარტყა - 26:10.

ავსტრალიელებმა ის, რომ რაგბის თამაში იციან, ერთხელ კიდევ 66-ე წუთზე აჩვენეს. „ოზებმა" შერკინება მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში მოიგეს და მარცხნივ გრძელ ფრთაზე გამოათამაშეს. მეტ გიტომ ბურთი კარის წინ მიიღო და პირდაპირ ლელოზე მიიტანა იერიში. გზად, ცრუ მოძრაობით სამი მეტოქე ჩამოიცილა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. გარდასახვა თვითონვე გაიტანა - 17:26.

ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ტაიმის მიწურულს მონრი სტეინმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და სტუმრებს ყოველგვარი იმედი გადაუწურა - 29:17.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ს.აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | +33 | 12 |
| 2.ზელანდია | 3 | 1 | 0 | 2 | -15 | 4 |
| 3.ავსტრალია | 2 | 0 | 0 | 2 | -18 | 1 |

**22 აგვისტო**

**ავსტრალია-ზელანდია**

კალათბურთი

**ევრობასკეტი 2009. საკვალიფიკაციო**

**A ჯგუფი**

**ბოსნია-ბელგია 82:77**

19:26, 20:14, 26:16, 17:21

**ბოს:** დედოვიჩი (18+7 მ), ვარდა (13), ბაირამოვიჩი (10+9 მ), ოპაჩაკი (10), იაზვინი (10), იოვანოვიჩი (10).

**ბელ:** ერველი (33+7 მ), ლოუერსი (12), მბენგა (8).

**სატურნირო მდგომარეობა:** ბოსნია - 2 მოგება/0 წაგება; ბელგია - 0/1; პორტუგალია - 0/1.

**B ჯგუფი**

**საფრანგეთი-ფინეთი 82:72**

28:21, 18:14, 17:12, 19:25

**ს:** დიო (16), ბატუმი (14), ფ. პიეტრუსი (12+6 მ), დიაო (10), ტურიაფი (9+6 მ), პეტრო (8), პარკერი (5 წუთი; 3+1 პ).

**ფ:** ჰაანპიია (21), კოპონენი (16+5 მ), რანიკო (14+5 პ).

**სატურნირო მდგომარეობა:** საფრანგეთი - 2 მოგება/0 წაგება; იტალია - 0/1, ფინეთი - 0/1.

## ოლიმპიაკოსმა ვაფერი შეიძინა

საბერძნეთის "ოლიმპიაკოსმა" მაინც აისრულა სანადელი და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან კალათბურთელი დაიმატა. ეს არის 24 წლის **ვონ ვაფერი**, რომელიც გასულ სეზონში "ჰიუსტონ როკეტსში" თამაშობდა. ამერიკელმა ბერძნულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში 5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ვაფერმა "ოლიმპიაკოსში" **ტომას კელატი** უნდა შეცვალოს, რომლის კონტრაქტიც იმის გამო გაუქმდა, რომ კალათბურთელმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. გასულ სეზონში ვონმა 63 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.7 ქულა, 1.8 მოხსნა და 1.1 პასი დააგროვა.

# დიდი ბენი დეტროიტში დაბრუნდა

## ბენ გორდონი სათადარიგო მოთამაშის როლს დათანხმდა



ვეტერანი მძიმე ფორვარდი **ბენ უოლასი** "დეტროიტ პისტონზში" დაბრუნდა. კალათბურთელმა, რომელიც თავისი რიგებიდან "ფინიქს სანზმა" დაითხოვა, თავის ყოფილ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ვეტერანის მინიმალურ ხელფასს - 1.3 მილიონ დოლარს დათანხმდა.

ზაფხულის დასაწყისში 34 წლის კალათბურთელი "კლივლენდ კავალიერზსა" და "ფინიქსს" შორის განხორციელებული გაცვლის შედეგად აღმოჩნდა "სანზის" რიგებში. მასთან ერთად ამ გუნდში გადავიდა მცველი **საშა პავლოვიჩი**, "კლივლენდმა" კი სანაცვლოდ ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი** მიიღო.

თავის დროზე, უოლასს სწორედ "დეტროიტში" აქვს მოპოვებული ჩემპიონის ტიტული.

■ ■ ■

ამ ზაფხულს "დეტროიტმა" "ჩიკაგოდან" მცველი **ბენ გორდონი** შეიძინა. როგორც ირკვევა, კონტრაქტის გაფორმებისას გორდონი სათადარიგო მოთამაშის როლს დათანხმდა, რაც კარდინალურად განსხვავდება იმ სიტუაციისგან, რომელიც შარშან გუნდში **ალენ აივერსონის** მისვლის დროს შეიქმნა. ვეტერანი გამთამაშებელი სათადარიგოთა სკამიდან იწყებდა შეხვედრას და ამ როლს ვერაფრით შეეგუა.

*"გორდონმა თავად მიიღო ამ გუნდში გადასვლის გადაწყვეტილება და უპრობლემოდ დათანხმდა სუპერსათადარიგო მოთამაშის როლს"*, - ამბობს "პისტონზის" ერთ-ერთი მწვრთნელი.

ისევე როგორც შარშან, "დეტროიტის" სასტარტო შემადგენლობაში გამთამაშებლისა და შემტევი მცველის პოზიციებზე კვლავინდებურად **როდნი სტაკი** და **რიჩარდ ჰემილტონი** ითამაშებენ.

**გია თვალაბეიშვილი**

ჰოკეი

# ტეო ფლერი კარიერას განაახლებს



ლეგენდარული კანადელი ფორვარდი **ტეო ფლერი** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში აპირებს დაბრუნებას.

41 წლის სპორტსმენმა, რომელიც გასულ სეზონში ვეტერანთა მატჩებში მონაწილეობდა, თებერვალში გადაწყვიტა NHL-ში კარიერის გაგრძელება და იქიდან მოყოლებული, ძველი ფიზიკური ფორმის დასაბრუნებლად პერსონალური მწვრთნელი დაიქირავა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ფლერიმ უკვე ჩააყენა საქმის კურსში ლიგის კომისარი **გარი ბეტმენი** იმის შესახებ, რომ დიდ სპორტში სურს დაბრუნება. კარიერის გასაახლებლად ვეტერანს ჰოკეის ეროვნული ლიგის ექიმთა ნებართვა სჭირდება. საქმე ისაა, რომ თავდამსხმელი ადრე ალკოჰოლიზმზე მკურნალობდა. ექიმებმა უნდა დაადასტურონ, რომ ფლერიმ საბოლოოდ მოიშორა მავნე ჩვევა.

მთელი კარიერის განმავლობაში ფლერის "კალგარი ფლეიმზში", "კოლორადო ეველანშში", "ნიუ იორკ რეინჯერსსა" და "ჩიკაგო ბლეკჰოქსში" უთამაშია. მის ანგარიშზე 1084 მატჩი და 1088 ქულა (455 გოლი+633 შედეგიანი პასი) მოდის. 1989 წელს "კალგარისთან" ერთად სტენლის თასი მოიგო, 2002-ში კი კანადის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა.

**გია თვალაბეიშვილი**

კრივი

# ბრილიანტის ქამარი WBC-სგან




კრივის მსოფლიოს საბჭომ (WBC) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან ამ ვერსიით ორი საჩემპიონო ქამარი გათამაშდება.

WBC-ის პრეზიდენტის **ხოსე სულეიმანის** თქმით იარსებებს ორი საჩემპიონო ქამარი: ტრადიციული მწვანე და ოქროსი, რომელსაც "WBC-ის ბრილიანტის ქამარი" ეწოდა.

ამ საჩემპიონო ტიტულისთვის მხოლოდ "ელიტურ" მოკრივეებს შორის გაიმართება ბრძოლები. ახალ წამოწყებას ერთხმად დაუჭირეს მხარი WBC-ის დამფუძნებელთა საბჭოს წევრებმა.

ხოსე სულეიმანი დარწმუნებულია, რომ *„ახალი ტიტული დიდ როლს ითამაშებს წამყვან მოკრივეებს შორის ბრძოლების ორგანიზებაში"*.

ბრილიანტის ქამარი იმავე დიზაინით შეიქმნება, როგორიც ჩვეულებრივია, თუმცა ის მორთული იქნება 18 კარატი ოქროთი, 598 ბრილიანტით, 196 მარგალიტით და "სვაროვსკის" 150 ნახევრად ძვირფასი ქვით. სულეიმანმა ისიც განაცხადა, რომ ძალიან ამაყია WBC-ის ასეთი გადაწყვეტილებით, რაც ხელს შეუწყობს კრივის პოპულარიზაციას და დიდ სარგებლობას მოუტანს გულშემატკივრებს, პრომოუტერებს, ტელევიზიებსა და ყველას, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია სპორტის ამ სახეობასთან.

WBC-ის ამ ახალ წამოწყებას გამოეხმაურა 2008 წლის საუკეთესო მოკრივე, ფილიპინელი **მენი პაკიაო**. მას 14 ნოემბერს, ლას ვეგასში უწევს ბრძოლა **მიგელ კოტოსთან** და მენის სურს, რომ ამ ბრძოლაში სწორედ "ბრილიანტის ტიტული" გათამაშდეს.

მანამდე კი დაგეგმილია WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ბრძოლა სუპერმძიმე წონაში. მოქმედი ჩემპიონი, უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** ამერიკელ **კრის არეოლას** ხვდება. გამორიცხული არ არის, რომ 18 სექტემბერს გასამართ ბრძოლაში გამარჯვებულმაც მიიღოს WBC-ის ვერსიით ბრილიანტის საჩემპიონო ქამარი.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

კალათბურთი

## მემფისმა სათადარიგო მცველი დაიმატა

"მემფის გრიზლისის" ხელმძღვანელობამ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მცველ **მარკუს უილიამსთან**, რომელიც გასულ სეზონში "გოლდენ სტეიტ უორიორზიდან" დაითხოვეს. 23 წლის მოთამაშე გუნდის ძირითადი გამთამაშებლის **მაიკ კონლის** შემცვლელი იქნება.

უილიამსმა "მემფისის" მწვრთნელების ყურადღება ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაში გამოსვლით მიიპყრო. ამ მატჩებში მარკუსი საშუალოდ 13.4 ქულას, 8.2 შედეგიან გადაცემასა და 4.6 მოხსნას აგროვებდა. გასულ სეზონს კალათბურთელი პუერტო რიკოში ასრულებდა.

## ჰოქსმა მერვინ უილიამსი შეინარჩუნა

"ატლანტა ჰოქსმა" ახალი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **მერვინ უილიამსთან**. ხელშეკრულების ვადა და ხელფასის ოდენობა პრესისთვის უცნობი დარჩა.

მომავალი სეზონი მეხუთე იქნება მერვინისთვის "ატლანტას" რიგებში. გასულ ჩემპიონატში მან 61 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 30 წუთი ითამაშა და 13.9 ქულას მოუყარა თავი.

ფორმულა 1

## USF1 ამერიკელ პილოტებს აირჩევს

ამერიკული გუნდის USF1-ის სპორტული დირექტორი **პიტერ უინდსორი** ხაზს უსვამს, რომ მისი საჯინიბო ძირითად აქცენტს ამერიკელ პილოტებზე გააკეთებს. შეგახსენებთ, რომ USF1-ს მომავალ სეზონში ექნება დებიუტი ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში.

*"ჩვენ გუნდი იმისთვის შევქმენით, რომ ახალგაზრდა და პერსპექტიულ ამერიკელებს საშუალება ჰქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ ფორმულას სარბოლო სერიაში და გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი, - ამბობს უინდსორი. - არასოდეს ვმალავდით, რომ ეს იყო ჩვენი უპირველესი ამოცანა. რა თქმა უნდა, როცა სოლიდური ბიუჯეტი გაქვს, უკეთესია ძირითადი პილოტის პოსტზე რომელიმე გამოცდილი ევროპელის მოწვევა. ეს კარგი ვარიანტი იქნებოდა სადებიუტო სეზონისთვის, როცა გუნდს სახელის მოხვეჭა სჭირდება. და მაინც, ჩვენი პრიორიტეტი ამერიკელი პილოტები არიან".*

## ბურდეს კომპენსაცია მისცეს

ფრანგ პილოტ **სებასტიან ბურდესთან** სასამართლო გარჩევების თავიდან ასაცილებლად, "ტორო როსომ" თავის ყოფილ პილოტს კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასი გადაუხადა და ამას კომპენსაციის სახით 2.1 მილიონი დოლარი დაუმატა.

შეგახსენებთ, რომ ბურდე უნგრეთის გრან-პრის შემდეგ დაითხოვეს "ტორო როსოდან" და როგორც ვარაუდობენ, პილოტი ამერიკაში, ინდიკარის სერიაში დაბრუნდება.

## მოსლი და ბილდი შერიგდნენ

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ** და უმსხვილესმა გერმანულმა გაზეთმა "ბილდმა" კონფლიქტი მოაგვარეს. გასულ წელს, მოსლიმ სასამართლოში უჩივლა გამოცემას მისი პირადი ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების გამო და 2.1 მილიონი დოლარი მოითხოვა მორალური ზარალის კომპენსაციისთვის.

გუშინ "ბილდის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ საკითხი მოგვარებულია. მოსლიმ სარჩელი გამოიტანა, სანაცვლოდ კი გაზეთი 290 ათას დოლარს დახარჯავს ქველმოქმედებაზე და "ბილდის" ფურცლებზე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ინტერვიუს გამოაქვეყნებს.

ჩოგბურთი



## არასტაბილური შარაპოვა

ვაშინგტონის ტურნირში პირველ და მეორე ნომრად განთესილი ჩოგბურთელები შეხვდებიან ერთმანეთს. ანგარიშის (6:7, 6:2, 7:5) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკელ **ენდი როდიკს** დიდი ჯაფა დაადგა ნახევარფინალში ახალგაზრდა თანამემამულის **ჯონ ისნერის** დასამარცხებლად, მაგრამ თამაშის სცენარი სულ სხვანაირი იყო.

მეტოქეები კარგად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებებზე. ისნერმა 20 ეისი შეასრულა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ ჰქონია, როდიკის იგივე მაჩვენებლები 9 ეისსა და ერთ შეცდომას უდრიდა.

წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტმა მეტოქეს მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა - ორივე პირველი სეტის მესამე გეიმში. როდიკმა ეს საფრთხე მოიგერია და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. ამ სეზონში ენდიმ 35-ჯერ ითამაშა ტაი-ბრეიკი და მხოლოდ ექვსი წააგო. ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, მან "შემოკლებული" გეიმი დათმო და ისნერს სეტებს შორის წინ გასვლის საშუალება მისცა.

სამაგიეროდ, მეორე პარტია როდიკმა მაშინვე ბრეიკით დაიწყო, შემდეგ კიდევ ერთხელ აილო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე და 6:2 მოიგო სეტი.

მესამე სეტშიც როდიკის უპირატესობა იგრძნობოდა. სასტარტო გეიმში ისნერის მოწოდებაზე მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, იგივე მოხდა 4:4-ზე და მხოლოდ სეტის ბოლოს შეძლო ენდიმ მატჩში მესამე ბრეიკის აღება და წინ გასვლა. მე-12 გეიმში როდიკს აღარ გასჭირვებია საქმის გამარჯვებამდე მიყვანა.

მატჩის შემდეგ გამარჯვებულმა აღიარა, რომ მეტოქემ საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება აიძულა. რამდენად გამოადგებოდა იგივე თამაში ამერიკელს **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** ფინალში, ეს გუშინ გვიან ღამით გაირკვეოდა.

დელ პოტრომ ორ სეტში მოუგო ჩილელ **ფერნანდო გონსალესს**. ამ უკანასკნელს პირველი სეტის აღების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა. 5:6-ზე დელ პოტრო აწვდიდა და მეტოქეს სამი ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა, რომელიც გონსალესმა ვერ გამოიყენა და ტაი-ბრეიკიდან მოყოლებული, კორტზე არგენტინელი ბატონობდა. დელ პოტრომ შემოკლებულ გეიმში მხოლოდ ორი ქულა დათმო, მეორე პარტიაში კი 5:0 დაწინაურდა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა ფერნანდოს ანგარიშის შემცირების საშუალება.

ფინალისტებს ვაშინგტონის ტურნირში გამოსვლის კარგი ტრადიციები აქვთ. როდიკს აქ სამჯერ აქვს მოგებული ტიტული, დელ პოტრო კი მოქმედი ჩემპიონი გახლავთ. რაც შეეხება ამ ჩოგბურთელების ურთიერთშეხვედრებს, ეს მათი მეორე მატჩია პროფესიულ ტურში. შარშან, აგვისტოში ლოს ანჯელესის ტურნირის ფინალში არგენტინელმა ორ სეტში დაამარცხა ამერიკელი.

■ ■ ■

61 (!) უიძულიე და 16 (!) ორმაგი შეცდომა დაუშვა რუსმა **მარია შარაპოვამ** იტალიელ **ფლავია პენეტასთან** ნახევარფინალში. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ახლოს იყო გამარჯვებასთან. მესამე გადამწყვეტ სეტში მარია 3:1-ს იგებდა, მაგრამ ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო, აქედან სამი საკუთარ მოწოდებაზე.

რუსმა ეს მარცხი დაღლილობას დააბრალა. მართლაც, შარაპოვამ ბოლო 12 დღეში რვა მატჩი ითამაშა და ბოლოს კორტზე ძლივს გადაადგილდებოდა. გარდა ამისა, მარიას კიდევ ერთი მტერი არასტაბილური თამაშია, რამაც იტალიელის წინააღმდეგ განსაკუთრებით იჩინა თავი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მესამე სეტში რუსის ყველა გეიმზე პენეტას ბრეიკ-პოინტი ჰქონდა.

მაისში დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ, შარაპოვამ ექვს ტურნირში მოასწრო თამაში, მაგრამ ვერც ერთში ფინალს ვერ მიაღწია, ბოლო ტიტული კი მას 2008 წლის აპრილში აქვს მოპოვებული.

პენეტა კი ზედიზედ მეორედ გავიდა ლოს ანჯელესის ტურნირის ფინალში. შარშან მან რუს **დინარა საფინასთან** წააგო გადამწყვეტი მატჩი, წელს კი ტიტულისთვის ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს** შეხვდება. ამ უკანასკნელმა 62 წუთში გაანადგურა რუმინელი **სორანა კირსტეა**. ავსტრალიელმა პირველ მოწოდებაზე ქულების 81 პროცენტი მოიგო, რის გამოც კირსტეას მთელ მატჩში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. საბოლოოდ, სტოსურმა სულ 5 გეიმი დაუთმო მეტოქეს და კარიერაში მეხუთე ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

სტოსურს ერთეულებში ჯერ ტიტული არ აქვს მოგებული. აქამდე ის წყვილებში თამაშის სპეციალისტად მიიჩნეოდა. აქ ის 22 ტიტულის მფლობელია, ორჯერ კი "დიდი სლემის" ჩემპიონატებში მიქსტის თანრიგი აქვს მოგებული.

**ATP**

**Legg Mason Tennis Classic**

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 402 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ, 1)-ივო კარლოვიჩი (ხორ, 11) 7:6(4), 7:6(5); **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგ, 2)-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5) სიოდერლინგის უარი; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილ, 4)-ტომი ჰაასი (გერ, 10) 7:5, 6:4; **ჯონ ისნერი** (აშშ)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 8) 6:3, 6:7(10), 6:2.

**1/2 ფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ, 1)-ჯონ ისნერი (აშშ) 6:7(3), 6:2, 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგ, 2)-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 4) 7:6(2), 6:3.

**WTA**

**LA Womens Tennis**

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 700 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ფლავია პენეტა** (იტა, 10)-ვერა ზვონარევა (რუს, 2) 6:4, 6:2; **სორანა კირსტეა** (რუმ)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 8) 7:6(4), 1:6, 7:5; **სამანტა სტოსური** (ავსტრა, 13)-ჟიე ჟენგი (ჩინ, 14) 4:6, 6:3, 6:4; **მარია შარაპოვა** (რუს)-ურსულა რადვანსკა (პოლ) 6:4, 7:5.

**1/2 ფინალი**

**ფლავია პენეტა** (იტა, 10)-მარია შარაპოვა (რუს) 6:2, 4:6, 6:3; **სამანტა სტოსური** (ავსტრა, 13)-სორანა კირსტეა (რუმ) 6:3, 6:2.

TV პროგრამა

**10 აგვისტო. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 გოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლანსი.
08:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლორიანი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰამბურგი.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლანსი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.
18:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლორიანი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლანსი.
23:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.
01:30 საფეხბურთო ღამე.
02:00 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
03:40 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰამბურგი.
05:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-პსჟ.

**EUROSPORT**

10:35 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ.
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია.
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. ჰინტერცარტენი. გერმანია.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს თასი 2010. შესარჩევი მატჩები.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ.
17:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
18:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბოლტონი-ჰიბერნიანი.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს თასი 2010. შესარჩევი მატჩები.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. ჰინტერცარტენი. გერმანია.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:20 მულტისპორტი.
22:30 პრო-რესტლინგი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 პული. ლას ვეგასი. აშშ.
02:30 ფეხბურთი. მსოფლიოს თასი 2010. შესარჩევი მატჩები.

ცხელი ხაზი

**ჩოგბურთი**

**ATP. ვაშინგტონი**

| | |
|---|---|
| როდიკი-დელ პოტრო | 6:3, 5:7, 6:7 |

**WTA. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| სტოსური-პენეტა | 4:6, 3:6 |

ცურვა



## ორი რეკორდი უიქ ენდზე

ამერიკაში მიმდინარე ქვეყნის ღია პირველობაზე მსოფლიოს რეკორდი დამყარდა ქალებს შორის 100 მეტრზე ბრასით ცურვაში. ადგილობრივმა მოცურავემ **ჯესიკა ჰარდიმ** დისტანცია წუთსა და 4.45 წამში გაცურა, რაც 0.39 წამით ნაკლებია მეორე ამერიკელის **რებეკა სონის** რეკორდზე, რომელიც ცოტა ხნის წინ, რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო დამყარებული.

აღსანიშნავია, რომ ეს უკვე მეორე რეკორდია, რომელიც ჰარდიმ სპორტში დაბრუნების შემდეგ გააუმჯობესა. ჯესიკა გასულ სეზონში აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის ერთი წლით იყო დისკვალიფიცირებული.

■ ■ ■

გასულ უიქ ენდზე მსოფლიოს რეკორდი ლიდსში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზეც დამყარდა. კანადელმა **ანამეი პირსმა** საკუთარი შედეგი გააუმჯობესა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. სპორტსმენის დრო იყო 2 წუთი და 16.83 წამი. ეს 0.67 წამით ნაკლებია ძველ რეკორდზე, რომლის მფლობელიც ასევე პირსი გახლდათ.

ბადმინტონი

## ინგლისელებს ტერაქტით დაემუქრნენ

ინგლისელ ბადმინტონელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს. პლანეტის პირველობა დღეს ინდოეთის ქალაქ ჰაიდარაბადში იწყება და ინგლისელები იქ ტერაქტის საფრთხის გამო არ მიემგზავრებიან.

BBC News-ის ცნობით, გუნდი მას შემდეგ მოიხსნა ტურნირიდან, რაც გავრცელდა მუქარა ისლამისტ ბოევიკთა დაჯგუფების - "ლაშკარ-ი-ტაიბას" მხრიდან. ინგლისის ნაკრების რიგებში შემავალი რვა სპორტსმენი სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნდა.

უფრო ადრე, ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩემპიონატის მონაწილეებს სრული უსაფრთხოება აღუთქვა. სამინისტროს ხელმძღვანელთა სიტყვებით, პოლიციამ ტერაქტის შესახებ ჩვეულებრივი შეტყობინება მიიღო და არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არ გააჩნია მისი მზადების შესახებ.

ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა **ჯერი სატკლიფმა** კი განაცხადა, რომ კავშირი ექნება ინდოეთის მთავრობასთან და დააკვირდება ჰაიდარაბადში ტურნირის მიმდინარეობას. სატკლიფმა ყველას შეახსენა, რომ მომავალ წელს, ინდოეთში თანამეგობრობის თამაშები უნდა გაიმართოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

## ბრიუსტერი ჩემპიონობაზე ფიქრობს

მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **ლეიმონ ბრიუსტერი** მორიგ ბრძოლას ნიგერიელი **გბენგი ოლუნუკას** წინააღმდეგ გამართავს. შეხვედრა 29 აგვისტოს შედგება.

მოკრივის განცხადებით, ის ტიტულის დაბრუნებას აპირებს და ამისთვის კიდევ ორი საშუალედო ბრძოლის ჩატარება დასჭირდება, რის შემდეგაც სატიტულო ჩხუბის ორგანიზებაზე იფიქრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# შაკი ბექჰემის წინააღმდეგ

"კლივლენდ კავალიერზის" ცენტრი **შაკილ ო'ნილი** თავის ახალ რეალით-შოუში - "შაკის წინააღმდეგ..." ინგლისელი ფეხბურთელის **დევიდ ბექჰემის** შეტყუებას ცდილობს. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ "ლოს ანჯელეს გელექსის" ნახევარმცველს უშუალოდ დაკავშირებოდა, ო'ნილმა ბექჰემს ვებგვერდ Twitter-ის საშუალებით მიმართა. ეს ვებგვერდი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ცნობილ ადამიანებს შორის.

*"ძვირფასო დევიდ, - წერია შაკის პირველ წერილში. - ვიცი, რომ გაგებული გაქვს ჩემი ახალი შოუს შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, შენ ვერც ერთ გოლს ვერ გამიტან, მე შენ ბრძოლაში გიწვევ, პატარა კაცუნავ".*

მას შემდეგ, რაც ბექჰემისგან არანაირი რეაქცია არ ყოფილა, ო'ნილმა მჭევრმეტყველებაში ვარჯიში გააგრძელა. *"დევიდ, ვიცი, რომ გესმის ჩემი, ნუ გეშინია, ნუ მაიძულებ, მუდმივად შენი პასუხის მოლოდინში ვიყო, შენ მე გოლს ვერასოდეს გამიტან"*, - დაწერა კალათბურთელმა შემდეგ შეტყობინებაში, მესამეში კი საერთოდ "აიშვა": *"ძვირფასო დევიდ, იძულებული ვარ შევატყობინო 2 მილიონ ადამიანს, რომ შენ შაკის შეგეშინდა. გირჩევნია მიპასუხო და თუ გეშინია, ძაღლი იყიდე".*

მაგრამ იმის გამო, რომ ბექჰემმა მსგავს პროვოკაციებს არ უპასუხა, ო'ნილმა კიდევ ერთი ინტერნეტსაშუალება გამოიყენა და ამჯერად დევიდს YouTube-ით მიმართა.






ჩოგბურთი



# ფედერერმა ბავშვები გვანახვა

**როჯერ ფედერერმა** და მირკა ვავრინეცმა თავიანთი ტყუპის - **შარლენ რივისა და მილა როზას** პირველი ფოტოები გამოაქვეყნეს. ბავშვებს ორი კვირა შეუსრულდათ. შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა სურათი Facebook-ის საკუთარ გვერდზე განათავსა.

ფედერერმა მადლობა გადაუხადა მეგობრებსა და გულშემატკივრებს თბილი სიტყვებისა და სურვილებისთვის.

*"ეს ფოტოები მამაჩემმა გადაიღო, - წერს როჯერი. - მას უკვე თავი პროფესიონალი ფოტოგრაფი ჰგონია. ძალიან სახალისო სიტუაცია იყო: ბავშვები მუდმივად ასლოკინებდნენ და კარგი ფოტოს გადაღება არ გამოდიოდა. გოგონები და დედა თავს კარგად გრძნობენ. მადლობა ყველას თბილი სურვილებისთვის!"*

შაბათს, 8 აგვისტოს როჯერ ფედერერი 28 წლის გახდა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი 1981 წლის 8 აგვისტოს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დაიბადა. დღეისთვის მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იქვე, შვეიცარიაშია, ოღონდ ქალაქ ბოტმინგენში. ATP-ის ტურში მას დებიუტი 1998 წელს ჰქონდა. პირველი ტიტული 2001 წელს, მილანში მოიგო, 2003 წელს კი პირველად გაუსიჯნა გემო "დიდი სლემის" ტურნირებზე გამარჯვებას - პირველობა მოიპოვა უიმბლდონზე.

2004 წელს ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, ფედერერი 2 თებერვალს პირველად ჩაუდგა სათავეში ATP-ის რეიტინგს. საჩოგბურთო ტურში შვეიცარიელის ჰეგემონია ზედიზედ 237 (!) კვირა გრძელდებოდა, სანამ 2008 წლის 18 აგვისტოს ის საჩოგბურთო ტახტიდან ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** არ ჩამოაგდო.

ისე ჩანდა, რომ როჯერის დრო გავიდა, მაგრამ ამ სეზონში როლან გაროსის პირველად და უიმბლდონის მეექვსედ მოგების შემდეგ, შვეიცარიელმა "დიდ სლემზე" გამარჯვებათა რაოდენობა თხუთმეტამდე აიყვანა, რითაც ამერიკელი **პიტ სამპრასის** თითქოსდა მუდმივი რეკორდი ("დიდი სლემის" 14 ტიტული) გააუმჯობესა. 6 ივლისს ფედერერი მსოფლიოს რეიტინგში პირველ პოზიციაზე დაბრუნდა.

ფედერერის ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა გასულ წელს მოხდა. 8 აგვისტოს, თავის 27-ე დაბადების დღეს როჯერი პეკინის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე საკუთარი ქვეყნის დროშით ნაუძღვა წინ შვეიცარიის ოლიმპიურ ნაკრებს. 16 აგვისტოს კი **სტანისლას ვავრინკასთან** ერთად წყვილთა თანრიგში მოიგო ოქროს მედალი.

2009 წლის 11 აპრილს როჯერ ფედერერი დაქორწინდა თავის ძველ მეგობარზე მიროსლავა ვავრინეცზე და 23 ივლისს მათ ტყუპი შეეძინათ.

წლევანდელი უიმბლდონის შემდეგ პირველ ტურნირს ფედერერი მონრეალში ითამაშებს. ამ მასტერსის ძირითად ბადეში თამაშები დღეიდან იწყება.

აი, როგორ გამოიყურება ATP-ის რეიტინგის ლიდერთა სია პირველ პოზიციაზე გატარებული დროის მიხედვით:

1. **პიტ სამპრასი (აშშ) - 286 კვირა**
2. **ივან ლენდლი (აშშ) - 270 კვირა**
3. **ჯიმი კონორსი (აშშ) - 268 კვირა**
4. **როჯერ ფედერერი (შვეიცარია) - 241 კვირა**
5. **ჯონ მაკინროი (აშშ) - 170 კვირა**
6. **ბიორნ ბორგი (შვედეთი) - 109 კვირა**
7. **ანდრე აგასი (აშშ) - 101 კვირა**
8. **ლუიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) - 80 კვირა**
9. **სტეფან ედბერგი (შვედეთი) - 72 კვირა**
10. **ჯიმ კურიე (აშშ) - 58 კვირა**
11. **რაფაელ ნადალი (ესპანეთი) - 46 კვირა**

გვერდი მოამზადა გია **თვალაბეიშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge